პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხაება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- მიწისძვრის შედეგები პალესტინაში.
- საარჩევნო რეფორმა სპარსეთში.
- ფინელ მუშათა ექსკურსია მოსკოვში.
- გარდაიცვალა ცნობილი ბაქტერიოლოგი ჟან იუჟ. ლეგრანდ.
- პოლონელ ჯაშუშ საზონოვიჩის დახვრეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 21 ივლისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 164 (1909)

მრისხანე გაფრთხილება

ჩვენ კვლავ ვენის ამბებს გვინდა შევეხოთ. უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ვენის მუშების აჯანყებამ „მემარცხენეობის" ნიღაბი ჩამოფხრიწა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიას და ცხადი გახადა მისი გამცემლური ბუნება. მან საგრძნობლად შეარყია ბაუერების ავტორიტეტი იმ მუშათა ფენებში, რომელნიც მათ მისდევდენ.

ეს გარემოება უეჭველად დიდათ შეუწყობს ხელს ავსტრიის კომპარტიას, რათა ფართე მუშაობა გაშალოს თავის გავლენის გასავრცელებლად მასებში და რომ ჩვენი კომპარტია ამ მხრივ თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს, ამის თავდებია თუ გინდ ის პოზიცია, რომელიც მან დაიკავა ვენის პროვოკაციის გამოსვლაში. მიუხედავად თავისი სიღარიბისა და სისუსტისა, მიუხედავად უსასტიკესი რეპრესიებისა, რომლებიც მან განიცადა რეაქციონური მთავრობისა, ფაშისტებისა და მენშევიკების გაერთიანებული ძალების სახით, — მან შესძლო ბრძოლის სწორი ლოზუნგების მიცემა მასებისათვის. ცხადია, რომ მისი სიძლიერე და ავტორიტეტი შემდეგში უფრო სწრაფად გაიზრდება და ის ჯეროვნულად გამოიყენებს პროლეტარულ მასების ეხლანდელ სულიერ განწყობილებას.

ვენის ამბები აგრეთვე დიდ გავლენას მოახდენენ დანარჩენ ქვეყნების მუშათა კლასზე. ამ უკანასკნელისათვის ეს ამბები ერთი უდიდესი ფაქტთაგანია, რომელიც ეუბნება მას საერთოდ სოციალ-დემოკრატიის მოღალატეობაზე. აშკარაა, რომ მსოფლიო მუშათა მოძრაობა ამის შემდეგ უფრო მარცხნივ გადიხრება და ის თანდათან ჩამოშორდება მენშევიკურ ხელმძღვანელობას.

ამასთან დაკავშირებით, ვენის მუშათა კლასის აჯანყება გამოიწვევს იმ დემოკრატიულ - პარლამენტარულ ილუზიების შემდგომ შერყევას, რომლებსაც სოციალ-დემოკრატია უნერგავს პროლეტარიატს. ამ „დემოკრატიამ", რომელსაც ბაუერების აზრით, მუშათა კლასი „მშვიდობიანად" მიყავს გამარჯვებამდე, ნამდვილად მოგვცა ფაშისტური დიქტატურის გაბატონება, კაპიტალის ცხარი ეკონომიური და პოლიტიკური შეტევა. მუშათა კლასზე, ისეთი მდგომარეობა, როცა მუშათა მკვლელ ფაშისტებს ამართლებენ, როგორც „გმირებს". მუშათა კლასისათვის ცხადი ხდება, რომ ის გამარჯვებას მოიპოვებს მხოლოდ გაშლილი კლასობრივი ბრძოლის, შეიარაღებული რევოლიუციონური აჯანყების გზით.

მაგრამ ვენის ამბების მნიშვნელობა მარტო ამით როდი განისაზღვრება. ის უპირველეს ყოვლისა, მრისხანე გაფრთხილებაა იმპერიალისტებისათვის. კაპიტალისტური ქვეყნების მმართველი წრეები ომისთვის ემზადებიან, ისინი კერძოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოლაშქრებაზე ოცნებობენ. მაგრამ ამ განზრახვის განხორციელების გზაზე მათ სერიოზული დაბრკოლებები ხვდებათ. მათ შორის მთავარია ის, რომ იმპერიალისტებს შიგნით ზურგი ოდნავადაც არა აქვთ მტკიცე. ისინი სოციალურ ვულკანზე სხედან, რომელიც ყველთვის შეიძლება აფეთქდეს. კაპიტალიზმის სტაბილიზაცია", რომელიც დაფუძნებულია მუშათა უსაზღვრო ექსპლოატაციაზე, ძალზე მერყევია და ზრდის მუშათა კლასის რევოლიუციონურ აღშფოთებას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

საბუთი გინდათ? ვენის მუშების გამოსვლა ყველაზე უფრო დამახასიათებელია ამ მხრივ. თითქ. სრულებით „მოწმენდილ ცაზე" — მოულოდნელად გავარდა მეხი. — ავსტრია „დამშვიდებული"—ქვეყანაა, იქ ხელთან ერთად გაბატონებული არიან სოციალ - დემოკრატები, რომელნიც ღობენ მუშებს, რის გამო ის, ავსტრია, აზღვეულია რაიმე „სიურპრიზისაგან", რევოლიუციონურ მოძრაობისაგანო, — ალბად ასე მსჯელობდენ პროლეტარიატის მტრები, მაგრამ მათდა შეუმჩნეულად მუშათა კლასის სიღრმეში გროვდება რევოლიუციონური ენერგია, რომელმაც სტიქიურად გადმოხეთქა და კინაღამ წალეკა ძველი სამყარო.

თუ ეს მოხდა ავსტრიაში, რომელიც „კეთილსაიმედოთ" ითვლებოდა, სადაც კომუნისტური პარტია უსტი იყო და სოციალ - დემოკრატია პირველ შეხედვით უდიდესი გავლენით სარგებლობდა, რა „არა სასიამოვნო ამბავი" შეიძლება დატრიალდეს კაპიტალისტებისათვის სხვა ქვეყნებში, სადაც მუშათა მოძრაობას უფრო ფართე ხასიათი აქვს და კომპარტიაც გაცილებით უფრო ძლიერია? ამის გამოცნობა იმპერიალისტებსაც არ გაუჭირდებათ.

და ახლა წარმოიდგინეთ, რომ ატყდა ომი, კერძოდ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომლის დაცავად ევროპის მუშათა კლასი უკვე ამოდის აქტიურად. როგორ გონიათ იმპერიალისტებს, — განა დასავლეთის პროლეტარიატი მათი მტაცებლურ მიზნებისათვის იარაღს საბჭოთა კავშირის მშრომელების წინააღმდეგ მიმართავს? მეტად საეჭვოა. კაპიტალის მიერ ჩაგრული მუშები თავის მჩაგვრელებს მიუშვერენ თოფებს. და ეს მოხდება მიუხედავათ სოციალ - დემოკრატიის ცდისა, რომ მუშათა მასები, 1914 წლის მსგავსად, იმპერიალისტების „ზარბაზნის ხორცად" გახადონ, მიტომ, რომ ევროპის პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება მსოფლიო ომის შემდეგ მეტად გაიზარდა.

ასეთი შესაძლებლობა უცნობი არ არის იმპერიალისტებისათვის და ამიტომაცაა, რომ ისინი ვერ ბედავენ პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის წინააღმდეგ ხმის ამოღებას. ვენის მუშების აჯანყება, ვიმეორებთ, ამ მხრივ სერიოზული გაფრთხილებაა მათთვის. ისინი ერთხელ კიდევ ეუბნებიან იმპერიალისტებს, რომ მათ ზურგს უკან იმყოფება ისეთი ძალა, რომელიც ომის მოციქულებს კისერს მოუგრეხს, ისეთი ძალა, რომელიც იმპერიალისტურ ომს, თუ ის დაიწყება, სამოქალაქო ომად, რევოლიუციად აქცევს.

სახელოვანი და ტრაგიკული სიკვდილის წლისთავი

შეუმჩნევლად განვლო ერთმა წელმა ფელიქს ძერჟინსკის გარდაცვალების დღიდან. რამდენ ამბავმა განვლო ამ ხნის განმავლობაში, რამდენი მიხვეულ-მოხვეული გზა გაიარა ქაღარა ისტორიამ, რამდენი თავსამტვრევი ამოცანა წამოუყენა მან პროლეტარიატს, რანაირი პერსპექტივები გადაგვიშალა ჩვენ და როგორი ნარ-ეკლიანი და ოღრო-ჩოღრო იყო ეს ერთი წლის სავალი გზა.

ამ ერთ წელიწადში მოხდა გარდატეხა დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოების დამოკიდებულებაში საბჭოთა კავშირთან, გარდატეხა, რომელიც ხასიათდებოდა თავდასხმით, სიკვდილით დასჯით, ქურდული საქციელით, ყალბი დოკუმენტებით, ვოიკოვის მკვლელობით, დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტით და ყოველნაირი ცდით, რათა ჩვენთვის გამოეცხადათ საკრედიტო - ეკონომიური ბლოკადა. ამავე ერთი წლის მანძილზე გაიშალა ჩინეთის რევოლიუციის უდიდესი ბრძოლები, აქ ჩვენ გვაქვს ცვლილება კლასიურ გადაჯგუფებათა ფორმების ეტაპების. ლოზუნგების. უახლოესი პერსპექტივების გამარჯვებების, დამარცხებების და ბრძოლის ახალი ეტაპების, რომლებიც ჰორიზონტზე მოსჩანან. გასულ წელს ქვეყნის შიგნით ფართედ წყდებოდა კაპიტალისტური მშენებლობის და ჩვენი მრეწველობის გადაკეთების საკითხები დაწყებული ტეხნიკის რაციონალიზაციიდან და გათავებული მოსახლეობაში გაბნეულ წვრილ საშუალებათა დაგროვების საკითხით. ერთი მეორეს მისდევდენ უძნელესი პრობლემები: ფასების დაკლება, პროდუქციის ღირსების გაუმჯობესება, აპარატის გამარტივება, ბრძოლა კერძო კაპიტალისტურ შუამავლობასთან და სხვა ასეთები. ხოლო ეხლა დღის წესრიგში დგანან ურთულესი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან იმპერიალისტურ მოწინააღმდეგეთა თავდასხმის მოგერიებასთან: ექსპორტი, იმპორტი, რესურსების განაწილება, ვალიუტა და ახალი მოვლენები სოფლისა და ქალაქის დამოკიდებულებაში. და ყველა ამასთან ერთად უცხოეთის აგენტურის თავდასხმა ყუმბარების აფეთქებით და კუთხიდან ვერაგული სროლით. დაბოლოს, რიგით უკანასკნელი, ხოლო არა თავისი მნიშვნელობით, იერიშების გაძლიერება ოპოზიციის მხრივ, რომელსაც ყველაფერი დავიწყებია, შხამავს პარტიას, შლის მის რიგებს. სცდილობს მისი კადრების შერყევას და მისი ნდობისთვის ძირის მოთხრას უპარტიოთა ფართე მასაში.

ყველა ამ დადებით და უარყოფით მოვლენებს საფუძვლად უდევს ჩვენი ზრდის ფაქტი: იზრდება მეურნეობის სოციალისტური სექტორი, მტკიცდება მუშათა კლასის დიქტატურა, გლეხობა მტკიცედ არის მოქცეული პროლეტარული დიქტატურის ქვეშ — ყველაფერი ეს არის გადამწყვეტი ფაქტი. მიუხედავათ სასტიკი დამარცხებისა, აღმოსავლეთიდან მოდის მოკავშირე — ჩინეთის რევოლიუცია. მიუხედავათ ერთგვარი სტაბილიზაციისა ევროპაში, ეს მძლავრი ევროპიული ორგანიზმი ხანგამოშვებით მაინც იკლაკნება მწვავე ტკივილებისაგან (ინგლისი, ავსტრია). და აი საერთაშორისო რევოლიუციის ამ ზრდის გამო, მისი შიშით, მის წინააღმდეგ აბავს ქსელს მტაცებელი იმპერიალიზმი.

აქ არის ფესვი შეიარაღებული ინტერვენციისა ჩინეთში, ინგლისის მიერ ურთიერთობის ჩაშლისა საბჭოთა კავშირთან და ომის მზადებისა მის წინააღმდეგ. მაგრამ აი სწორედ აქვე არის იმ უდიდესი სიძნელეების ფესვი, რომლებიც ჩვენ ვხვდებით. მაშასადამე, აქვე ძევს იმ წუწუნის, რწმენის დაკარგვის და უკაცრავად პასუხია, სპეციფიური კრიტიკის ფესვი, რომელიც გამომდინარეობს ოპოზიციიდან, დაწყებული საპრონოვისაგან და გათავებული ტროცკით.

ასე ხდებოდა წინადაც.

ბრესტის ზავი (1918 წელი). მემარცხენეები (საბედნიეროდ, ბევრი ჩვენგანი დროზე განთავისუფლდა ტროცკისტულ მემკვიდრეობისაგან) ამტკიცებდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება გადაგვარდა და ის გადაიქცა წვრილი ბურჟუასა და „მეშოჩნიკების" ხელისუფლებად. რამდენჯერ იყო ნაწინასწარმეტყველევი ჩვენი დაღუპვა!

1921 წელი. პროფკავშირების შესახებ ატეხილი დისკუსიის შემდეგი ხანა. ტროცკი აუწყებს თავის მეგობრებს, რომ ჩვენ დაღუპვისაკენ მივდივართ.

1923 წელი. ტროცკის ჯგუფი კვლავ გვიწინასწარმეტყველებს დაღუპვას. ეხლაც იგივე წინასწარმეტყველება, როგორც ყორნების ჩხავილი. რა წამსაც ისტორია აყენებს მძიმე ამოცანებს, იმ წამსვე იწყება ეს სიმღერა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში შელამაზებულია გმირული ფრაზებით ან და ზოგიერთების თავისებური გმირული ნამოქმედარით. (შიგნით ფუჭე, გარედან — პირადი გმირობა).

რატომ გვჭირდება ამაზე ალაპარაკი დღეს?

იმიტომ, რომ ფელიქს ძერჟინსკის სახით ჩვენ დავკარგეთ რევოლიუციის ისეთი ჯარისკაცი, ისეთი მეომარი, ისეთი მებრძოლი, ისეთი ხელმძღვანელი, რომლებიც განსაკუთრებით საჭირონი არიან ამჟამად. სწორედ ახლაა განსაკუთრებით საგრძნობი, თუ რამდენად ძნელია ამ დანაკლისის შევსება.

ძერჟინსკი პასუხს აგებდა იმ მუშაობისათვის, რომელსაც ასრულებდა.

მან არ იცოდა მუშაობის სხვებზე გადაკისრება, მუშაობდა ყოველგვარ პოსტზე, რომელსაც კი მას მიანდობდა პარტია, გულმხურვალედ ებმოდა ამ მუშაობაში, სცოცხლობდა, სუნთქავდა მით, აღფრთოვანებდა ყველა თავის თანამშრომლებს, მტკიცედ აერთიანებდა მათ ჩვენი გამარჯვების რწმენით და იმ აზრის გარშემო, რომ დიადია ყველა ჩვენი საქმეები.

ძერჟინსკი იყო პარტიის ერთგული ჯარისკაცი, იგი პარტიის ერთგული იყო კუბოს ფიცრამდე, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. ის ნამდვილი ბოლშევიკი იყო. ბოლშევიკობა კი, სხვათა შორის ნიშნავს, რომ უნდა იყო პარტიელი, არა ისეთი, რომელსაც ლამაზი ჟესტისათვის შეუძლია მიარახუნოს კარი, მიაფურთხოს თავის პარტიის ამ თუ იმ გადაწყვეტილებას, თავის საზეიმო ვალდებულებას ამ პარტიის მიმართ, ან სული ჩაუდგას კონსპირაციის თავის პარტიის წინააღმდეგ, ან შევიდეს ბლოკში თავის პარტიის მტრებთან, ცილისმწამებლებთან და მაგინებლებთან. თუ მას მიაჩნდა, რომ პარტია რამეში სცდება, ის ლამაზი და სულელურ ფრაზას კი არ მიმართავდა, ფრაზას, რომელიც გადმოწერილია ვულგარულ პატრიოტულ ინგლისურ თქმულებიდან — „მართალია თუ მტყუანი, მე მაინც ვემხრობი ჩემ პარტიას"; ის სცდილობდა რაც შეიძლება უმტკივნეულო გზით აღმოეფხვრა უთანხმოება. მას ჰქონდა მართლაც შორსგამჭვრეტი პოლიტიკა, მას ესმოდა, რომ დანაშაულია პარტიის წინაშე ისეთი ტაქტიკა, რომელსაც მოვყევართ განხეთქილებისაკენ, მას უყვარდა თავისი პარტია ღრმა სიყვარულით. ამიტომ ის ასეთივე სიყვარულით სარგებლობდა პარტიის მხრივ.

მაგრამ სწორედ ამიტომ მან ამდენი გააკეთა პარტიისათვის, პროლეტარიატისათვის და სოციალიზმის საქმისათვის. ის არ ეთამაშებოდა აზრებს განხეთქილების შესახებ. ის ულმობელად ამხილებდა მათ, ვისაც განხეთქილება შეჰქონდა პარტიაში. ის არ დგებოდა შორიდან კრიტიკოსის პოზაში. ის თავდადებით და გმირულად მუშაობდა და ასწორებდა ჩვენს შეცდომებს და დეფექტებს. ის არავის პირდებოდა ოქროს მთებს, მილიარდებს და სხვა. მან კოლოსალურად ბევრი რამ მისცა ჩვენი თავდაცვის საქმეს და სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეს. სოციალისტურ დაგროვებისათვის მან გააკეთა ათასჯერ მეტი ვიდრე ყველა გმირებმა ფრაზებისა სოციალისტურ დაგროვების შესახებ. ნაზი ახალგაზრდა იყო ის, მეოცნებე და პატიოსანი თვალებით მაშინ, როდესაც დაადგა პროლეტარული ბრძოლის ეკლიან გზას.

მან დაასრულა თავისი სიცოცხლე, როგორც ნაწრთობმა ფოლადის რაინდმა, რომლის სახე არის მკაცრი სახე მებრძოლის, რომელმაც გაიარა ყოველგვარ განსაცდელში, მაგრამ მისი უკანასკნელი შეძახილი იყო ავადმყოფ გულის ძახილი, მხურვალე მოწოდება პარტიის მთლიანობის შესახებ და სასტიკი პროტესტი იმ ბრმების წინააღმდეგ, რომლებიც ვერ ხედავენ, რას სჩადიან.

მთელი პარტია, როგორც ერთი კაცი, დღეს ქუდს იხდის თავის ერთგულ შვილის, მებრძოლის, მშენებლის და ბელადის საფლავის წინაშე.

ნ. ბუხარინ.
„პრავდა".

მოსკოვი, 20 ივლისი.

ვენის მუშების გაფიცვის შედეგ

რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ

ვენაში დაპატიმრებულია 400 კაცი.—შეტაკებების დროს მოკლულთა რიცხვი 140 კაცს უდრის.—საზოგადოებრივი შენობები დაკავებულია პოლიციისა და ჯარების მიერ.—უცხოელ კომუნისტების დევნა.—რემედასის დახმარება ვენის მებრძოლებს

მოლაპარაკება ნანკინსა და უხანს შორის

პროფინტერნის მოწოდება

მოსკოვი, 20 ივლისი. პროფინტერნმა მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნების მუშებს და ავსტრიის რევოლიუციონურ და რეფორმისტულ პროფკავშირების წევრებს.

„ავსტრიის პროლეტარიატის ბრძოლა—ნათქვამია მოწოდებაში—იმის მაჩვენებელია, რომ ბურჟუაზიის დაძლევა პროლეტარიატს შეუძლია მხოლოდ რევოლიუციონური სამოქალაქო ომის მეთოდების საშუალებით. საყოველთაო გაფიცვა პროლეტარიატის ხელში წარმოადგენს მახვილ-იარაღს, მაგრამ ეს იარაღი უნდა ეპყროს ჭეშმარიტ რევოლიუციონერებს და არა რეფორმისტ-პორაჟენცებს. საყოველთაო გაფიცვა უნდა გაგრძელდეს არა მოღალატე სოციალ-დემოკრატიის და პროფკავშირთა ცეკას ლოზუნგების ქვეშ, არამედ მუშათა დეპუტატების რევოლიუციონური საბჭოების ხელმძღვანელობის ქვეშ. ავსტრიის მუშებმა ვენის ყველა რაიონში და მთელს ქვეყანაში უნდა დაარსონ მუშათა დეპუტატების საბჭოები, უნდა დააწესონ კონტროლი ტრანსპორტზე, მოხმარებელ საგნების მოტანა-გატანაზე და მთელს მრეწველობაზე. მუშათა კლასი უნდა იქნეს შეიარაღებული. ზეიპელის რეაქციონური მთავრობა უნდა იქნეს დამხობილი და უნდა დაწესდეს მუშურ-გლეხური მთავრობის ძალა-უფლება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშათა კლასმა განაგრძო ბრძოლა, თუ მან უარჰყო ყოველგვარი კომპრომისი, და თუ ბრძოლა განაგრძო რევოლიუციონურ მეთოდებით, უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვება.

გერმანიის, უნგრეთის, იტალიის და ჩეხო-სლოვაკიის მუშებო დაეხმარეთ ავსტრიის მუშებს მის გმირულ ბრძოლაში!

განამტკიცეთ მუშათა მასების რიგები, საკუთარ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში! მოსპეთ თქვენ ქვეყანაში ფაშიზმი!

ამით თქვენ სამსახურს გაუწევთ არა მარტო ავსტრიის მუშებს, არამედ თქვენ თავსაც!" (ადს).

მდგომარეობა ვენაში

დაწვრილებითი ცნობები შეტაკებათა შესახებ

ვენა, 20 ივლისი. ირკვევა ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობებით. პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის 15 ივლისს მომხდარ შეტაკებათა შესახებ. პირველ სროლის შემდეგ პოლიციის რაზმები შეეცადენ თავს დასხმოდენ ქალაქის საბჭოს შენობას. ამისათვის ისინი ქალაქის საბჭოს შენობასთან მივიდენ სანიტარულ ავტომობილით. ეს ფანდი შეამჩნია ხალხმა და პოლიციას მოელოდა ლინჩის წესით გასამართლება, რომ საქმეში არ ჩარეულიყო სოციალ-დემოკრატი დეპუტატები და მუნიციპალიტეტი. უშუალოდ ამის შემდეგ პოლიციამ აუტეხა ხალხს საშინელი სროლა. 17 ივლისს ტრამვაის გაფიცვის შეწყვეტის შემდეგ, კომუნისტი მუშები შეეცადენ შეეჩერებიათ ტრამვაის მოძრაობა რელსებზე დაწოლით. მაგრამ ისინი დააპატიმრა და სასტიკად სცემა შუცბუნდმა. უკანასკნელ ორ დღეში ზეიპელზე მოხდა ორი თავდასხმა და ორივე უშედეგოდ (ადს).

დაპატიმრებულია ბერლინის საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელი

ვენა, 19 ივლისი. ქუჩაში დაპატიმრებულია ბერლინის საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელი **ლენგელი**, რომელიც დიდი ხანია რაც ვენაში აწარმოებდა მოლაპარაკებას კრედიტის შესახებ.

მიუხედავათ იმისა, რომ ლენგელმა წარადგინა თავისი დიპლომატიური პასპორტი. ის მაინც დააპატიმრეს და 2 საათი გააჩერეს პოლიციის შენობაში. (ადს)

მოკლულთა რიცხვი

ბერლინი, 19 ივლისი. ვენის გამოსვლების **მოკლულთა რიცხვი**, უკანასკნელ ცნობების მიხედვით, **146 კაცამდე აღწევს.** მაგრამ ეს რიცხვი არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ, ვინაიდან სახეთქ ტყვიებით დაჭრილებში ბევრს მოელის სიკვდილი.

რეპრესიები

ბერლინი, 19 ივლისი. ბრძოლის გაგრძელებისაკენ მოწოდებისათვის კონფისკაცია უყვეს ვენის გაზეთებს „როტე ფანე" და „აბენდი".

პოლიცია ამტკიცებს, რომ ქუჩაში გამოსვლა და განსაკუთრებით კი სასამართლოს შენობისათვის ცეცხლის წაკიდება არის „უცხოელ კომუნისტების საქმე". ამის გამო მომხდარია ბევრი დაპატიმრებები, მათ შორის ბულგარელ და უნგრელ ემიგრანტებს შორის.

დადასტურდა ცნობა პიკის დაპატიმრების შესახებ. მას ალბათ გადაასახლებენ. დაპატიმრებულთაგან 75 კაცი უკვე მიცემულია პასუხისგებაში იმ ბრალდებით, რომ ისინი ებრძოდენ. საპოლიციო ხელისუფლებას და ხელს უწყობდენ აღშფოთებას სახელმწიფოებრივ ხელისუფლების წინააღმდეგ (ადს).

„წესრიგს" აღგენენ

ვენა, 19 ივლისი. საღამოს პრესის ცნობებით, კიდევ დაპატიმრებულია 40 კომუნისტი გამოსვლებში მონაწილეობისათვის. **დაპატიმრებულთა საერთო რიცხვი აღწევს 400-მდე.**

„აბენდ"-ი იუწყება, რომ ხალხში სროლის დროს პოლიცია ხმარობდა სახეთქ ტყვიებს და ამიტომ დაზარალებულთა შორის ბევრია მძიმედ დაჭრილი.

„როტე ფანეს" ცნობით პოლიცია შეიარაღებულია იმ იარაღით, რომელიც სოციალ - დემოკრატებმა მისცეს მთავრობას ყოფილ არსენალიდან.

„მიტაგს ცაიტუნგ"-ი იუწყება, რომ მთავრობას განზრახული აქვს დაშალოს შუცბუნდი და ფრონტელების კავშირი.

საზოგადოებრივი შენობები დღემდე უკავია პოლიციას და ჯარებს. (ადს)

ვენის ამბების გამოძახილი

პრაღა, 20 ივლისი. ვენის ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩეხოსლოვაკიის მუშებზე. ბრატისლავაში შესდგა მასიური მიტინგი ვენის მუშებთან სოლიდარობის ლოზუნგით. პრაღაში სოციალ-დემოკრატებმა პირველი მიტინგი მოიწვიეს მხოლოდ ახლა, როდესაც ვენის მუშების მოძრაობა საბოლოოდ ჩაქრალია. თუმცა პოლიცია შეეცადა, რომ კრებაზე არ გაეშვა კომუნისტები და მათი უმეტესობა ვერ დაესწრო მიტინგს, მაგრამ კრების განწყობილება ისეთი იყო, რომ კომუნისტების წინააღმდეგ გალაშქრების ყოველივე ცდა იწვევდა დამსწრეთა სასტიკ პროტესტს. სოციალ-დემოკრატების მიერ შეტანილი რეზოლიუცია კრებამ უარჰყო.

ქუჩებში და შესახვევებში იმ შენობის გარშემო, სადაც მიმდინარეობდა კრება, შესდგა მფრინავი მიტინგები, რომლებიც მოაწყო კომპარტიამ. მიტინგის დროს მოხდა პატარა შეტაკებები პოლიციასთან. ცენზურა არ უშვებს ცნობებს მიტინგების შესახებ, რომლებიც შესდგა ვენის პროლეტარიატის თანაგრძნობის ნიშნად. ეროვნებათა პროფკავშირების გაერთიანებამ წინადადება მისცა რეფორმისტულ პროფკავშირებს ვენის აჯანყების მსხვერპლთა დაკრძალვის დროს მუშაობის 10 წუთით შეწყვეტის შესახებ. რეფორმისტებმა პირველად უარჰყვეს ეს წინადადება. მაგრამ მუშათა მასების განწყობილება ისეთია, რომ რეფორმისტები იძულებული გახდენ დათანხმებულიყვენ მუშაობის შეწყვეტაზე. ეროვნებათა პროფკავშირების გაერთიანების წარმომადგენლები და ცალკე მუშები გაემგზავრენ ვენაში გამოსვლების მსხვერპლთა დაკრძალვაზე დასასწრებლად (ადს).

დახმარება

ვენის მებრძოლებს

1.000 დოლარის გადაგზავნა

მოსკოვი, 20 ივლისი. რემედასმა დაადგინა დაუყოვნებლივ გადაგზავნოს ავსტრიაში 1.000 დოლარი სისხლისმღვრელ რეპრესიების დროს დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ამასთან ერთად პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა სექციებს და ძმურ ორგანიზაციებს შეუდგენ შემოწირულებათა შეგროვებას. (ადს).

კომუნისტებ. დაპატიმრება

კუნძულ იავაზე

ბერლინი, 1 ივლისი. იავადან მიღებული ცნობით, პოლიციამ ბანდენგში დააპატიმრა რამდენიმე ადგილობრივი ჯარისკაც. „რომლებიც კომუნისტურ პროპაგანდას ეწეოდენ და რომლებმაც სროლა აუტეხეს პოლიციის აგენტებს". პოლიციამ მოახდინა მასიური დაპატიმრება, რასაც ვითომ შედეგად მოჰყვა კომუნისტური ორგანიზაციის აღმოჩენა (ადს).

საარჩევნო კამპანიის რეფორმა სპარსეთში

თეირანი, 19 ივლისი. ქვორუმის ხელოვნურად ჩაშლის რამოდენიმე შემთხვევის შემდეგ, მეჯლისმა მიიღო მთლიანად კანონპროექტი საარჩევნო უფლების შესახებ.

გადაწყვეტილია, აგვისტოდან დაითხოვონ მეჯლისი ერთი თვით. (ადს).

სამხედრო მანევრები

პოლონეთში

კოვნო, 20 ივლისი. ოფიციალურ წყაროდან მიღებულ ცნობებით პოლონეთის და ვილენშჩინის ტერიტორიაზე სწარმოებს წვევამდელ ახალგაზრდობის და მოწაფეთა გაძლიერებული სამხედრო სწავლება და საჩვენებელი მანევრები. შემჩნეულია, რომ მანევრებზე წვევამდელთა ნაწილებს თავს უყრიან პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე და პოლონეთ-ლიტვის სადემარკაციო ხაზზე. 28 ივლისს ტომაშევოში და ბელეცში დაიწყება დიდი მანევრები პილსუდსკის პირადი მეთვალყურეობით (ადს).

ინგლისის კომპარტიის

ლოზუნგები

ლონდონი, 20 ივლისი. ინგლისის კომპარტიის ცეკამ მოიწონა კომინტერნის თეზისები ომის საფრთხისა და ინგლისის კომპარტიის ამოცანების შესახებ.

მემაღაროეთა მოძრაობასთან დაკავშირებით, ცეკამ დაამტკიცა შემდეგი ლოზუნგები:

„მემაღაროეთა ერთიანი პროფკავშირის მოწყობა და ბრძოლა მაღაროს მეპატრონეებთან შეთანხმებისათვის არა რაიონულ, არამედ საერთო ინგლისის მასშტაბით; ინგლის-საბჭოთა მემაღაროეთა საპროპაგანდო კომიტეტის დამტკიცება, როგორც მოსამზადებელი ღონისძიება მემაღაროეთა ინტერნაციონალის შექმნისთვის, რომელიც გააერთიანებს ყველა ქვეყნის, მათ რიცხვში საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშებსაც; ბრძოლა საქვანახშირო მრეწველობის ნაციონალიზაციისთვის აუნაზღაურებლად და მისი მოქცევით მემაღაროეთა კონტროლის ქვეშ".

სპარსეთი და საბჭოთა კავშირი

სპარსეთის პრესა საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების შესახებ

თეირანი, 19 ივლისი. ხმები დადის, თითქოს სპარსეთის მთავრობა იწვევდეს მოსკოვიდან ალი გოლი-ხან-ანსარის, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა კავშირის მთავრობასთან. სპარსეთის პრესა კი კმაყოფილებით აღნიშნავს ანსარის მოქმედებას მოსკოვში.

გაზეთი **„შეფაგ-ელ-სორხი"** ეხება სპარსეთის ეკონომიურ კრიზისს და სწერს:

„მიღებულ ცნობების თანახმად, მოლაპარაკება სპარსეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ უახლოვდება თავის დასასრულს. შეთანხმება მიღწეულია, გაურჩეველი დარჩა მხოლოდ რამოდენიმე საკითხი და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა მალე ნორმალური შეიქმნება". (ადს.

მდგომარეობა ჩინეთში

ჩინეთის რევოლიუციის ღრმა კრიზისმა მეტად გაართულა სამხედრო მოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ რევოლიუციისაგან გათიშულმა ჩინეთის ბურჟუაზიამ მოღალატე გენერლების წყალობით თითქოს საერთო ფრონტი შექმნა ჩრდილოელ მილიტარისტების და უცხოელ იმპერიალისტების წინააღმდეგ, და მოსალოდნელი იყო სამხედრო მოქმედების განცხოველება და მედგარი წინსვლა, პირიქით, ჩვენ ვხედავთ სრულიად წინააღმდეგს. წინად ძლევამოსილი გამარჯვებული ჯარები ჩან-კაი-შის და ფინ-იუ-სიანისა ამჟამად პირიქით მარცხსაც კი განიცდიან ჩრდილოელ მილიტარისტებისაგან. ეს იმით აიხსნება, რომ რევოლიუციისაგან თავზარდაცემული ჩინეთის ბურჟუაზია, კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადასული, ობიექტიური პირობების ძალით ბოლოს და ბოლოს ჩან-ძო-ლინთან უნდა მისულიყო და ასეც მოხდა.

ჩინეთის ბურჟუაზიამ უღალატა რევოლიუციას და დღეს უკვე ღალატობს საერთოდ ჩინეთის ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობას და თავის სამხედრო საერთო ფრონტს, მილიტარისტების და იმპერიალისტების წინააღმდეგ მიმართულს, იბრუნებს რევოლიუციის წინააღმდეგ. ეს ბურჟუაზია უკვე ურიგდება ჩან-ძო-ლინს და მასთან ერთად ილაშქრებს რევოლიუციის ჩასაქრობათ. პირვანდელი მთავარი მიზანი სამხრეთელების ჯარისა უკვე სრულიად იცვლება და ამ ჯარების წინ სრულიად ახალი მიზანი ისმება: ბრძოლა კომუნისტების და გლეხთა მოძრაობის წინააღმდეგ. ეს ახალი მიზანი, რასაკვირველია, მოითხოვს ჯარების სრულიად ახალ სტრატეგიულ გადაჯგუფებას და თვით სამხედრო მოქმედების სახის შეცვლას.

დღევანდელი დეპეშები გვაუწყებენ, თითქო კონტრ-რევოლიუციონურ გენერალთა შორის შეთანხმება მიღწეულია და მომავალი სამხედრო მოქმედების გეგმაც შემუშავებულია. ჩან-ძო-ლინი და იენ-სი-შანი ფინ-იუ სიანთან ერთად იმოქმედებენ პროვინცია ხენანში და გასწმენდენ მას კომუნისტებისაგან; ჩან-კაი-ში თავის ჯარით იმოქმედებს უხანის წინააღმდეგ. მოქმედების საერთო მიზანია პროვინცია ხენანის, ხუ-ბეის და ხუ-ნანის გაწმენდა კომუნისტებისაგან; რა თქმა უნდა, კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა არსებითად ნიშნავს გლეხთა მოძრაობასთან და საზოგადოთ რევოლიუციასთან ბრძოლას. და სწორედ აღნიშნული პროვინციები შეადგენენ იმ ტერიტორიას, სადაც გლეხთა მოძრაობამ და საზოგადოთ მშრომელთა მასების რევოლიუციონურმა მოძრაობამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი.

აღსანიშნავია ისიც, რომ მუკდენსა და ჩან-კაი-შის შორის მორიგების პირობად დადებულია უკანასკნელის მიერ შანდუნის პროვინციის სრულიად დატოვება; აღსანიშნავია კიდევ ის, რომ როგორც იუწყება ამერიკულ გაზეთების კორესპონდენტი, ნანკინის მთავრობა და მუკდენი ნდობის თვალით არ უცქერიან ფინ-იუ-სიანს.

ერთი სიტყვით, ამჟამად ცხადია, რომ ჩინეთის კონტრ-რევოლიუციამ საერთო ფრონტი შექმნა და ამ ფრონტზე ერთსა და იმავე დროს მეთაურობენ სამი გენერალი: ჩან-ძო-ლინი, იენ-სი შანი და ჩან კაი ში, ჩვენ კარგად ვიცით ჩინეთის სამხედრო ისტორიიდან, რომ ასეთ შემთხვევაში უსათუოდ ქიშპობა იჩენს თავს. მით უმეტეს, რომ ეს სამი გენერალი სრულიად ჩრდილავენ და თითქოს ანგარიშში არ ღებულობენ სხვა სამ გენერალს: ფინ-იუ სიანს, ჩან-სუ ჩანს და სუნ-ჩუან-ფანს. რჩება კიდევ ჩან-შაში მოკალათებული ტან-შენ-ჩი. ყველა ამ გენერლებს თავისი მომხრე ჯარები ჰყავთ და თითო მათგანი, თქმა არ უნდა, უმნიშვნელო როლით არ დაკმაყოფილდება.

გამოდის ის რომ, ჩინეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა უბრუნდება პირვანდელ ხანას, როდესაც თითქმის ყველა პროვინციაში უფლობდა დამოუკიდებელი გენერალი თავის საკუთარი ჯარით და ეს გენერლები ერთი-მეორეს ეომოდა.

ჩინეთში შექმნილმა აწინდელმა მდგომარეობამ შეიძლება კვლავ არევ-დარევა გამოიწვიოს სამხედრო მოქმედებაში და თვით რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში კონტრ-რევოლიუციის საერთო ბანაკში იჩინოს თავი რღვევამ და დაშლამ. არ შეიძლება, რომ იგივე მდგომარეობამ არ იქონიოს გავლენა ჯარების მასაზე. ამ დაქირავებულ ჯარისკაცების ღირსება ზნეობრივად რაგინდ დაბლა იდგეს, მათ ეროვნულ განთავისუფლებისათვის ბრძოლის ტრადიციებს სავსებით ვერ წაართმევენ და ეს სამხედრო მასა, რომელიც თითქმის პეკინის კარს მიადგა და ჩინეთის გაერთიანების საქმეს აგვირგვინებდა, ეხლა უნდა მოტრიალდეს უკან და გლეხების და მუშების წინააღმდეგ გაილაშქროს. აუცილებელია, რომ ეს გარემოება მათზე გავლენას იქონიებს და უსათუოდ რღვევას შეიტანს. ყოველ შემთხვევაში, რაც კი ამ ჯარში ცოტათი მაინც ზნეობრივად ჯანსაღია, ჩამოშორდება მას. ეს პროცესი, როგორც ვიცით უკვე დაიწყო ჩან-კაი-შის ჯარში, სადაც დეზერტირობა ბოლო ხანებში მეტად გახშირდა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ჯარების გამარჯვებით წინსვლის დროს, ვიდრე ჩან-კაი-შის და ფინ-იუ-სიანის ღალატი იჩენდა თავს, მოსახლეობის, გლეხობის და საზოგადოთ მშრომელი მასების თანაგრძნობა ამ ჯარისაკენ იყო, რაიც მეტად უწყობდა ხელს ჯარის გამოკვებას და სამხედრო მოქმედებას. ამიერიდან კი ამ მშრომელი მასების დახმარებაზე კონტრ-რევოლიუციონერების ჯარებს ოცნებაც კი არ შეუძლიანთ. ესეც, რა თქმა უნდა, მეტად გაართულებს სამხედრო მოქმედებას და გავლენას იქონიებს ჯარის სულიერ განწყობილებაზე.

ი. ვიდივანიშვილი.

ქართველი მენშევიკების

გასამართლება ხარკოვში

რისი იმედი აქვთ სხვადასხვა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერებს

საუბარი საზოგადოებრივ ბრალმდებელ ამხ. პოპოვთან

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ხარკოვი, 20 ივლისი. თქვენს სპეციალურ კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა ამხ. ვოლკოვთან, რომელიც საზოგადოებრივ ბრალმდებლათ გამოდის ქართველ მენშევიკ-ჯაშუშების პროცესზე.

„თქვენ ალბათ გეცოდინებათ,—განაცხადა ამხ. პოპოვმა,—რომ უკანასკნელ ხანებში საერთაშორისო ჯაშუშური ორგანიზაციები არაჩვეულებრივ გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ საზღვარზე, განსაკუთრებით უკრაინა-ბელორუსიაში. აიხსნება ეს იმით, რომ სხვადასხვა ჯურის რეაქციონური ელემენტები და მათ შორის ქართველი მენშევიკები, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში შეიარაღებული ინტერვენციის ცდა დამარცხდა და საფრანგეთ—ინგლის—იაპონიის ჯარები იუდენიჩ-კოლჩაკ-დენიკინ-ვრანგელის ბანდებთან ერთად იქნენ გარეკილი საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიიდან, მთელ თავის იმედებს ამყარებენ საბჭოთა კავშირის შიგნიდან დაშლაზე. თეთრ-ყვითელი ემიგრანტები ამ დაშლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობას აძლევენ უკრაინას. პარიზში ათასგვარ ფიქტიურ მთავრობებს შორის არსებობს უკრაინის „მთავრობაც". ეს უკანასკნელი, შემდგარი რამდენიმე წმინდა წყლის ავანტიურისტიდან, იმ მიზნით, რათა ნდობა დაიმსახუროს კაპიტალისტური სახელმწიფოების წინაშე, ათასგვარ ჭორებს ავრცელებს საბჭოთა უკრაინის შესახებ. ასე მაგალითად, ამ რამდენიმე ხნის წინათ გაავრცელეს ხმა, თითქო უკრაინის საბჭოთა ყრილობას განზრახვა აქვს ოფიციალურად გამოაცხადოს უკრაინის გამოყოფა საბჭოთა კავშირიდან.

ჩვენ მოგვეპოვება სარწმუნო ცნობები, რომ გაერთიანებულ ემიგრანტების ორგანო „პრომეთე" პოლონეთის ხარჯზე გამოდის. ამ ჟურნალში პეტლიურას მომხრეები ათავსებენ წერილებს, რომლებშიც ამართლებენ ებრაელების დარბევას პოლონეთში. და ასეთ ხალხს ყოფნის უსირცხვილობა ილაპარაკოს უკრაინის „განთავისუფლებაზე".

უკრაინული ემიგრაციის პოლიტიკურმა სპეკულიაციამ და ჭორების კამპანიამ ემიგრაციაში მყოფ ქართველ მენშევიკებს აღუძრა უნიადაგო და სასაცილო იმედები.

1924 წ. აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, როცა მენშევიკებმა თავისი ძალების ყოველგვარი იმედი დაჰკარგეს და დარწმუნდენ, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების აფეთქებას შიგნიდან ვერ შესძლებენ, კურსი აიღეს „საგარეო პოლიტიკაზე", რაც მდგომარეობს იმაში, რომ ისინი კავშირს ამყარებენ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან განდევნილ ემიგრანტებთან, მათ შორის უკრაინელ კონტრ-რევოლიუციონერებთანაც.

რომ გარეშე ფინანსიური დახმარება არა, გაერთიანებულ ემიგრაციას დიდი ხანია ამოხდებოდა სული, მაგრამ საერთაშორისო კაპიტალი დროგამოშვებით უგდებს მათ ლუკმას იმ იმედით, რომ ოდესმე ეს წვრილფეხა ფინიები მას გამოადგება. კერძოთ, უკრაინის მეზობელი პოლონეთი გადაიქცა საბჭოთა კავშირიდან გახიზნულ სხვადასხვა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერების საიმედო თავშესაფარად და პოლონეთის მმართველი წრეები ფინანსიურ დახმარებასაც უწევენ თეთრგვარდიელ ემიგრანტებს.

უკრაინელ რეაქციონერების დიდი რაოდენობა მსახურობს პოლონეთის არმიაში და „ოხრანკაში". ამ რამდენიმე ხნის წინათ, პოლონეთის მთავრობის მფარველობით კრაკოვში შესდგა უკრაინის ემიგრაციის ყრილობა.

ასეთ პირობებში, გასაკვირი არ არის, რომ ქართველმა მენშევიკებმაც მიაქციეს თავისი ყურადღება ასეთ „სტუმართმოყვარე" მასპინძელს და ბევრი მათგანი გადაბარგდა ვარშავაში. ასე მაგ., ვარშავაში დასახლდა მენშევიკების საზღვარ-გარეთელ ბიუროს წევრები კოტე იმნაძე და იოსებ სალაყაია, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ პოლონეთის მთავრობის ზოგიერთ ორგანოებთან—გენერალურ შტაბთან და ოხრანკასთან. პოლონეთის არმიაში მსახურობს სალაყაიას უახლოესი თანამშრომელი გენერალი ზაქარიაძე. პოლონეთის გენერალურ შტაბთან კავშირი აქვს აგრეთვე მეორე ქართველ მენშევიკ-ბანდიტს კოტე იმნაძეს, რომელმაც საქართველოში მოჰკლა მხითაროვი.

საბრალმდებლო აქტის მასალებით უდაოთ არის გამორკვეული, რომ მენშევიკურ აგენტების გადაგზავნ-გადმოგზავნა საბჭოთა ტერიტორიაზე ხდებოდა პოლონეთის გენ. შტაბის ჯაშუშთა განყოფილების დახმარებით.

უდაოთ არის დამტკიცებული აგრეთვე, რომ მენშევიკური ემიგრაციის აგენტები, რომლებსაც პოლონეთის გენერალური შტაბის აგენტები უწყობდენ საბჭოთა საზღვარზე გადასვლის საქმეს, კისრულობდენ წმინდა ჯაშუშურ ვალდებულებებს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთის გენერალური შტაბი საომარი საფრთხის გაძლიერებასთან დაკავშირებით გადაიქცა მეორე ინტერნაციონალის მთელ რიგ პარტიების ყურადღების ცენტრად. პოლონელი სოციალისტები თავიდანვე უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან გენერალურ შტაბში და ოხრანკაში. იქვე მუშაობენ უკრაინელი „სოციალისტები" და ქართველი მენშევიკები".

კითხვა: რატომ ეწოდება პროცესს „ქართველ მენშევიკების პროცესი?".

პასუხი: „მართალია, თუმცა ბრალდებულთა შორის ცოტანი არიან მენშევიკები, მაგრამ ეს არ ცვლის საქმის ვითარებას. ამ საქმის მრავალი მონაწილე—მენშევიკები—სალაყაია, იმნაძე და სხვ. საბრალმდებლო სკამზე ჯერ არ სხედან. გარდა ამისა, კიევის ჯაშუშთა ორგანიზაცია მოწყობილი იქნა მენშევიკური ემიგრაციის მეთაურების ჟორდანია-რამიშვილის დირექტივების თანახმად და არსებობდა მენშევიკების ფულით, რომელიც მიღებული იყო სხვადასხვა კაპიტალისტური ქვეყნების ოხრანკებიდან. მთელ ამ შავ-ბნელ საქმეს იდეურათ და მატერიალურად ხელმძღვანელობდენ მენშევიკები. ამ გარემოებათა გამო სხვა სახელწოდების მიკუთვნება პროცესისათვის შეუძლებელი იყო".

აკ. ჭყონია.

ვის ასამართლებენ

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ხარკოვი, 20 ივლისი. ინტერეს მოკლებული არ იქნება ზოგიერთ ისეთი ცნობების მოყვანა, რომლებიც მორალურად ახასიათებენ ბრალდებულებს—პოლონეთის გენერალური შტაბის ამ ჯაშუშებს.

კაპიტონ ანჯაფარიძე

პირველი ადგილი მათ შორის უნდა დაიჭიროს უსათუოდ **კაპიტონ ანჯაფარიძეს.** ეს არის კაცი უმნიშვნელო პოლიტიკური ცოდნით, რაც არ უშლის მას ხელს დიდი წარმოდგენის იყოს თავის თავზე, აკრიტიკოს საბჭოთა ხელისუფლება და ამისათვის თავისი თავისა და სხვების დასაჯერებლად მოიყვანოს ათასჯერ გადაკოხნილი ჭორები, თითქო ბოლშევიკებმა საქართველოდან წაიღეს ტრამვაის ვაგონები, რომ ოზურგეთის რკინისგზა აშენებულია შავი ზღვის რკინისგზიდან წაღებული მასალებით და სხვ. ანჯაფარიძეს ლაპარაკი არ უყვარს, მაგრამ თუ გააღებს პირს, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ ზემოთ მოყვანილის მსგავსი ჭორები გაიმეოროს. თავისი თავი შესანიშნავ ორგანიზატორად მიაჩნია, თუმცა მისი ორგანიზატორული ნიჭი მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ თავის პარიზელ უფროსების ვერც ერთი დავალების შესრულება ვერ შესძლო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის მჭიდრო კავშირს კიეველ წიკიტნებთან და ვარშაველ ოხრანნიკებთან. ანჯაფარიძე თუმცა ყოფილი ოფიცერია, მაგრამ წერილობით ძლივს ახერხებს თავისი აზრების ჩამოყალიბებას.

„უმწიკვლო" ჯაშუში

საბრალმდებლო სკამზე მჯდომ ჯაშუშთა ბანდის მეორე თვალსაჩინო ფიგურა უსათუოდ პენკოვ-პოლოჟენია. ვარშავის ოხრანკის ამ აგენტზე წარმოდგენის შესაქმნელად საბრალმდებლო ოქმიც არ არის საჭირო—გამოცდილი თვალი ერთის შეხედვით იტყვის, რომ საქმე გვაქვს ტიპიურ ჯაშუშთან.

საინტერესო ის არის, რომ ანჯაფარიძე, გოგლიჩიძე და კოლონაშვილი საუკეთესო აზრის არიან ამ არამზადაზე. ისინი მას უაღრესად კეთილსინდისიერ ადამიანად თვლიან და ამ თავის შეხედულების დასადასტურებლად შემდეგი ფაქტი მოჰყავთ: პოლონეთის ექსპოზიტურაში პენკოვისათვის ერთხელ გადაუციათ 100 დოლარი ვიღაც ჯაშუშისათვის გადასაცემათ უკრაინაში. პენკოვს ეს ჯაშუში ვერ უნახავს და ფული უკან დაუბრუნებია.

აი ის ფაქტი, რომელიც აღტაცების ცრემლებს გვრის თვალზე გაბანდიტებულ ქართველ „პატრიოტებს", რომლებისთვისაც ეს ფაქტი საკმაო არის, რომ მშრომელი ხალხის სისხლით მოვაჭრე იუდა უმწიკვლო ადამიანათ და საუკეთესო მარკის რევოლიუციონერათ გამოაცხადონ.

ნუ თუ იმდენათ ჭკუამოკლეა ეს ხალხი, რომ ჰგონია, თითქო რაღაც ორასი მანეთის გულისათვის ჯაშუში პენკოვი დაჰკარგავდა ასეთ დიდ შემოსავლიან წყაროს, როგორიც არის პოლონეთის ოხრანკაში სამსახური?

კოლონაშვილი

ყველაზე საინტერესო ტიპათ, ფსიქოლოგიურის თვალსაზრისით, უსათუოდ ჩაითვლება კოლონაშვილი, მუდმივი ტოლუმბაში კიეველ ქართველ კონტრ-რევოლიუციონერების სუფრაზე, ყოველგვარ ქეიფის და დროს ტარების „დამამშვენებელი", საქართველოს უდიდესი „მოტრფიალე" ღვინის ხუხვის და კიევის ჯაშუშთა ორგანიზაციიდან „ქანქარის" მიღების დროს. როგორც თვითონ აცხადებს, ერთ დროს ყოფილა მემარცხენე ესერი, თავისი წარსული მოღვაწეობითაც და გარეგნულადაც სტოვებს შთაბეჭდილებას ისეთი ადამიანისას, რომელიც მოკლებულია მტკიცე პოლიტიკურ რწმენას და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ სად და ვის რა გამორჩეს.

ასე მაგალითად, კოლონაშვილი გოგლიჩიძესთან ერთად აშკარა სპეკულიაციას ეწეოდა კიევში. მათ დაამზადეს კიევის ქართული კოლონიის ყალბი ბლანკები და მოტყუებით ნისიათ გამოიტანეს ტეხნიკური თავგის შაქარი და მიყიდეს კერძო პირებს ხუთასი პროცენტი მოგებით.

კოლონაშვილი ოცდაოთხ წლამდე ცხოვრობდა საქართველოში. 1922 წ. განაგებდა გურჯაანის სკოლას, 23-ში უკვე ველისციხის სკოლის გამგეა. 1924 წ. აგვისტოს აჯანყებამდე გამგზავრებულა მოსკოვში, ვითომდა სწავლის მიზნით. კიევში შეირთავს ცოლი. ქორწინებიდან სამი თვის შემდეგ დაუპატიმრებიათ. მიუხედავათ იმისა, რომ სერიოზული ბრალდებები ჰქონდა წარდგენილი, მას საერთო წესით ეძლეოდა ცოლის ნახვის ნება. კოლონაშვილი ამან წაათამამა და მან

გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში
(წერილი პარიზიდან)

ჩვენი გაზეთის ერთმა მკითხველმა ამ დღეებში მიიღო პარიზიდან კერძო წერილი, სადაც გაკვრით მოთხრობილია იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მოახდინა ქართულ ემიგრაციაში ცნობილ ქარცივაძესთან აღმოჩენილ ჟორდანიასა და რამიშვილის წერილების გამოქვეყნებამ.

პარიზიდან მიღებულ წერილში ნათქვამია სხვათა შორის შემდეგი:

„...აღმოჩენილი წერილების გამოქვეყნებამ ერთი ვაი-უშველებელი და შეხლა-შემოხლა გამოიწვია აქ მყოფ ემიგრანტებში. ჯერ კიდევ საფრანგეთის კომპარტიის გაზეთ „ლიუმანიტე"-ში დაიბეჭდა 11 ივნისს ტელეგრამა თბილისიდან, სადაც მოთხრობილი იყო იმის შესახებ, რომ თბილისის გაზეთებში დაიბეჭდა ჟორდანიასი და რამიშვილის წერილები და საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივნის კახიანის საპასუხო წერილებიო. ტელეგრამაში მოყვანილი იყო მოკლედ შინაარსი ჟორდანია-რამიშვილის წერილების. მენშევიკები კატეგორიულად უარყოფდენ იმას, თითქოს ასეთი წერილები გაეგზავნოთ საქართველოში. თუ რატომ უარყოფდენ ამას და რატომ ეშინოდათ სიმართლის თქმის—ქვევით დაინახავ... მაგრამ მენშევიკების მოწინააღმდეგეები ემიგრაციაში არ უჯეროდენ მათ. შემდეგ მოვიდა „კომუნისტი", სადაც მოთავსებული იყო ჯერ რამიშვილის და მერე ჟორდანიას წერილიც. ვინაიდან, „კომუნისტმა" გამოაქვეყნა არა მარტო წერილების ტექსტი, არამედ ხელნაწერის კლიშეებიც—ამ გარემოებამ მთლად მოსპო მენშევიკები და მთელი ემიგრაციის თვალში ისინი გამოვიდენ მატყუარებად. ამის გამო კიდევ უარესი აურ-ზაური ატყდა განსაკუთრებით ემიგრაციის იმ ნაწილში, რომელსაც უხეშად იხსენიებენ წერილის ავტორები. ისედაც გამწვავებული მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. ამის შედეგი იყო ის, რომ ეგრედ წოდებულ ლეგაციის ბინაზე ორჯერ ლაზათიანად მიბრეგვეს ნოე რამიშვილი. მაგრამ, როგორც ეტყობა, საქმე მარტო ამით არ გათავდება"...

მთავრობამ ნება დართო გ. ლორთქიფანიძეს ჩამოვიდეს საქართველოში

საქართველოს ყოფ. მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძემ, რომელიც გადასახლებულია ქ. კურსკში, მიმართა საქართველოს მთავრობას თხოვნით დროებით საქართველოში ჩამოსვლის შესახებ. მთავრობამ დააკმაყოფილა მისი თხოვნა.

მოინდომა უფრო მეტი „თავისუფლება". იგი სწერს შემდეგ განცხადებას: „ვერ მივიღე პირადი ნახვის ნებართვა, რომ ერთხელ მაინც მეკოცნა ცოლისათვის და მიმელოცნა ფეხმძიმობის კარგად დასრულება". უნდა აღინიშნოს, რომ კოლონაშვილი ამას სწერდა იმ დროს, როცა მას, საერთო წესით ცოლის ნახვის გარდა, მიცემული ჰქონდა ნება საკანში წაეყვანა თავისი ბავში.

„ბიჭიკო" გოგლიჩიძე

გოგლიჩიძემ, რომელსაც მეტ სახელად „ბიჭიკოს" ეძახიან, როგორც ვიცით, ექიმის პროფესიას ამჯობინა მენშევიკ და არა მენშევიკ ჯაშუშების გადაყვან-გადმოყვანა საბჭოთა საზღვარზე და კავშირი პოლონეთის ოხრანკასთან და კიეველ „სპირტოვჩიკებთან". ხასიათი მშვიდი, გამოხედვა სულელური.

უყვარს ფულების ფლანგვა. უკანასკნელ თვისებას თუ მხედველობაში არ მივიღებთ, სავსებით ისეთი ტიპია, რომელიც პოლონელ ჯაშუშებს ესაჭიროებათ.

მიკიტანი ბერუაშვილი

ამ ქართველ და უკრაინელ სოციალ-ჯაშუშების წრეში იმყოფება კიეველი მიკიტანი ბერუაშვილი, მეფის არმიის ყოფ. მწერალი, ტიპიური დერჟიმორდა, რომელიც თავის თავს სტუდენტს უწოდებს, თუმცა ვერ აუხსნია, როგორ მოხდა ის, რომ სტუდენტობას მიკიტნობა ამჯობინა. რომ შეხედავ და მოუსმენ, იმ წამსვე იფიქრებ—დავით კლდიაშვილის მოთხრობების გმირთან მაქვს საქმეო. უყვარს უზომო ტრაბახი, ათასგვარი ჭორების და ზღაპრების ნამდვილი გუდაა. როცა გეპეუში ამოჰყო თავი, საშინლად დაფრთხა და გასცვინდა მთელი თავისი მიკიტნური პატრიოტიზმი.

ასეთია ის კომპანია, რომელიც პოლონელ ჯაშუშების საშუალებით აპირებდა საქართველოს „განთავისუფლებას". თუმცა მთელი ამ ბანდის უმრავლესობა შესდგება ინტელიგენტებიდან: ოფიცრებიდან, იურისტებიდან, აგრონომებიდან და ექიმებიდან, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ყველა ისინი ახდენენ უვიცებისა და კრეტინების შთაბეჭდილებას.

„სელამ ალეი-ქუმ" და „ლამაზი ქალი"

როგორც საბრალმდებლო ოქმიდან ირკვევა, ჯაშუშების პაროლი კიევში იყო „ლამაზი ქალი" და „სელამ ალეი-ქუმ".

მაგრამ ქართველმა ჯაშუშებმა ვერ აჯობეს „თავაზიანობაში" უკრაინის გეპეუს აგენტებს, რომელთაც თვითონაც კარგათ სცოდნიათ ამ თურქული სიტყვებით გამოთქმული მისალმება.

— სელამ ალეი-ქუმ,—დაასწრეს მათ ანჯაფარიძე—პენკოვის კომპანიას და შიაბრძანეს გეპეუში.

აკ. ჭყონია.

მიწისძვრის შედეგები პალესტინაში

ლონდონი, 19 ივლისი. პალესტინის უზენაესი კომისრის ცნობით, **მიწისძვრისაგან მოკლულია 200 კაცი, მძიმედ დაჭრილია 356, მსუბუქად დაჭრილია — 375 კაცი. ვარაუდით, ძლიერ დაზიანებულია 1.000 სახლი.** დანგრეულ შენობების რაოდენობა ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გამოკვლეული.

ყველაზე ძლიერ დაზარალდა ქ. **ლიდდა, ნებლუზი, რამლეხი და იერუსალიმის რაიონის სოფლები.**

ტრანსიორდანიაში მოკლულია 68 კაცი, ხოლო დაჭრილი —102. ცნობები დაზარალებულთა შესახებ არ არის სრული, მაგრამ გამორკვეულია, რომ ყველაზე ძლიერ დაზარალდა ამმანი, სალტირბიდი და კაფრინჯი.

პალესტინის ყველა ადგილებში მოწყობილია ადგილობრივი დამხმარე კომიტეტები. უზენაესმა კომისარმა დაიწყო შემოწირულებების აკრეფა დაზარალებულთა დამხმარე ფონდში (ადს).

საკომ და ვინცეტიმ შიმშილობა გამოაცხადეს

ნიუ-იორკი, 19 ივლისი. **საკომ და ვანცეტიმ გამოაცხადეს შიმშილობა და მოითხოვდენ, რომ კვლევა-ძიება, რომელსაც გუბერნატორი აწარმოებს, საჯაროდ ხდებოდეს.** ეხლა წარმოებულ კვლევა-ძიების დროს საიდუმლოთ დაჰკითხეს იმ პირებს, რომლებიც წინედ მოწმეებად გამოდიოდა საკოსა და ვანცეტის საქმეზე. გავრცელებული ხმების მიხედვით გუბერნატორი მტრულად არის განწყობილი საკოსა და ვანცეტის მიმართ. **დამცველთა კომიტეტი ფიქრობს გამოუშვას მოწოდება საკოსა და ვანცეტის სასარგებლო დემონსტრაციის მოწყობის შესახებ.** (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

მოლაპარაკება ჩან-კაი-შისა და ჩან-ძო-ლინის შორის

პეკინი, 20 ივლისი. ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ პეკინში ძლიერ საიდუმლოდ ჩავიდა ჩან-კაი-შის წარმომადგენელი ფან-ცუნ-ლენი და დაიწყო მოლაპარაკება მუკდენის სარდლობასთან სამხრეთის და ჩრდილოეთის შეთანხმების შესახებ. სააგენტოს ცნობით ჩან-კაი-შის პირობები შემდეგია: ჩან-ძო-ლინი უნდა დაბრუნდეს მუკდენში მუკდენის მმართველ ზედა ფენებთან ერთად. ამავე დროს, მას, თუ მოისურვებს, შეუძლია შეინარჩუნოს უმაღლესი მმართველის წოდება; ცენტრალური მთავრობა უნდა შესდგეს ნანკინის, პეკინის და ტაიუანფუს (ესე იგი ენ-სი-შანის) წარმომადგენელთაგან; ამ მთავრობამ უნდა განაგრძოს ბრძოლა კომუნიზმის წინააღმდეგ; მდგომარეობის მოწესრიგების შემდეგ უნდა მოწვეულ იქნეს ეროვნული კრება. (ადს)

შეთანხმება „კომუნისტების განდევნის შესახებ"

პეკინი, 19 ივლისი. სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ცნობებით, **ჩან-ძო-ლინმა ენ-სი-შანის რჩევით იან-იუ-ტინი** დაინიშნა მუკდენის ჯგუფების წარმომადგენლად არა ოფიციალურ საზავო მოლაპარაკების საწარმოებლად ლი-ჩი-ფანთან.

ჩან-ძო-ლინის წარმომადგენლის იან-იუ-ტიანსა და ენ-სი-შანს შორის მოლაპარაკების შედეგები ასეთია: მუკდენი, ნანკინი და შანსი უთანხმდებიან ერთმანეთს „კომუნისტების გასადევნად" ხენანის, ხუნანისა და ხუბეის პროვინციებიდან; მუკდენი და შანსი შეთანხმებულად მოქმედებენ ფინ-იუი-სიანთან ხენანში, ნანკინი კი გაილაშქრებს უხანის წინააღმდეგ; შანდუნისა და ნანკინის ჯარები სწყვეტენ ურთიერთ შორის საომარ მოქმედებას; მუკდენი სცნობს სუნ-იატსენის სამ პრინციპს და ნებას რთავს გომინდანს დაარსოს მუკდენის ტერიტორიაზე გომინდანის ადგილობრივი განყოფილებები სუნიატსენიზმის გასავრცელებლად ფართო მასებში. (ადს).

ჩან-კაი-შის ბანაკში

შანხაი, 19 ივლისი. „ნორდ ჩაინა დეილი ნიუსი" აქვეყნებს მთელ რიგ წერილებს, რომლებშიც არკვევს ჩან-კაი-შის ბანაკში შექმნილ მდგომარეობას.

გაზეთი აღნიშნავს, რომ **ნანკინის მთავრობა დიდ ეკონომიურ და ფინანსიურ გაჭირვებას განიცდის.**

ნანკინის მომხრეები იყოფიან ორ ჯგუფად— გუანდუნისა და ჩჟეცზიანის ჯგუფად. ჩჟეცზიანის ჯგუფი იჭერს ყველა ხელმძღვანელ ადგილებს ნანკინში და სდევნის გუანდუნელებს, რომლებიც მაინც უწევენ წინააღმდეგობას. **ნანკინელებში საკმაოდ ძლიერია ის ჯგუფი, რომელიც ემხრობა ბრძოლას უხანის წინააღმდეგ, მაგრამ არის მეორე ჯგუფის, რომელიც მოითხოვს ხანკოუსთან შეთანხმებას. ასეთივე ჯგუფი არსებობს, აგრეთვე, ხანკოუშიც. მთავარი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ხანკოუსთან შერიგების მომხრენი მოითხოვენ ჩან-კაი-შის გადაყენებას, ხოლო ნანკინთან შერიგების მომხრენი მოითხოვენ ბოროდინის, ვან-ტინ-ვეის და ტანენდას გაძევებას.**

გაზეთი ამტკიცებს, რომ კუნი იმისთვის მიემგზავრება ხანკოუში, რათა სუნ-ფო და სუნ-ოტ-სენის ქვრივი დაითანხმოს ნანკინთან შეერთებაზე. კუნმა ვერ მიაღწია თავის მიზანს და ამიტომ გაემგზავრა ჩენ-ჯოუში ფინ-იუი-სიანთან.

წარსულ კვირას სუნი გაემგზავრა ხანკოუში, რათა იქ დაეწყო მოლაპარაკება ზავზე, მაგრამ მისმა ცდამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო (ადს).

შანდუნის ფრონტზე

შანხაი, 19 ივლისი. მემარჯვენე გომინდანელების ორგანო „ჩაინა კურიერ" სწერს: „ცნობები სამხედრო მდგომარეობის შესახებ შანდუნის პროვინციაში მეტად ღარიბია; მაგრამ უმთავრესად იაპონურ წყაროებიდ. გავრცელებული ხმები ნანკინის ჯარების დამარცხების შესახებ სიმართლეს არ შეეფერება. ნანკინის არმიებს შენარჩუნებული აქვთ დაპყრობილი პოზიციები, ჩრდილოეთის ჯარები კი უკან იხევენ და არ სურთ ომი ფინ-იუ-სიანის ჯარებთან; რომლებიც შეტევაზე გადავიდენ". (ადს).

ნანკინი ემზადება უხანის წინააღმდეგ გასალაშქრებლად

შანხაი, 19 ივლისი. პრესა იუწყება იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც სწარმოებს ჩან-კაი-შისა და ანგოცზოუშის ბელადებს შორის დროებითი ზავის ჩამოგდების საკითხის შესახებ.

გაზეთები იუწყებიან, რომ მოლაპარაკება გამოწვეულია ნანკინის ჯარების მოსალოდნელ გალაშქრებით უხანის წინააღმდეგ. პრესა აღნიშნავს, რომ „ხანკოუში ჯერ კიდევ ბატონობენ კომუნისტები და მათი განდევნა უხანის მთავრობიდან მეტად ნელა და გაუბედავად სწარმოებს". პრესა დაჟინებით ავრცელებს ხმებს „ფინ-იუი-სიანის არაგულწრფელობის" შესახებ, რადგან მას მიუხედავათ ჩან-კაი-შისთან შეთანხმებისა, თითქოს კავშირი აქვს უხანის მთავრობასთან; გაზეთები აქვეყნებენ ცნობას, თითქოს ფინ-იუი-სიანმა უხანის მთავრობისაგან ამას წინად მიიღო 20.000 თოფი.

ნანკინში თავს იყრის ნანკინის ჯარების უმაღლესი სარდლობა, რომელიც პირველი ბრძანებით მიღებისთანავე მზადაა გაილაშქროს თავისი ჯარებით უხანის წინააღმდეგ. ნანკინში თავმოყრილია საუკეთესო ჯარები და საზღვაო ძალები.

გაზეთებს ამ ცნობებიდან გამოჰყავთ დასკვნა, რომ **მახლობელ დღეებში აუცილებლად მოხდება შეტაკება ნანკინსა და უხანს შორის. გაზეთები იუწყებიან აგრეთვე, რომ უხანის ჯარებმა წინ წაიწიეს მდინარე იანცზის მიმართულებით.** ზოგიერთ წრეებში უარჰყოფენ ნანკინსა და უხანს შორის სამხედრო მოქმედების დაწყების შესაძლებლობას. (ადს).

ომი თუ ზავი?

შანხაი, 19 ივლისი. ამერიკის გაზეთების კორესპონდენტები იუწყებიან, რომ **ხანკოუში ჩავიდა ჩან-კაი-შის წარმომადგენელი ტუ-სუნი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს უხანის მთავრობასთან ნანკინისა და უხანის შეთანხმების შესახებ.** ჩან-ძო-ლინთან სამშვიდობო მოლაპარაკებასა და უხანის წინააღმდეგ ნანკინის ჯარების კონცენტრაციის შესახებ გავრცელებულ ხმებს ზოგიერთ წრეებში ხსნიან როგორც დემონსტრაციას ფინ-იუი-სიანის წინააღმდეგ, რომელთანაც დამოკიდებულება არ ითვლება „მაინცა და მაინც ნორმალურად". (ადს).

ჩრდილოეთის ფრონტზე

პეკინი, 19 ივლისი. შანსის ჯარებმა დაიკავეს შიშაჩუნი, შანსისა და ჩჟილის პროვინციების საზღვარის მახლობლად. **ჩრდილოეთის ჯარებმა, რომელთაც ეს ქალაქი ეკავათ, ჩრდილოეთისაკენ დაიხიეს.**

ჩჟუნბეის სააგენტოს ცნობით, შანდუნის ჯარებმა კვლავ დაიკავეს ლინჩენი, სუნ-ჩუან-ფანის ჯარები სამხრეთის მიმართულებით მიიწევენ წინ. (ადს).

ბოროდინას განთავისუფლების შემდეგ

პეკინი, 19 ივლისი. ჰოვენის სააგენტო იუწყება: „**იუსტიციის მინისტრმა სამსახურიდან დაითხოვა მოსამართლე ხოჩუნი. გამოიცა ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ.** ხო-ჩუნის სამსახურიდან დათხოვნა და დაპატიმრებას უკავშირებენ ბოროდინასა და სამ საბჭოთა დიპლომატიურ კურიერის განთავისუფლებას. ჩინეთის რწმუნებული მოსკოვში ჩენ-იან-სი ტელეგრაფით შეეკითხა პეკინის შინაგან საქმეთა სამინისტროს—მართალია თუ არა ცნობები სასამართლოს მიერ ოთხი საბჭოთა მოქალაქის განთავისუფლების შესახებ? სამინისტრომ უპასუხა, რომ თუმცა სასამართლომ დაადგინა გაანთავისუფლოს ბოროდინა და სამი დიპლომატიური კურიერი, მაგრამ სასამართლოს დადგენილება გაასაჩივრა პროკურორმა, რომელიც საქმის ხელახალ გამოძიებას მოითხოვს". (ადს).

უცხოეთის ჯარები ჩინეთში

შანხაი, 20 ივლისი. ამჟამად ჩინეთში, გონკონგისა და მანჯურიის ჩათვლით, იმყოფება 100.000-დე უცხოელი ჯარები, მათ შორის ინგლისელების—44.000, იაპონელების—29.000, ამერიკელების—14.000 და ფრანგების—6.000. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ეკონომიური კრიზისი შანხაიში

შანხაი, 19 ივლისი. სამოქალაქო ომმა, პოლიტიკური მდგომარეობის მერყეობამ და შინაური ბაზრის შევიწროვებამ დიდი ეკონომიური ზიანი მიაყენეს შანხაის. საზღვაო საბაჟო სამმართველოს ცნობებით, შანხაის იმპორტი შემცირდა 30 პროც. ტაელის სყიდვითი ძალა, წინა წელთან შედარებით, 24 პროც. დაეცა. ძლიერ დაეცა აგრეთვე აქციებისა და ფასიანი ქაღალდების კურსი. მაგალითად, საკაუჩუკო საწარმოთა აქციების კურსი დაეცა 40 პროც.; შანხაის მუნიციპალიტეტის ობლიგაციები—70 პროც. მთელ რიგ საფეიქრო საწარმოებს არ გადაუხდიათ წელს დივიდენდი. სხვა სამრეწველო საწარმოებმა საგრძნობლად შეამცირეს დივიდენდი. ბევრი მსხვილი ვაჭარი გაკოტრდა. უმუშევრობა იზრდება ნანკინის მთავრობის გამგებლობაში არსებულ მთელს ტერიტორიაზე. აბრეშუმის ფაბრიკები მეტად მძიმე მდგომარეობაშია. გამომცემლობის საქმე განიცდის დიდ კრიზისს; შანხაის სტამბებში შესწყვიტეს მუშაობა. ნანკინის მთავრობის მიერ შემოღებული ახალი გადასახადები პროტესტს იწვევს ჩინელ მრეწველობაში, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ მოუხდებათ წარმოების ან შემცირება ან და სრულიად შეწყვეტა. (ადს).

სოციალ-დემოკრატები თალითობენ

ბერლინი, 19 ივლისი. გერმანიის პროფკავშირების გაერთიანებამ უპასუხოდ დასტოვა გერმანიის კომუნისტურ პარტიის წინადადება მუშაობის 15 წუთით შეწყვეტის შესახებ ვენის ამბების მსხვერპლთა დასაფლავების დროს, მაგრამ მათი პოზიციიდან აშკარად სჩანს, რომ ისინი უარყოფენ ამ წინადადებას. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბერლინის ორგანიზაციის ხელმძღვანელობამაც უარი განაცხადეს კომუნისტებთან მოლაპარაკებაზე ამ საკითხის გარშემო.

თავდასხმა ამერიკის კონსულზე

პარიზი, 20 ივლისი. გუშინ ნიცაში ამერიკის შეერთებულ შტატების კონსულის სახლში ჩააგდეს ბომბა. მატერიალური ზარალი აფეთქებისაგან საგრძნობია. თავდასხმის მიზანი გამოურკვეველია, თავდამსხმელები არ აღმოუჩენიათ. (ადს).

მღელვარება ფრანგ ჯარისკაცებს შორის

პარიზი, 20 ივლისი. შერბურგში მარქაფიდან გამოსულმა მეზღვაურებმა მოაწყვეს დემონსტრაცია „ინტერნაციონალის" სიმღერით. დაპატიმრებულია ორი რკინის გზელი. წაქეზებისათ-

კომპარტია არალეგალურ მდგომარეობაში გადადის

ხანკოუ, 19 ივლისი. გავრცელდა ხმები, რომ გომინდანის ცეკა დაეთანხმა ტან-შენ-ჩის მისი ჯარებიდან კომუნისტების განდევნის შესახებ, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება დახვრეტებს.

კომპარტია გადადის არალეგალურ მდგომარეობაზე და ამ მიზნისათვის ღებულობს სათანადო ღონისძიებებს. შექმნილია ცეკას ბიურო. კომუნისტი მინისტრები გავიდენ ნაციონალური მთავრობიდან.

ჩინეთის კომპარტიის მდივანს ჩენ-დუ-სიუს და მიწათმოქმედების ყოფ. მინისტრს, კომპარტიის ცეკას წევრს ტან-პინ-სიანს განზრახული აქვთ ახლო მომავალში გაემგზავრონ მოსკოვში. (ადს).

ვენის გაზეთები

ვენა, 19 ივლისი. ვენაში „როტე ფანე" გარდა, გამოვიდა ყველა დანარჩენი გაზეთები.

ავსტრიის კომპარტიის ორგანოს დაბეჭდვა იმიტომ იყო შეუძლებელი, რომ ქალაქის ელექტრო-სადგურის სოციალ დემოკრატიულმა დირექციამ არ მისცა ელექტრონის ენერგია გაზეთის სტამბას. დაპატიმრებულია მრავალი გაზეთის დამტარებელი, რომლებსაც ბინებში დაჰქონდათ „როტე ფანე".

პოლიციამ მოახდინა გაზეთ „აბენდის" კონფისკაცია, რადგან ის სასტიკად აკრიტიკებდა მთავრობას. გაზეთის მეორე გამოშვება შემცირებულია ცენზორის მიერ.

გაზეთები აავსებენ ცნობებს საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრების შესახებ.

მენშევიკურ ტერორის მსხვერპლნი

ბერლინში, „ლერტერ ბანჰოფის" სადგურის რაიონში ახალი შენობის აგების დროს ამ რამოდენიმე ხნის წინათ მიწის ქვეშ აღმოაჩინეს ადამიანის ჩონჩხები, რომლებზეც კირი იყო გადასხმული. ამტკიცებენ, რომ ეს ჩონჩხები ეკუთვნის 1919 წ. ჯალათ —მენშევიკ ნოსკეს აგენტების მიერ შეპყრობილ სპარტაკოველებს. სურათზე — ბერლინის საიდუმლო პოლიცია ათვალიერებს კალათში ნაპოვნ ძვლებს და თავის ქალებს.

მსოფლიოს ამბები და ქართველი ხალხი

9.

პირველი შემთხვევა, როცა ევროპა კოლონიალურ მდგომარეობაში ჩავარდა

აღმოსავლეთის ქვეყნები, რომლებმაც თავიანთი მეფეები და მონარქიები ისტორიის არქივს ჩააბარეს. აღმოს. ის ხალხები, რომელნიც მძაფრ, მეტად მძიმე პირობებში და მძიმე მსხვერპლით რევოლიუციონურ ბრძოლებს აწარმოებენ, რათა სოციალისტური კოლექტიური შემოქმედებით შექმნან საკუთარ ცხოვრების ნიადაგზე შინაური ეკონომიკა და შინაური კულტურა—ყველა ეს ქვეყნები სულიერად და მატერიალურად გაერთიანებულნი, საერთო ინტერესებით გაჟღენთილნი და აღფრთოვანებულნი აღმოსავლეთის და კოლონიალურ ხალხების ყოველ რევოლიუციონურ გამოსვლებში სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი. ერთი მათგანის გამარჯვება დანარჩენების მდგომარეობის განმტკიცება, თვითეულის რევოლიუციონური მონაპოვარი ყველა მათგანის საფუძვლის განმტკიცება, საერთო მტრის რეაქციის და იმპერიალიზმის შესუსტებაა.

დიაღ, აღმოსავლეთის ყველა ქვეყანა უაღრესად დაინტერესებულია აღმოსავლურ საერთო რევოლიუციაში, მთელი აღმოსავლეთის განთავისუფლებაში, მაგრამ ეს იოტის ოდნავადაც იმას არ ნიშნავს, რომ აღმოსავლეთის განახლებულს და რევოლიუციონურ სოციალისტურ მთავრობებს არ აინტერესებდეს შიდა ევროპის მდგომარეობაც, თვით შიდა ევროპის რევოლიუციის ვითარება, თვით შიდა ევროპის რეაქციის და რევოლიუციის ძალების ჭიდილი, თვით შიდა ევროპის კაპიტალიზმის და სოციალიზმის ჭაპან-წყვეტა.

თუ აღმოსავლეთ ქვეყნების რევოლიუციონური გამარჯვება საიმედო ფერმენტია აღმოსავლური ახალი სოციალისტური კულტურის შესაქმნელად, ევროპის რევოლიუცია აღმოსავლეთის ხალხების რევოლიუციონურ - სოციალისტურ სულისკვეთებას და აღმშენებლობას კიდევ უფრო განამტკიცებს, კიდევ უფრო გააძლიერებს, კიდევ უფრო დააჩქარებს სოციალისტურ აღმშენებლობის პროცესს.

რას გვანახებს ჩვენ ევროპა ამ მხრივ? რა ნიშნებს ((სიმპატიებს) იძლევა იგი? არის თუ არა რევოლიუციის საფუძვლები ევროპაში თუ ევროპა ისევე განაგრძობს იმ გზას, რომელსაც ის ადგა 1871 წლის კომუნის შემდეგ.

წინა წერილებში, როდესაც ჩვენ ვწერდით ევროპის შესახებ, მხედველობაში მუდამ გვქონდა ევროპა 1914 წლის ომამდე, რასაკვირველია, ჩვენ მიერ დასმულ კითხვას პასუხი უნდა გავსცეთ ძველი ევროპის დახსოვნებით, მაგრამ ახალ ევროპის უკანასკნელი, უახლოესი მდგომარეობის ანალიზით.

ამ საკითხის მეცნიერული გაშუქებისათვის ჩვენ ამჟამად ძალიან კარგი მასალა მოგვეპოვება, არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ოდნავადაც მნიშვნელოვანი ეკონომისტი და პოლიტიკური მოღვაწე, რომ ამ საკითხის შესახებ თავისი აზრი არ გამოეტანოს. ბევრს ევროპის მდგომარეობის ანალიზი იმედს აძლევდა სულ მოკლე ხანში ევროპიულ რევოლიუციების წარმოშობისა, ზოგი გადაჭრით ამტკიცებდა საერთო ევროპიულ კულტურის მთელს დეკადანსს, ზოგისათვის კი ევროპა რჩებოდა ძველსავე ევროპად, სადაც კაპიტალიზმის განმტკიცება, კაპიტალიზმის სტაბილიზაცია ნორმალურად წარიმართება და არავითარ რევოლიუციის იმედი არ შეიძლება.

ჰკითხეთ დღეს ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილს, შეიძლება თუ არა მახლობელს ისტორიულ პერიოდში რევოლიუცია ევროპაში— ისინი მყისვე გიპასუხებენ,—არა, არ შეიძლება. ჰკითხეთ მათ— მოხდა თუ არა, ან ხდება თუ არა ევროპის კაპიტალიზმის სტაბილიზაცია ((განმტკიცება) დღეს,— ისინი უეჭველად გიპასუხებენ, დიაღ, ევროპის კაპიტალიზმი მტკიცდება, აქ ჩვენ კაპიტალისტურ სტაბილიზაციას ვხედავთ.

არა თუ ჟორდანია და რამიშვილი მსჯელობენ ასე, არამედ გერმანიის სოც. დემოკრატიის მთავარს გაზეთში, — „ფორვერტს"-ში ამ დღეებში წერილი დაიბეჭდა, სადაც რედაქცია ამტკიცებს ევროპის სტაბილიზაციას (იხ. „ფორვერტს"-ში № 160, წერილი: „Wird Europa amerikanische Kolonie").

არა მარტო ასეთ ფაქტებს, ჩვენ ვხედავთ ევროპაში კიდევ უფრო მნიშვნელოვან მოვლენას: რეაქციის თანდათან განმტკიცებას, მემარჯვენე ელემენტების უფრო მეტს და გაბედულს თარეშს, რომელნიც ერთი შეხედვით და გარეგნულად გამომხატველი უნდა იყოს ევროპის კაპიტალიზმის განმტკიცება — სტაბილიზაციის. მაგრამ მიუხედავად ყველა ამებისა, ჩვენ სრულიად სხვა აზრი უნდა გვქონდეს თანამედროვე ევროპაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპიული კაპიტალიზმის სტაბილიზაციის ბუნება სულ სხვა საგანი შეიქნა, შესასწავლი გახდა თვით ამ სტაბილიზაციის ბუნებაც, ვინაიდან ევროპის რეაქციის გასამართლებლად სრულიად არ არის საკმაო სტაბილიზაციის ზოგიერთი მასალების მოყვანა.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნუსხოთ, რომ აღარ არსებობს ევროპის კაპიტალიზმის ის სტაბილიზაცია, რომელსაც ადგილი ქონდა 1914 წლამდე. არსებითად ევროპის პრობლემა სტაბილიზაციის საკითხში კი არ არის ჩამარხული, არამედ ჰეგემონიის უპირატესობის პრობლემაში. ევროპიულ კაპიტალიზმის სტაბილიზაციის გამორკვევა და დამტკიცება იოტის ოდნავადაც არ ნიშნავს მსოფლიო ომამდე არსებულ ევროპის ძალის დამტკიცებას. სტაბილიზაცია არ არის მთავარი საკითხი, მთავარი საკითხია ჰეგემონიის საკითხი. ამიტომ, როცა ჩვენ გვინდა ევროპის მდგომარეობა შევისწავლოთ და საშემდეგიო მისი მამოძრავებელი ძალები ნათელვყოთ, ამისათვის განხილულ უნდა იქმნას ევროპის ჰეგემონიის როლი მსოფლიოში.

ევროპის სახელმწიფოების სამსოფლიო ჰეგემონია ციფრებით და დიაგრამებით, რომ გამოიხატოს, ყველაზე კარგად ამ ჰეგემონიას ჩვენ გვიჩვენებს იმ ხალხების დაპყრობა - დამონავება, რომელზედაც კაპიტალისტური ქვეყნები გაბატონდნენ, 1914 წლისათვის სულ ირიცხებოდა 523,4 მილიონი მცხოვრები, რომელნიც კოლონიალურ მდგომარეობაში იყვნენ, ხოლო ამ რიცხვიდან 494,5 მილიონი ხალხი იყო ევროპის სახელმწიფოების უღელის ქვეშ, ე. ი. ევროპას ემორჩილებოდა 94,5 პროც. ყველა დამონავებული ხალხებისა, ხოლო რაც 5,5 პროც. იყო ამერიკის შეერთებულ შტატების და იაპონიის უღელის ქვეშ. 273,8 მილიონ ხალხიდან, რომელნიც იმყოფებოდნენ 1875 წელს კოლონიალურ მდგომარეობაში ამერიკას და იაპონიას არ ჰყავდა არც ერთი კოლონიალური მცხოვრები, არ გააჩნდა არც ერთი ადლი მიწა-კოლონია.

ამ მდგომარეობას ჰქონდა ევროპის ჰეგემონიისათვის უდიდესი მნიშვნელობა. გიფფენის გამოანგარიშებით ინგლისის შემოსავალი 1865 - 1899 წლებში გაიზარდა მხოლოდ ორჯერ, მაგრამ შემოსავალი კოლონიებიდან გაიზარდა ათჯერ. სარტორიუსის გამოკვლევით გერმანია ღებულობდა მოგებას კოლონიებიდან არა ნაკლებ 1.240 მილ. მანეთს, საფრანგეთი — 1.500 მილიონ ფრანკს, ინგლისი კი 1.500 მილიონ მანეთს, კალვერი ამტკიცებდა ომამდე, რომ ინგლისი იმყოფება მსოფლიოსათვის ფაბრიკანტის მდგომარეობაში და ამავე დროს იგი იყო მსოფლიოს ბანკირი. ინგლისს იმდენად დიდი ფინანსიური შეძლება ქონდა ომამდე, რომ იგი ყოველ წლიურად აძლევდა დანარჩენ ქვეყნებს სესხად და წარმოებისათვის თავის კაპიტალის (მოგების) თითქმის 85 პროც., რაიცა უდრიდა 264 მილ. გირვანქა სტერლინგს, ე. ი. რუსულ ფულზე 2.600 მილიონ მანეთს.

მაგრამ გაქრა ეს ოქროს ხანა კერძოთ ინგლისის და საერთოდ ევროპის ჰეგემონიისა. ძლიერების სასწორი ევროპიდან ამერიკაში გადავიდა და ერთხელ ინგლისის კოლონია - შეერთებული შტატები დღეს მთლად ზურგზე წამოასკუპდა ინგლისს. მთელს მსოფლიოში ამჟამად არსებობს 9 მილიარდის ოქროს ფული ხოლო აქედან მარტო ერთ შეერთებულ შტატებს აქვს 5 მილიარდის ოქრო. ომამდე ამერიკა ინგლისის ვალში იყო ჩაყურყუმელავებული, ახლა კი ამერიკამ მთლად დაფარა თავისი ვალი, ხოლო ინგლისს აქვს ამერიკის ვალი 4,5 მილიარდი დოლლარის, საფრანგეთს აქვს 4,2 მილლიარდი ამერიკის ვალი, იტალიას — 2,1 მილიარდი დოლარი, ბელგიას, — 0,4 მილიარდი დოლლარი. ესე იგი ევროპის მარტო ამ ხსენებულ უმთავრეს სახელმწიფოებს აქვს ამერიკის ვალი 11,2 მილიარდი დოლლარი, ანუ 22,5 მილიარდი ოქროს მანეთი.

არასოდეს, ისტორიის არც ერთს მომენტში ინგლისს, რომელმაც მთელს მსოფლიოში მოიპოვა ჰეგემონია, რომელმაც თავის ბრჭყალებში დააყენა 400 მილიონი ხალხი— მონა, არ ქონებია ასეთი საშუალებანი და ასეთი სიმდიდრე.

ევროპამ მხოლოდ პირველად ეხლა იგრძნო და იგემა ნამდვილი დამარცხება და ჰეგემონიის დაკარგვა. მაგრამ ვიდრე ამ შესანიშნავ მოვლენის სხვა მხარეებსაც გავეცნობოდეთ ჩვენთვის მეტად საჭიროა იმ მდგომარეობის, ნამდვილი კოლონიალური მდგომარეობის დახასიათება, რომელშიაც ევროპა ჩავარდა ომის დროს.

პირველად ნამდვილი, ფაქტიური კოლონიალური მდგომარეობა ევროპის ბურჟუაზიამ ჰეგემონმა - სახელმწიფოებმა გამოსცადეს ომის ხანაში. იმ გარემოებას, რომ ევროპა 5 წლის განმავლობაში იყო ნამდვილ კოლონიალურ მდგომარეობაში, აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა, თუმცა ევროპის ეს კოლონიალური მდგომარეობა და მისი წონა ჯერად არ არის სათანადოდ დაფასებული.

ომის შეწყვეტის პირველსავე წლებში არ შეეძლო სამეურნეო წყობილებას ერთბაშად გამოერკვია თავისი მდგომარეობა. ევროპის ეკონომიკის გამოცოცხლების ნიშნები 1920 - 23 წლებში ძლიერ ჭანდრაკულ სახეს იღებენ შემდეგ და სრულიად საეჭვოდ ხდიან ევროპის ჰეგემონიას.

ჩვენ ეს იყო ვთქვით, რომ ევროპას არასოდეს არ ქონებია ის საშუალებანი, რომელნიც ამჟამად ამერიკას მოეპოვება. ამას უნდა დაუმატოთ, რომ ისტორიის არც ერთს მომენტში, არც ერთი წითელი თუ შავი ფერის ხალხი არ მოქცეულა ისეთს საშინელ კოლონიალურ გაყვლეფის ქვეშ, როგორშიაც მოექცა ევროპა იმპერიალისტური ომის დროს.

ენათმეცნიერი მაქს მიულერი ამტკიცებს, რომ ველურ ხალხებს, რომლებთანაც ევროპიელები ვაჭრობდნენ არ შეეძლოთ დათვლა ხუთს თითზე მეტი და ისინი ევროპიელებს სთვლიდნენ ღმერთებად იმიტომ, რომ თეთრებს შეეძლოთ ცხენზე ჯდომა და თოფის წამლის ხმარება. აი ასეთ ხალხთან ვაჭრობას არასოდეს არ მიუცია ევროპიელებისათვის 1.500 პროც. მეტი მოგება, ხოლო მესამოცდაათე წლების შუაგულში თვით ევროპაში, როცა სუეცის არხის სარგებლიანობაზე ლაპარაკობდნენ მისი 20 და 30 პროც. დივიდენდი ყველა წრეში იწვევდა უდიდეს განცვიფრებას, მაგრამ ყოველი ეს საზღაპრო ამბები მოსაგონი არ არის იმ საშინელი სამეურნეო ყვლეფასთან, რომელიც განიცადა ევროპამ ომის დროს. თვით ჰოლანდიის მონოპოლიური ოსტ - ინდოეთის კომპანია იძლეოდა სარგებელს 75 პროც., ინგლისის ასეთივე მონოპოლიური კამპანიას ქონდა სარგებელი 171 პროც., მაგრამ რა არის ეს ციფრი კულტურულ ევროპაკოლონიის გაფცქვნის დროს. ნორვეგიის ერთმა სანაოსნო საზოგადოებამ—„კლოსტერმა" 1916 წელში ერთი მილიონი კრონი გადასდო საქველმოქმედო მიზნით და ამის შემდეგ მან დაურიგა თავის წევრებს 1.800 პროც. დივიდენდი. იაპონიის ასეთივე საზოგადოებანი არიგებდნენ მოგებას 2.000 პროც. ერთმა ამერიკელმა სასაკლაომ თავისი წლიური მოგება გამოხატა 4.000 პროც. ეკონომისტი შულცე (იხ. მისი „Развал мирового хозяйства"), საიდანაც ჩვენ ვსესხულობთ ამ შესანიშნავ მასალას ამტკიცებს, რომ ამ დროს 40-50 პროც. მოგებას არავინ აქცევდა ყურადღებასო. ისე გაიტაცა ოკეანეს გაღმა ქვეყნები უდიდესმა მოგების გრძნობამ, რომ გემებს, რომლითაც მათ საქონელი მოქონდათ ევროპისათვის ათბობდნენ არა მარტო მაზუთით, დაიწყეს შუშის დაწვაც, შემდეგ შეშის ნახშირსაც მიაღწიეს და ამითაც არ დაკმაყოფილდნენ, შეუდგნენ სიმინდის და ქონის დაწვას. რამდენად დიდი უნდა ყოფილიყო ევროპასთან მოვაჭრე უცხოელების მოგება თუ ისინი სათბობ მასალად სიმინდს და ქონს ხმარობდნენ.

ასეთი მდგომარეობა იწვევდა საშინელის სისწრაფით არაევროპიულ ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას და გაძლიერებას. ომის პირველსავე წლებში არგენტინამ გაადიდა შვრიას ექსპორტი 193 პროც., ზეთის ექსპორტი — 214 პროც.-ით, [illegible] — 258 პროც., ხოლო ხორბლისა 476 პროც.-ით. შეერთებული შტატები, რომლის ეკონომიკა ჩვეულებრივ დროსაც სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა. ევროპას აძლევდა 1908-1914 წლებში (6 წლის განმავლობაში) 3.091 მილიარდი დოლლარის საქონელს ხოლო მარტო 1915-1920 წ. წ. განმავლობაში მისი ექსპორტი ევროპაში გადიდდა თითქმის 7-ჯერ და შეადგენდა საოცარ ციფრს — 20.404 მილიონ დოლლარს.

ევროპის მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფიული იყო, ევროპა მოსწყდა თავის კოლონიებს ომის დროს, როგორც საქონლის მიმწოდებელი, ევროპას პირველად დაეცა სასიკვდილო ლახტი იმპერიალისტური ომით.

მოხდა ისტორიაში სრულიად უმაგალითო ამბავი. ომში გამარჯვებული ქვეყანა ომის შემდეგ ხდებოდა ნამდვილი ჰეგემონი, ომის შემდეგ გამარჯვებული ქვეყნის ეკონომიკა დევის ნაბიჯებით მიდიოდა წინ, ვერნერ ზომბარტმა ომების და გამარჯვებულ სახელმწიფოების ომის შემდეგ ეკონომიურ ცხოვრების ანალიზიდან მთელი თეორია შექმნა (იხ. მისი „ომი და კაპიტალიზმი"), სადაც იგი ამტკიცებს ომის ძალას, როგორც კაპიტალიზმის განვითარებისათვის საუკეთესო პირობას. მაგრამ ვერნერ ზომბარტის ეს თეორია თანამედროვე ომმა დაამსხვრია, ხოლო ომში გამარჯვებული ევროპა ომის შემდეგაც საშინლად დამარცხებული და შებღალული მოგვევლინა.

როცა ევროპაზე ვლაპარაკობთ მუდამ უნდა გვახსოვდეს ინგლისი. ინგლისი ამჟამად მსოფლიო რეაქციის უმთავრესი ხელმძღვანელია, მისი საკითხის გადაჭრა რეაქციის პრობლემის გადაჭრაა, ინგლისის დაცემა ევროპის დაცემის უტყუარი ნიშანია.

აბა დავაკვირდეთ მთლიანად ევროპასთან ერთად განსაკუთრებით ინგლისს და ვიკითხოთ: მოკლე დროში ნამდვილ კოლონიად გადაქცეული ევროპა გახდება თუ არა ნორმალურ კულტურულ კოლონიად?

თედო ღლონტი.

სენატორი ფეი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ამერიკელი სენატორი (შტატ პენსილვანიიდან) ფრანკ ფეი.

გუშინვე ფეი ესტუმრა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. შ. ელიავას, რომელთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი.

შემდეგ ფეიმ საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან ამიერ-კავკასიაში ამხ. კრაკლინთან ერთად დაათვალიერა ზაჰესი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში სენატორმა ფეიმ განაცხადა:

— ამერიკაში არ აქვთ სწორი ცნობები საბჭოთა კავშირის შესახებ. ამის შედეგია ამ ორი დიდი სახელმწიფოს ერთმანეთისაგან დაშორება, რომელიც საზარალოა ორივე ქვეყნისათვის. ამერიკის საქმიანი წრეები წარმომადგენლების ხშირად ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ხელს შეუწყობს ამერიკის და საბჭოთა კავშირის დაახლოვებას. ჩემის მხრივ, ამერიკაში დაბრუნებისას მე ყოველ ღონეს ვიხმარ ამ ქვეყნების დასაახლოვებლად".

შეეხო რა აღმშენებლობას საბჭოთა კავშირში, სენატორმა ფეიმ განაცხადა, რომ ამერიკას ბევრი რამ შეუძლია ისწავლოს საბჭოთა კავშირისაგან.

საბჭოთა კავშირში სამრეწველო აღმშენებლობა სწარმოებს კულტურულ აღმშენებლობასთან ერთად; აქ სადაც შენდება ფაბრიკა და ქარხანა, დაუყოვნებლივ აშენებენ კლუბებს; ბაღებს და სხვ. ასეთ რამეს ამერიკაში ადგილი არ აქვს.

— ზაჰესმა ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მე 20 წელზე მეტია კავშირი მაქვს ამერიკის ინდუსტრიასთან და შემიძლია ვსთქვა, რომ ზაჰესი უდიდესი მნიშვნელობის წამოწყებაა. მისი აგება ამტკიცებს, თუ რამდენ ძლიერია ინდუსტრია ამიერ-კავკასიაში და საბჭოთა კავშირში.

დღეს სალამოს სენატორი ფეი მიემგზავრება ბათომში. საბჭოთა კავშირში ის დარჩება კიდევ ერთი კვირა, შემდეგ კი გაემგზავრება ამერიკაში.

საბჭოთა კავშირში

რუსეთში

პამირის ექსპედიცია

ლენინგრადი, 20 ივლისი. გეოლოგიური კომიტეტის დირექტორის პროფ. **მუშკეტიჩის** მეთაურობით პამირიდან დაბრუნდა ექსპედიცია. მთელი ორი თვის განმავლობაში ექსპედიცია აწარმოებდა პამირის გამოკვლევას 1500 კილომეტრის ანძილზე. ექსპედიციას მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. მიუხედავად ამისა ექსპედიციის მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. აღმოჩენილია ნახშირის ბუდობები, რომელსაც შეუძლია 1 მილიარდი ფუთი ნახშირის მოცემა. (ადს).

პროფ. იაკოვლევის გარდაცვალება

ლენინგრადი, 2 ივლისი. ლენინგრადში გარდაიცვალა ცნობილი ბაქტერიოლოგი პროფ. იაკოვლევი. (ადს).

ყირიმი

ამხ. ძერჟინსკის სახელობის ესკადრილია

მოსკოვი, 20 ივლისი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო ყრილობების საბჭომ დაადგა მიმართოს სამეურნეო ორგანოებს და საბჭოს წევრებს მოწოდებით გაიღონ თანხა თვითმფრინავის ასაშენებლად, რომელიც შევა ძერჟინსკის სახელობის ესკადრილიის შემადგენლობაში. (ადს).

წყალდიდობა ქვემო-ტაგილის რაიონში

სვერდლოვსკი, 20 ივლისი. ძლიერმა ნიაღვარმა ქვემო-ტაგილის რაიონში გამოიწვია მდინარეების ადიდება. ტაგილში წყალით არის დაფარული სანაპირო ქუჩები, ელექტრო-სადგური და ქარხანა. უბედურებასთან საბრძოლველად გამოცხადებულია მოსახლეობის და ცხენების მობილიზაცია. წყალდიდობამ დიდი ზიანი მიაყენა სხვა ადგილებსაც. (ადს).

ფინეთის მუშების ექსკურსია

მოსკოვი, 20 ივლისი. მოსკოვში ჩამოსულ ფინელ მუშათა ექსკურსანტების ჯგუფი შედგება სხვადასხვა პროფესიის მუშებისაგან. ექსკურსანტებს შორის—5 სოციალ-დემოკრატია, დანარჩენები ეკუთვნიან მუშათა სოციალისტურ პარტიას, რომელსაც ფინეთში ბევრი კომუნისტურ მოძრაობას აკუთვნებს. ჩამოვიდა 26 კაცი და 15 ქალი. (ადს).

ოსმალეთის გემი სევასტოპოლში

სევასტოპოლი, 20 ივლისი. ოსმალეთიდან სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ სევასტოპოლში პირველად მოვიდა ოსმალეთის გემი. ახლო ხანში მოელიან ოსმალეთის რამდენიმე გემს. (ადს).

საკ. კ. პ. (ბ) ცენტ. საკონტროლო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 2 ივლისი. 26 ივლისს იხსნება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მეექვსე პლენუმი. დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები: ც. ს. კომისიის და საბჭოთა კავშირის მუშ. და გლ. ინსპ. სახ. კომისარიატის მუშაობის შესახებ, უკრაინის ც. ს. კომისიის და მუშ. გლ. ინსპ. და მოსკოვის საკონტროლო კომისიის და მუშ. და გლ. ინსპ. მუშაობის შესახებ. (ადს)

ჯაშუშის საქმე

მინსკი, 20 ივლისი. მინსკის საოლქო სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა პოლონელ ჯაშუშს **საზონოვიჩს**, რომელიც 1924 წლის მაისიდან 1926 წლისმაისამდე მუშაობდა პოლონეთის სანაპირო დზვერვის პორუჩიკ კუზმიცკის დავალებით. აზონოვიჩმა არა ერთხელ გადალახა საბჭოთა კავშირის საზღვრები და აგროვებდა ცნობებს წითელი არმიის მდგომარეობის შესახებ (ადს).

146.200.000 მცხოვრები

მოსკოვი, 20 ივლისი. საკავშირო სახკომსაბჭომ მოისმინა ცენტრალური სტატისტიკის სამმართველოს გამგის თანაშემწის—ამხ. **კერჟენცევის** მოხსენება საკავშირო აღწერის მასალების დამუშავების და მისი შედეგების შესახებ.

ამხ. კერჟენცევმა სთქვა, რომ აღწერის მასალების მიხედვით **საბჭოთა კავშირის მოსახლეობა უდრის 146.200.000 სულს.** (ადს).

საბჭოთა მსუბუქ ჰაეროპლანის რეკორდი

მოსკოვი, 20 ივლისი. 19 ივლისს საღამოს მოსკოვის აეროდრომზე დაეშვა მსუბუქი ჰაეროპლანი „რკოვი", რომელმაც შეუწყვეტლივ გაიარა მთელი გზა სევასტოპოლიდან მოსკოვამდე. მსუბუქ ჰაეროპლანმა გაიარა სულ 1.420 კილომეტრი 15 ნახ. საათის განმავლობაში. საშუალოთ საათში გადიოდა 92 კილომეტრს.

ამ გადაფრენით მსუბუქმა ჰაეროპლანმა, მისმა კონსტრუქტორმა **იაკოვლევმა** და მფრინავმა **პიონტკოვსკიმ** მიაღწიეს ახალ საკავშირო რეკორდს. გადაფრენა სევასტოპოლ-მოსკოვში წარმოადგენს საბჭოთა მსუბუქი ჰაეროპლანის პირველს შორეულ მანძილზე გადაფრენას და სარეკორდო გადაფრენას საბჭოთა კავშირისათვის. ინგლისის მსუბუქი ჰაეროპლანის „აერობები"-ს რეკორდი 1300 კილომეტრი, ძლეულია.

მსუბუქი ჰაეროპლანი, რომელიც გადმოფრინდა სევასტოპოლიდან მოსკოვში, აშენებულია 20 წლის იაკოვლევის მიერ, რომელსაც არავითარი სპეციალური სწავლა-განათლება არ მიუღია. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ბაქოს სახელმწ. თეატრების დეფიციტი

ბაქო, 20 ივლისი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის რევიზიამ გამოარკვია ბაქოს სახელმწიფო თეატრების სამეურნეო საქმის ცუდათ წარმოება და დეფიციტიანობა. მუშათა თეატრმა სეზონი დაამთავრა 100.000 მან. დეფიციტით, სახელმწიფო ოპერამ — 60.000 მან., თურქულმა და სომხურმა თეატრებმა—50.0000 თვითეულმა. სამეურნეო საქმის ცუდათ დაყენებამ, იაფფასიან და უფასო კონტრამარკების ფართოდ დარიგებამ და არასაწარმოო ხარჯებმა თეატრებს დიდი ზარალი მიაყენა. მარტო მოსკოვის სამხატვრო თეატრის გასტროლების დროს. სახელმწ. ოპერის დირექციამ დაარიგა 1.900 მან. უფასო ბილეთები, მუშათა თეატრმა მხოლოდ რვა წარმოდგენაზე—1400 მან, ხუთი თვის განმავლობაში კი—21.000 მან. (ადს).

საბჭოთა სახლი განჯაში

განჯა, 19 ივლისი. დაიწყო რემონტი სასტუმრო „ლონდონის", რომელიც შესდგება 24 ოთახისაგან. ეს სასტუმრო გადაკეთებული იქნება საბჭოთა სახლად. რემონტისთვის გადადებულია 20.000 მან. (ადს).

საქმეები უყაირათობისა და ბიუროკრატიზმის გამო

ბაქო, 20 ივლისი. აზერბეიჯანის ცაკმა წინადადება მისცა იუსტიციის სახ. კომისარიატს, რათა სასამართლოებმა რიგს გარეშე გაარჩიონ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ აღძრული საქმეები უყაირათობასა და ბიუროკრატიზმის შესახებ. (ადს).

გაფლანგვების შემცირება

ბაქო, 20 ივლისი. „აზერიტტიფაკი" აღნიშნავს გაფლანგვების საგრძნობლად შემცირებას მიმდინარე წლის პირველ ნახევარში. ამ ხნის განმავლობაში გაფლანგული ფულის რაოდენობა უდრის 5.311 მან., 1925—26 წ. წ. კი ის უდრიდა 24.254 მან. (ადს).

სომხეთი

ძორაგეთის ჰიდრო-სადგურის საფუძვლის ჩაყრა

ერევანი, 20 ივლისი. **24 ივლისისათვის განზრახულია ძორაგეთის ჰიდრო სადგურის საძირკვლის ჩაყრა. დასასწრებლად მიემგზავრებიან სომხეთის მთავრობის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და პროფკავშირების წარმომადგენლები.** (ადს.

ფარმაცევტიული მუზეუმი

ერევანი, 20 ივლისი. სომხეთის სახმედვაჭრობა შეუდგა ფარმაცევტიულ მუზეუმის მოწყობას. მუზეუმში მოთავსებულია სახმედვაჭრობის ნაწარმოები. მუზეუმის გახსნა განზრახული შემოდგომაზე. (ადს).

აგრონომების გამოშვება

ერევანი, 20 ივლისი. სახელმწიფო ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტმა მეორეჯერ გამოუშვა 12 აგრონომი. ახალ აგრონომებს მიეცათ სამუშაო სასოფლო-სამეურნეო დარგში. (ადს).

ახალი სარწყავი არხი

ერევანი, 19 ივლისი. ლორი-ბამბაკის მაზრაში მთავრდება სარწყავი არხის შენება, არხი მორწყავს 500 დეს. მიწას. შემდეგ სოფლებში: კორალში, ნალბადში, ბეკიანდში და თოვანლოში, არხის საერთო სიგრძე უდრის 4 კილომეტრს. ამჟამად სავსებით დამთავრებულია მუშაობა 2 ნახ. კილომეტრზე არხის გასაყვანად. არხის სათავე იწყება მდინარე ბამბუკიდან და შესაძლებლობას მისცემს სოფლელებს გააშენონ ტეხნიკური კულტურები. (ადს).

რა ხდება უცხოეთში.

აჯანყება ფილიპინის კუნძულზე

შეერთებული შტატების იმპერიალისტურმა პოლიტიკამ აშკარა აჯანყებამდე მიიყვანა ფილიპინის კუნძულის გლეხობა.

აჯანყებამ ისეთი ფართე ხასიათი მიიღო, რომ ამერიკულმა პრესამ ვერ შესძლო აჯანყების ფაქტის დამალვა, მაგრამ სამაგიეროდ საშინლად გადაამახინჯა მისი მიზეზები და ხასიათი. ნიუ-იორკის გაზეთებში გამოქვეყნდა ზღაპრული აღწერა აჯანყების, რომელიც მოაწყო ვითომ ვიღაც შეშლილმა **ფლორ ინტრეჩერადომ.** მიუხედავად აჯანყების აღწერის ხასიათისა, მაინც გამოირკვა, რომ ყველა კუნძულზე გადაიარა აგრარულიმღელვარების ტალღამ, რომელიც მოედვა 400.000 ადგილობრივ გლეხს. ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა საშინელის სისასტიკით ჩააქრეს მოძრაობა. აჯანყებულთა მეთაური ფლორ ინგრენჩერადო, როგორც „შეშლილი", საგიჟეთში მოათავსეს. მემბოხეთა ხუთასი მეთაური ციხეში ჩააგდეს. ერთი კვირის შემდეგ პოლიციამ მოჰკლა ფილიპინის კუნძულების დამოუკიდებლობისათვის ცნობილი მებრძოლი—**სულთან რაია.** რაია მოჰკლეს იმიტომ, რომ ვითომ მან გაქცევა დაპირა.

ჩააქრო რა არაჩვეულებრივის სიმხეცით გლეხთა მოძრაობა, შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების უფროსმა ფილიპინის წყლებში ადმირალმა **კიტტელმა** გამიზრახა პროფკავშირების დარბევა. თავისი მოქმედების გასამართლებლად კიტტელმა აგენტების საშუალებით გაავრცელა სენსაციური ჭორები „საბჭოთა აგენტების" შესახებ, რომლებიც ვითომ შეერთებული შტატების სამხედრო გემების აფეთქებას აპირებდენ. თავისი ჭორების დასამტკიცებლად მან მიუთითა დოკუმენტებზე, რომლებიც ვითომ პეკინის საბჭოთა საელჩოში თავდასხმის დროს იპოვეს. მაგრამ პროფკავშირებმა დროზე მოახერხეს ადმირალის პროვოკაციის გამოაშკარავება და დარბევისაგან იხსნეს თავისი ორგანიზაციები.

გლეხთა აჯანყების შემდეგ მანილაში იფეთქა გემების შესაკეთებელი სახელოსნოების 2.000 მუშის გაფიცვამ. კიტტელმა შტრეიკბრეხერების საშუალებით ჩაშალა გაფიცვა.

მაგრამ გლეხობის მიმართ სასტიკი რეპრესიებისა და შტრეიკბრეხერების საშუალებით მუშათა გაფიცვების ჩაშლის პოლიტიკამ, სრულიადაც არ შეუწყო ხელი ფილიპინის კუნძულების მოსახლეობის დამშვიდებას. ამ რამოდენიმე დღის წინად იფეთქა აჯანყებამ კუნძულ **სპარგაოზე და დინაგატზე.** აჯანყება იმუქრება გავრცელებით სხვა კუნძულებზე და ძლიერ აფიქრებს შეერთებული შტატების მთავრობას.

ა. ს.

ერიხ მიუზამი 20 რუსი კონტრ-რევოლიუციონერის დახვრეტის შესახებ.

ცნობილი გერმანელი მწერალი და ჟურნალისტი **ერიხ მიუზამი** თავის ჟურნალში „ფანალ" აშკარავებს ფარისევლობას თეთრგვარდიელთა და ბურჟუაზიული პრესის, ერთა ლიგისა და „ცივილიზაციის" სხვა „დამცველებისას", რომლებიც ილაშქრებენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ 20 კონტრ-რევოლიუციონერების დახვრეტის გამო მოსკოვში.

უნეველი საერთაშორისო ბანდიტებიო, — სწერს მიუზამი, — შეურაცყოფილად გრძნობენ თავს იმის გამო, რომ რუსეთში დახვრიტეს 20 აშკარა კონტრ-რევოლიუციონერი, რომელთა მოღვაწეობა მიმართული იყო იქითკენ, რომ აღედგინათ თვითმპყრობელობის საძაგელი კულტი და რომლებიც ამ თვისი შავბნელი მიზნის მისაღწევად ასობით და ათასობით ხოცავდენ რევოლიუციონერ პროლეტარებს.

ამბობენ, რომ ერთა ლიგის წევრები—მუსოლინი, ლიაპჩევი და ხორტი „ფორვერტს"-ზე და გერმანელ მენშევიკებზე ნაკლებ არ სწუხდენ თეთრგვარდიელების დახვრეტის გამო. მაგრამ არც ერთ მათგანს ერთი ობოლი ცრემლიც არ მოსვლია თვალზე, როცა რამოდენიმე კვირის წინათ ჩან-ძო-ლინის ჯალათებმა წაალრჩვეს საბჭოთა საელჩოში დაპატიმრებული ჩინელები.. არ ისმოდა მათი ქვითინი არც მაშინ, როცა სოციალ-დემოკრატ ნოსკეს თვალწინ დახვრიტეს არა რამდენიმე არისტოკრატი, არამედ 15.000 პლებეი, რომლებიც რევოლიუციის დასაცავად გამოვიდენ. მაგრამ ეს გასაგებია. საქმე მაშინ შეეხებოდა არა მეფეს, არამედ მუშებს. საქმე შეეხებოდა მუშათა კლასის ინტერესებს. რა შესანიშნავი იქნებოდა, რომ მოიძებნებოდეს კაცობრიობის ისეთი მეგობარი, რომელიც ხელ-ახლა გამოსცემდა და მილიონ ცალობით უფასოდ გაავრცელებდა ნოსკეს წიგნს: „კოლიდან პაპამდე*) წაიკითხოთ ეს წიგნი, „კეთილი ადამიანებო" და მხოლოდ ამის შემდეგ იქნიეთ გამბედაობა აღშფოთდეთ იმით, რომ რევოლიუცია თავდაცვის მიზნით ხვრეტს ათეულ კონტრ-რევოლიუციონერს".

---

*) ნოსკე თავის მოგონებებში უსირცხვილოდ სწერს, თუ რეაქციასთან ერთად როგორ ახრჩობდა სისხლში მუშათა

პარტიული ცხოვრება

მეორე რაიკომის პლენუმი

გუშინ, ცენტრალურ მუშათა კლუბში, საღამოს 6 საათზე, გაიხსნა ს. კ. პ. (ბ) არსრაიონის რაიონული კომიტეტის პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: საანგარიშო კამპანიის შედეგების შესახებ. ამ საკითხის გარშემო მოხსენებით გამოვიდა ამხ. აკოპოვი. მომხსენებელმა დაწვრილებით აღნიშნა ყველა ის მიღწევები, რომლებიც აქვთ უჯრედებს პრაქტიკულ მუშაობის წარმოებაში. უჯრედებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს პარტიის ძირითად დირექტივების ცხოვრებაში გასატარებლად. ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უჯრედებმა განიხილეს მთელი რიგი დიდ-მნიშვნელოვან საკითხებისა, რომელიც ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრშია მოქცეული, როგორიცაა მასიური მუშაობის საკითხები, აგიტპროპმუშაობის, ქალთა შორის, პარტიული დისციპლინის, წარმოების რაციონალიზაციის, კომკავშირის, საერთო ორგანიზაციული და სხვა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ის სასიხარულო მოვლენა, რომ წარსულ წელთან შედარებით უჯრედების აქტივი შესამჩნევათ გაიზარდა. აქტივი საქმიანად გამოდის ამა თუ იმ საკითხის გარშემო ატეხილ მსჯელობაში, აწარმოებს საქმიან კრიტიკას და სხვა.

შემდეგ ამხ. აკოპოვი აღნიშნავს მტკივნეულ საკითხებს, ნაკლულოვანებებს, რომლებიც მოითხოვენ ჩვენი უჯრედებისაგან მაქსიმალურ ყურადღებას. ზოგიერთ უჯრედებში მოიპოვებიან წევრები, რომლებიც პასიურად განწყობილან ყოველგვარი მუშაობისადმი. ელიან თუ როდის დაავალებს ბიურო რაიმე მუშაობას, მანამდე კი იჩენს სრულს გულგრილობას. ასეთ მოვლენებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ.

რაც შეეხება მასიურ მუშაობას—თუმცა ამ დარგში ბევრი მიღწევები გვაქვს, მაგრამ საჭიროა მისი უფრო გაღრმავება. საჭიროა უჯრედის ღია კრებებისათვის ბიურომ წინასწარ გამოიმუშაოს დღის წესრიგი და დასვას ისეთი საკითხები, რომელიც აინტერესებს უპარტიო მასას.

შემდეგ მომხსენებელი გადადის შიგნით უჯრედის მუშაობაზე. ზოგჯერ რიგის წევრებს ვერ უდგებიან ფხიზლად. თუ მან მსჯელობაში მონაწილეობა მიიღო, ზოგიერთი ამხანაგი ისე დააფრთხობს, რომ სრულიად დაუკარგავს ყოველგვარ აქტივობის სურვილს. მომხსენებელი ჩერდება რა პარტიის შემდგომი ზრდის საკითხზე, ამბობს, რომ შექმნილია ისეთი რწმენა, ვითომ მთელი მუშური აქტივი უკვე ჩაებით ჩვენს ორგანიზაციაში, მოხუცი და ბავშვების მეტი აღარავინ დარჩა; ეს რასაკვირველია, სინამდვილეს არ შეეფერება. უპარტიო აქტივი ჯერ დიდია და შემდგომი პარტიის ზრდა უნდა განვაგრძოთ დაზგის მუშების ხარჯზე.

ვერ არის სათანადოთ მოგვარებული აგრეთვე საპასუხისმგებლო სამუშაოზე მუშების წამოყენების საკითხი. ამ დარგში კიდევ უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს მუშაობა. მომხსენებელი ეხება აგრეთვე — უჯრედებზე მიმაგრებულ ამხანაგების მუშაობას, რომელნიც სუსტ მუშაობას აწარმოებენ. ვერ იღებენ ახლო მონაწილეობას უჯრედების ცხოვრებაში, მის მიერ წამოყენებულ კონკრეტიულ საკითხების გადაჭრაში და სხვა. უნდა გადისინჯოს მიმაგრებულთა შემადგენლობა, რომ უფრო ნაყოფიერი შეიქნეს მათი მუშაობა.

დასასრულს მომხსენებელი გადადის კომკავშირის მუშაობაში პარტუჯრედების მონაწილეობაზე. დღეს კომკავშირის მუშაობაში მოხდა გარდატეხა —შემოღებულია მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები. კომკავშირის უჯრედზე მიმაგრებულმა პარტამხანაგებმა უნდა შეისწავლონ აუცილებლად ყველა ის დადგენილებანი, რომელიც მიღებულია კავშირის ყრილობის და კონფერენციების მიერ, რომ გახდენ ნამდვილი ხელმძღვანელნი კომკავშირის.

მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი. კამათის შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. აკოპოვის საბოლოო სიტყვა, რის შემდეგაც მიღებულ იქნა პრაქტიკული წინადადებანი მომავალი მუშაობის საწარმოებლად.

ნ. ფ—ძე.

ბელოვის საქმე

ხარკოვი, 20 ივლისი. ხარკოვის საოლქო საკონტროლო კომისიამ გაარჩია 1919 წლიდან პარტიის წევრის **ბელოვის** საქმე და დაადგინა: ფრაქციონული ბრძოლისათვის, რომელიც გამოიხატა პარტიის წევრების გადაბირებაში ოპოზიციონური პლატფორმის მომხრეების მხარეზე, პარტიული აქტივის კრებაზე ანტიპარტიული გამოსვლებისათვის და საკ. კომ. პარტიის (ბ) ცეკას დისკრედიტაციისათვის, აგრეთვე ცალკე პარტიული ხელმძღვანელი მუშაკების დისკრედიტაციის მიზნით ყალბი ხმების გავრცელებისათვის ,ბელოვი გამორიცხული იქნეს პარტიიდან. (ადს.)

მისალმება ს. კ. პ. (ბ) ცეკას

ზონის და მისი რაიონის მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენციის მიტინგი. შეკრებილი აბრეშუმის ძაფის სახვევი ფაბრიკის საფუძვლის ჩაყრის გამო, მხურვალეთ გესალმებათ

დღეს როდესაც, სისხლის მსმელ იმპერიალისტებს სურთ გამოიწვიონ ომი ათასგვარი პროვოკაციებით, საბჭოთა კავშირი უპასუხებს მათ სოციალისტური წარმოების განვითარებით, რომლის ერთ-ერთი ნაწილია ჩვენი ძაფ-სახვევი ფაბრიკის აგება; თუ კი ვინმე ხელს შეგვიშლის ამ საქმეში, ჩვენ მშრომელი გლეხობა, მუშები და ინტელიგენცია მზათ ვიქნებით თოხისა და ჩაქუჩის მაგიერ ხელში ავიღოთ იარაღი, თქვენთან ერთად ოქტომბრის მონაპოვარის დასაცავათ.

პრეზიდიუმი.

ქუთაისის სამაზრკომის გაფართოებული პლენუმი

ქუთაისი, 19 ივლისი, საქ. კ. პ. ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პლენუმმა, მაზრის კომუჯრედების მდივნებისა და მიმაგრებულ ამხანაგების მონაწილეობით, სამაზრო კომიტეტის მდივნის ამხ. ურუშაძის მოხსენების გამო სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და აღნიშნა მთელი რიგი მიღწევები, როგორიც მაგ.: სწორი პარტიული ხაზის გატარება, მუშებისა და გლეხების ფართო მონაწილეობა პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანოებში, პარტიის ავტორიტეტის ზრდა მასაში, კომუნისტური კადრის გადიდება საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და სხვ.

გატარებულია ფართო შინაპარტიული დემოკრატია, დაწინაურებულია მთელი რიგი მუშები და გლეხები, გამოცოცხლებულია ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობა, მოწყობილია ღარიბ გლეხობის ჯგუფები სოფლის საბჭოებთან და სხვ.

ს. კ. პ. ტყიბულის სარაიონო კომიტეტის მოხსენება აღნიშნავს ორგანიზაციის ზრდას: ნაცვლად 72 წევრისა 1926 წ. 1 ოქტომბრ. ა.-წ. 1 ივლისს არის 122 წევრი. ტყიბულის მაღაროებში 1.200 მუშიდან იყო 12 პარტიული, ამჟამად კი არის 50. პარტიის ავტორიტეტი გაიზარდა, მუშაობა კომუჯრედებში გამოცოცხლდა. განმტკიცდა პარტიული და შრომის დისციპლინა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მდივნის ამხ. მერკვილაძის მოხსენება აღნიშნავს, კომკავშირის ზრდას მაზრაში. სათემო საბჭოებში წარსულ წელს იყო 85 წევრი კომკავშირელი, წელს კი — 129. კომკავშირი იზრდება მუშათა ახალგაზრდობისა და მოჯამაგირეების ხარჯზე გაიზარდა კომკავშირელების პოლიტიკური და კულტურული დონე. (ადს)

მუშფაკებში და ტეხნიკუმებში მიღება

განათლების კომისარიატმა გამოიმუშავა რესპუბლიკაში არსებულ მუშათა ფაკულტეტებსა და ტეხნიკუმებში მიღების ახალი წესები. თანახმად აღნიშნულ წესებისა

მუშათა ფაკულტეტებზე მიიღებიან:

მუშები ჰასაკით არა ნაკლებ 18 და არა უმეტეს 30 წლისა, რომლებიც მუშათა ფაკულტეტებზე ჩარიცხვამდე ეწეოდენ ფიზიკურ შრომას დაქირავებულ მუშის სახით სამრეწველო და სატრანსპორტო წარმოებებში. საჭიროა ამასთანავე მუშაობის შემდეგი სტაჟი: 18-დან 20 წლამდე—არა ნაკლებ 3 წლისა, 20—25 წლამდე—არა ნაკლებ 4 წლისა, ხოლო 25—30 წლამდე კი არა ნაკლებ 6 წლისა.

იმ მუშებს, რომელთაც დროებით შესწყვიტეს კავშირი წარმოებასთან, წითელ ლაშქარში გაწვევის გამო, სამხედრო სამსახური ჩაეთვლებათ ფიზიკურ შრომის სტაჟათ.

კომპარტიის წევრი—მუშები, მიიღებიან მუშფაკში, თუ მათ აქვთ 2 წლის ფიზიკური შრომის სტაჟი, ხოლო პარტიული სტაჟი:

18—20 წლ. არა ნაკლებ 2 წლისა, 20—25 წლამდე 3 წ. და 25—30 წლამდე არა ნაკლებ 4 წლისა.

ახ.კომკავშირის წევრი—მუშები, მიიღებიან მუშფაკში 2 წლის საწარმოო შრომის სტაჟით და პარტიული სტაჟით:

18—20 წლ. არა ნაკლებ 3 წლისა და 20—23 წლამდე 4 წლ.

მუშფაკში მიიღებიან აგრეთვე თბილისის საწარმოო დაწესებულებების მუშები, რომელთაც ექნებათ სათანადო პროფკავშირის, ან პარტიულ ორგანიზაციის მივლინება.

მიღება იწარმოებს მხოლოდ 1 კურსზე.

ამხ. მ. კახიანის სახელ. ქართულ მუშფაკში მიიღება 120 კაცი; აქედან 60 რკინის გზელი; რუსულზე 60—აქედან 30 რკინის გზელი და სომხურზე—30, აქედან 15 რკინის გზელი. სტიპენდიების და მუშფაკების საერთო ბინებზე ადგილების უქონლობის გამო 1927 წელში მაზრებიდან მუშფაკებზე არავინ მიიღება.

მივლინებულებმა უნდა წარმოადგინონ ცენტრალურ მიმღებ კომისიაში (განათლების კომისარიატთან) შემდეგი საბუთები: ა) მივლინების მოწმობა, ბ) ცნობა წარმოებაში ჩატარებულ მუშაობის ხანგრძლივობის შესახებ, გ) წლოვანობის საბუთები და დ) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების საბუთი.

მივლინებულთა განცხადებები მიიღება მუშფაკში ცენტრალური მიმღები კომისიის სახელზე (განათ. კომისარიატი, ოთ. 12) 15—25 აგვისტომდე. გამოცდებზე დაშვებულნი უნდა გამოცხადდენ 5 სექტემბრისათვის სათანადო მუშფაკში და ჩააბარონ გამოცდები—მშობლიურ ენასა, ანგარიშსა და პოლიტანბანში.

ტეხნიკუმებში მიღების წესები

ტეხნიკუმებში მიიღებიან ახალგაზრდანი 15 წლიდან 17 წლამდე, თუ მათ დამთავრებული აქვთ შვიდწლედები და ჩააბარებენ გამოცდებს 7 წლედების კურსის ფარგლებში. ქიმიოფარმაცევტიულ ტეხნიკუმებში მიიღებიან ცხრაწლედებში კურსდამთავრებულნი ჰასაკით 17—19 წლამდე. განსაზღვრულ ჰასაკ ვადაცილებულებმა უნდა წარმოადგინონ მოწმობა პროფგანათლების მთავარ მმართველობიდან თვითეულ ცალკე შემთხვევაში მათი გამოცდებზე დაშვების შესახებ.

ტეხნიკუმებში შესვლის მსურველებმა უნდა შეიტანონ განცხადებები საბუთებითურთ 1—25 აგვისტომდე. აღნიშნულ ვადის შემდეგ შემოსული განცხადებები არ განიხილება.

გამოცდებზე დაშვებული ახალგაზრდები ვალდებულნი არიან ჩააბარონ გამოცდები შემდეგ საგნებში: ქართულსა და რუსულ ენებში, საზოგადოებათმეცნიერებაში, გეოგრაფიაში და მათემატიკაში. ქიმიო-ფარმაცევტიულ ტეხნიკუმებში კი აგრეთვე, ფიზიკასა და ქიმიაში.

გამოცდები ყველა ტეხნიკუმებში სწარმოებს 1-დან 10 სექტემბრამდე. გამოცდების დამაკმაყოფილებლად ჩაბარების მიხედვით ტეხნიკუმებში ჩაირიცხებიან: პირველ რიგში მუშების და გლეხების შვილები და კომკავშირელები, შემდეგ—წითელარმიელთა და ფლოტელთა, განათლების მუშაკთა, სოფლად და მაზრებში მომუშავე ექიმთა და აგრონომთა შვილები და მშრომელი ინტელიგენციის, პროფკავშირის წევრთა, შინა-მრეწველთა და ხელოსანთა შვილები.

ის ახალგაზრდანი, რომელთაც წარმატებით ჩააბარეს გამოცდები, მაგრამ ვერ მოხვდეს ტეხნიკუმებში უადგილობის გამო, ჩაირიცხებიან განსაკუთრებულ კანდიდატთა სიაში. კანდიდატების გადარიცხვას განთავისუფლებულ ადგილებზე ახდენს რიგრიგობის წესით ტეხნიკუმის ვადგე პირველ ოქტომბრამდე, ხოლო ამ ვადის შემდეგ კანდიდატთა სია უქმდება.

მიმღებ კომისიის დადგენილების გასაჩივრება შეიძლება პროფგანათლების მთავარმმართველობაში არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

პატარა ფელეტონი

გაზ. „ტან“ და ავსტრიელი მენშევიკები

> „სოციალისტები დაინტერესებულნი არიან, რომ მოძრაობა არ ჩადგეს კომუნისტურ კალაპოტში. სოციალისტები შეეცდებიან ხელი შეუშალონ იმ მოძრაობას, რომლის გაღრმავებამ შეიძლება დააყენოს ავსტრიის არსებობის საკითხი. მოლაპარაკებებს, რომელსაც სოციალისტების ბელადები აწარმოებენ ზეიპელთან, მიზნად აქვს დამნაშავეთა დასჯა“.
> (გაზეთი „ტან“).

სადაც მებრძოლთა გვამებით
იფარებიან ქუჩები,
სადაც ჯერ კიდევ მოქმედობს
გამთბარ თოფების ტუჩები,
სადაც დღესაც კი მდინარებს
დაქცეულ სისხლის ღვარები,
სადაც „დემოსი“ ვერ „კრატობს“
ფაშისტებს შენაფარები,
გარს ეხვევიან ზეიპელს
ავსტრიის მენშევიკები,
ფიქრობენ: როგორ დავაცხროთ
აჯანყებულთა რიგები?!..
ბოლოს რაღაცას მიაგნეს,
იპოვეს „გამოსავალი“
და უგზო-უკვლოდ დასტოვეს
მუშები მზისკენ მავალი.
მათ უთხრეს: „დაიშალენით,
კმარა ამდენი მკვლელობა!
ქვეყნის წინაშე ჩვენ გვაწევს
ერის პასუხისმგებლობა,
მეურნეობის დაცემას
ხელს ნუ შეუწყობთ, ერიდეთ!
ეხლა ბრძოლის დრო არ არის
ჯანყს, ნულარ გადაეკიდეთ!“...
ამ განცხადებით მიმართა
„დემოკრატიამ“ მუშებსა,
გაფიცვის ცეცხლი ჩააქრო
ქვეყანას მით „აშუშებსა“.
აჯანყებულთა მეთაურთ
უკეტავს ციხის კარებსა.
უმეგობრდება ზეიპელს
ტყვიებზე შენაყვარებსა.

*
* *

როცა ეს „ტანმა“ გაიგო,
ეგონა სულ სხვა ამბავი;
„დემოკრატიას“ მიუძღვნა
დიდება დასასტამბავი.
მას აშინებდა კომუნა,
ქვეყნად წითელი გრიგალი.
და მენშევიკებს მისწერა
ხოტბითი ეს მადრიგალი.
„ტანი“ სწერს: „ეხლა ავსტრიას
მენშევიკები „იხსნიან“
რაც იქ მუშებმა დასთესეს,
იმასვე თვით მოიმკიან.
თუ აჯანყება არ ჩაქრა
წინ დგება არარაობა;
გადააშენებს ავსტრიას
მისი ახალი თაობა“.

*
* *

ვაი, რომ „ტანის“ იმედი
ეხლა მთლიანად მართლდება!..
მუშების მიმართ ღალატი
დღეს „დემოკრატებს“ ბრალდება
გაფიცვის ცეცხლის ბრიალით
იწვის ივლისის დღეები;
ციხის კარებთან დგებიან
აჯანყებულთა ტყვეები
ვენის ქუჩებში გაისმის
დაქცეულ სისხლის ძახილი,
მუშების მკერდის საფარად
შობერს ხელთა აქვს ნახვილი.
მაგრამ მზე ისე არ ჩავა
სხივი რომ აღარ აფრქვიოს?..
დრო მოვა, ბრბო კვლავ ადგება
რომ ის კედლები არღვიოს.
ახალ ცხოვრების განთიადს
მუშა შეხვდება მღერითა,
და მოიგონებს ამ ბრძოლებს
ავსტრიის ოქტომბერითა.

ჟუმბარა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ახალსენაკის გლეხკომი

ახალ-სენაკი, 19 ივლისი. ერთი წლის განმავლობაში ახალ-სენაკის გლეხკომმა მიიღო 4.617 მან. გლეხკომს აქვს საკუთარი სასადილო და სახორცე დუქანი, რომლებიც მომგებიანად მუშაობენ. მოწყობილია პურის საცხობი. გაიხსნა გლეხის სახლი, რომელიც ქალაქის ცენტრშია და კარგადაა მოწყობილი. (ადს)

მშენებლობა ქუთაისის მაზრაში

ქუთაისი, 19 ივლისი. ქუთაისის მაზრაში გაცხოველებული მშენებლობა სწარმოებს. ქვიტირის თემში აგებენ შენობას კოოპერატივისათვის, თავდება მუშაობა ქოხ-სამკითხველოსა და წითელი კუთხის შენობის ასაგებად. შენდება სასკოლო შენობები სოფ. ბანოჯაში, პატრიკეთში, ბაშში, საყულიაში, ოფშკვეთში, ჰოგნარში, ციცხვათში და კურსებში. მთელ რიგ სოფლებში სწარმოებს სკოლების შენობათა შეკეთება. სწორდება გზები მუხიანსა და ორპირს შორის, ჰოგნარსა და ქუთაისს შორის და სოფელ კვახჭირიდან ბაღდათის გზატკეცილამდე. სწარმოებს ლაბდორის ჭაობების ამოშრობა და შენდება აუზი და არხები მინდვრების მოსარწყავად. ეწყობა სატელეგრაფო ხაზი ქუთაისიდან სხვადასხვა სოფლებთან დასაკავშირებლად. (ადს)

მერძეობის კურსები

თელავი, 20 ივლისი. თეთრი წყლების რაიონში ხევსურებისათვის მოწყობილი მერძეობის კურსები დასრულდა 19 ივლისს. ინსტრუქტორი გაემგზავრა ქისტების საძოვრებზე, სადაც მოეწყობა საქონლის მოვლა შენების და მერძეობის კურსები. (ადს).

პარკის მოსავალი

თელავი, 20 ივლისი. აბრეშუმის ტრესტის პუნქტებმა 16 ივლისამდე თელავის მაზრაში მიიღო 3450 ფუთი პარკი, სიღნაღის მაზრაში 1.600 ფუთი ნედლი პარკი, სულ კი—5050 ფუთი. პარკის მიღება გრძელდება.—ორივე მაზრაში შარშან შეგროვილი იყო 4.380 ფუთი პარკი. (ადს).

აჭარისტანში

ექსპედიცია ჩიყვის შესასწავლად

ბათომი, 19 ივლისი. საექიმო ექსპედიცია ექ. **ასლანიშვილის** ხელმძღვანელობით გაემგზავრება კოდისა და შემდეგ ხულოს მაზრაში ჩიყვისა და ქირურგიულ ტუბერკულიოზის შესასწავლად, რომლებიც დიდათაა გავრცელებული ამ რაიონებში. ექსპედიციის მუშაობა ორ თვეზე გასტანს. (ადს)

სატელეფონო ქსელის გადაკეთება

ბათომი, 19 ივლისი. მუშაობა ბათომის ქალაქის სატელეფონო ქსელის გადასაკეთებლად ორ ხაზოვანზე ავტომატიური გამოწვევით, თავდება. უკვე დამთავრებულია მიწის ქვეშა კაბელისათვის ბეტონის მილების გაყვანა და დადგმულია ტრანსფორმატორები. ქსელის გადაკეთება, რომელიც მთლიანად დამთავრდება ერთი თვის შემდეგ, დაჯდება 100.000 მან. (ადს)

„აზნეფთი“ ხმელთაშუა ზღვაში

ბათომი, 19 ივლისი. ნავთის სინდიკატის ბათომის განყოფილებამ მიიღო თბომავალ „აზნეფთის“-აგან, რომელიც მაზუთით დატვირთული გავიდა ჰამბურგში, რადიოგრამა იმის შესახებ, რომ თბომავალმა გაიარა დარდანელის სრუტე და შევიდა ხმელთაშუაზღვაში. ხმები ქარიშხალის შესახებ, რომელმაც ვითომ და მოუსწრო თბომავალს, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. (ადს)

სამხრეთ-ოსეთი

სეტყვა

ცხინვალი, 20 ივლისი. ანდორეთის, ორთევის და ცხინვალის რაიონზე ამ დღეებში გადაიარა ნიაღვარმა და სეტყვამ. გაფუჭებულია ნათესები ძლიერ დაზარალდენ ვენახები. სამხრეთ-ოსეთის მიწათმოქმ. სახ. კომისარიატის სპეციალური კომისია ადგილებზე არკვევს ზარალის რაოდენობას. (ადს).

წერილები

პოლიტგანმანათლებელი მუშაობა

(თელავის მაზრა)

ამ დღეებში მთავარ პოლიტგანის მიერ გამოკვლეულ იქნა თელავის მაზრის პოლიტგანის მუშაობა.

პოლიტგანს ჰქონია მაზრაში 17 ქოხ-სამკითხველო სოფლად და ერთი ცენტრალური სამკითხველო ქ. თელავში, კლუბი, წითელი კუთხე 24.

მოწყობილი ყოფილა სამკითხველოს გამგეების კურსები, რომელიც დაუმთავრებია 22 კაცს, აქედან უმრავლესობა გადუგზავნიათ გამგეების თანამდებობაზე სოფლებში. წიგნების რაოდენობა სამკითხველოებში 18.000-მდე აღწევს. ქოხ-სამკითხველოებს ჰყავთ გამოყოფილი კომიტეტები, რომელნიც თვალყურს ადევნებენ საერთო მუშაობას. სოფლად კლუბთან ჩამოყალიბებულია დრამ-წრეები, რომელთა მუშაობა ჯერ კიდევ მოისუსტებს, მაგრამ თვეში ერთხელ ან ორხელ მაინც ახერხებენ წარმოდგენების დადგმას. კედლის გაზეთები გამოდის 18. თითქმის ყოველ კვირეში გამოდის ერთი ნომერი. შინაარსის მხრივ შემჩნეულია გაუმჯობესება და აქტიური გლეხკორების შემოკრეფვა გაზეთის გარშემო.

ქოხ-სამკითხველოებში ეწყობა საუბრები, აძლევენ რჩევა-დარიგებებს აგრონომიულ და იურიდიულ დარგებში, სწარმოებს ხმამაღლა კითხვა ჟურნალ-გაზეთების და სხვა. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში თვალსაჩინო მიღწევებია. წელს სკოლებში ხალხი უფრო მეტი ხალისით დაიარებოდა, ვინემ წინა წლებში. სულ იყო 94 სალიკვ. სკოლა და 27 მეორე საფეხურის. პირველში დაიარებოდა 3.100 კაცი, რომლიდან 1672 დაამთავრა. მეორე ტიპის სკოლაში დადიოდა 927 მსმენელი, დაამთავრა კი 485. მსმენელთა შორის იყვნენ ოსები, ქისტები, თურქები. უკანასკნელთათვის განსაკუთრებით იყო გახსნილი ს. ყარაჯალაში თათრული სკოლა. ქ. თელავში მოწყობილი იყო ეზიდებისთვის სკოლა, რომელიც დაამთავრა 17 კაცმა. როგორც გამოირკვა ლიკსკოლებისათვის არ ყავდათ კარგი მომზადებული მასწავლებლები; კარგები არ მოდიოდენ მცირე ჯამაგირზე.

ალაზნელი.

წერილებიდან

— **სად უნდა იქნეს სკოლა.** (გომის თემი, ქუთ. მაზრა). გომის თემი მდებარეობით ორ ნაწილად იყოფა: ერთი ნაწილი ეკუთვნის მთას და მეორე ბარს. ამ თემში გასაბჭოებამდე არსებობდა რამოდენიმე ოთხწლედი, გასაბჭოების შემდეგ კი გამრავლდა სკოლების რიცხვი და ოთხწლედებთან ერთად დაარსდა ორი შვიდწლედი. ერთი შვიდწლედი არის მთაში და მეორე ბარში. მთის შვიდწლედი უნდა დარსებულიყო ცენტრში, მაგრამ ეს მთა არის გაჭიმული რამოდენიმე ვერსის მანძილზე, რამაც ხელი შეგვიშალა ამოგვერჩია ისეთი ადგილი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა გლეხობისათვის. ჩამოვარდა განაპირა უბნებში ქიშპობა—არა აქ უნდა დაარსდეს და არა აქაო. სძლია ერთმა მხარემ და ეს სკოლა დაარსებული იქნა მტერჩეულის უბანში. ამაზე უმრავლესი გლეხობა წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ იმათმა მაინც თავისი გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლას აკეთებს სამი უბანი, მაშინ, როდესაც მთა შეადგენს რვა უბანს. საჭიროა ეს საქმე მოაწესრიგოს განათლების განყოფილებამ.

აჭაური.

— **ჩვენი სკოლების მუშაობა.** (მარან-კოლობნის თემი, სენაკ. მაზ.) მარან-კოლობნის თემში 2000-მდე კომლი ითვლება. სწავლა-განათლების საქმე აქ კარგადაა დაყენებული. თემში არსებობს სამი შვიდწლედი და 5 ოთხწლედი. აღნიშნულ სკოლებში 1.200-მდე მოწაფე სწავლობს. მთელ თემში 33 მასწავლებელია. სამაზრო განათლების განყოფილებამ სასწავლო წლის დასაწყისში მოაწყო მასწავლებელთა კონფერენცია და ჩამოაყალიბა სექციები, რომლებიც ამუშავებენ წლიურ პროგრამებს, თემებს და იხილავენ მეთოდებს. სექციების მუშაობის დასრულების შემდეგ პროგრამებს იხილავს სასკოლო საბჭო და ეძლევა მასწავლებლებს შესასრულებლად. მოწყობილია ლენინის და სხვ. კუთხეები. სკოლები ჩაბმულია საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, როგორც კულტურულ, ისე სამეურნეო დარგში. მასწავლებლობა აწარმოებს გეგმიან მუშაობას მოწაფეთა მშობლებში, იწვევს მათ კრებებს და მართავს საუბარს სწავლა-აღზრდის კითხვებზე.

Ж.

მუშათა ცხოვრება

ახალგაზრდა მუშები სწევენ წარმოებას

ლენინის რაიონში **მთავარ სახელოსნოში, საუფდში და საელმწერლო სახელოსნოში**, სადაც მუშაობს 700 ახალგაზრდა მუშა, ჩატარებული იყო შეჯიბრი საუკეთესო ახალგაზრდა მუშაზე და მოწაფეზე.

შეჯიბრის მიზანი იყო დაინტერესება ახალგაზრდების წარმოებით, დღეების გაცდენის დაკლება და წარმოების შრომის ნაყოფიერების აწევა ახალგაზრდებში.

კონკურსის დაწყების თანავე ახალგაზრდა მუშებიც ძალიან დაინტერესდენ შეჯიბრით. მუშებიც დიდი ინტერესით ადევნებდენ თვალყურს შეჯიბრს. საუკეთესო მოწაფეები მთავარ სახელოსნოში აღმოჩნდენ. ამხ. ამხ. **მესროფაშვილი, ჩერნოუსოვი, გულივანსკი და ზამულენკო.**

შეჯიბრმა გაამართლა თავის დანიშნულება, აპრილის თვეში 3 სახელოსნოს ახალგაზრდების მიერ გაცდენილი იყო მუშა საათები 2.821. შეჯიბრის თვეში გაცდენილ საათებმა დაიკლო 1.555 ე. ი. 44,9 პროც.-ით. ამასთანავე ერთად აიწია შრომის ნაყოფიერებამ, გაუმჯობესდა ხელოსან-ბრიგადირების და ახალგაზრდების შორის დამოკიდებულება. დამახასიათებელია, ის, რომ კონკურსთან ერთად გაძლიერდა საწარმოო ცოდნისადმი მუშა ახალგაზრდობის დაინტერესება.

მიიღო რა მხედველობაში მუშა ახალგაზრდობის დაინტერესება საწარმოო ცოდნისადმი, კომკავშირის უჯრედებმა, დაარსეს მთელი რიგი საწარმოო წრეები: მაგალითად დავაარსეთ და მუშაობს სახარატო საამქროში, სახარატო დაზგის კბილებიანი ჩარხის ტეხნიკის შემსწავლელი წრე, ამწყობთა საამქროში დავაარსეთ ორთქლმავალის შემსწავლელი წრე, საუფდში ორთქლმავალის შემკეთებელი წრე, საელმწერლო სახელოსნოში აპარატის და მორზეს ასოების შემსწავლები წრე. კვირაში ორჯერ მეცადინეობენ წრეები.

ლენრაიონის სამ მთავარ წარმოებიდან მუშა-ახალგ. ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია მის ყოველდღიურ მუშაობაში საუკეთესოდ შეასრულოს პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დავალება.—წარმოების შრომის ნაყოფიერების აწევაში.

სალამი საუკეთესო ახალგაზრდა მწარმოებელთ ლენინის რაიონისას.

ვ. ჩოხონელიძე.

—:—

კმაყოფილი ვართ

შარშანდელთან შედარებით მე-4 სტამბის მუშა-მოსამსახურეები კმაყოფილი არიან, როგორც კურორტებზე დაგზავნით, ისე სხვადასხვა დასასვენებელ სახლებში, თუ სანატორიუმებში.

შვებულებაში ყველა ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული გეგმით წავიდენ, ასე რომ ადმინისტრაციას და საზოგადოთ წარმოებას არავითარი ზარალი არ მოსვლიათ.

კურორტებიდან და სხვა ადგილებიდან დაბრუნებულები დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ.

არის პატარა საყვედურები წყალტუბოზე, სადაც კვების საქმე დღემდის ვერ იყო მოწყობილი ისე, რომ ღარიბ-მუშა-მოსამსახურეს შესძლებოდა იქ დრო სარგებლიანად გაეტარებია.

გადამუშავების ანგარიშიანობაც უკანასკნელად დამაკმაყოფილებელია. ვინაიდან ამხ. მუშებმა თითონ გვარიანად შეისწავლეს ანგარიში და არც მაინც და მაინც სტამბის მმართველი ჯიუტობს. ეს უკანასკნელიც გულდადებით ცდილობს მუშა დააჯეროს, რომ არავითარ სიყალბის ჩვენში გასავალი არ უნდა ჰქონდეს.

ჯამაგირს ყოველთვის დროზე ვღებულობთ. დავალიანების საქმე ცოტა ამ ბოლო დროს „შეუხდა“, მაგრამ აბა ვისი ბრალია, როცა ჩვენ თითონ ვიღებთ თუ ვხარჯავთ.

მართალია სტამბას სამუშაო არ აქვს საკმარისად, მაგრამ მანქანებს საბეჭდავი ნაკლებად აკლდება.

იყო ლაპარაკი „ვერტელჩიკების“ კატეგორიის მომატებაზე, ადმინისტრაციამ მხოლოდ ერთის მოუმატა და დანარჩენებისათვის საერთო წესით სცნო დროებით.

მე კი ვიტყოდი, რომ საჭიროა კავშირმა კიდევ და კიდევ დღის წესრიგში დააყენოს ვერტელჩიკების საქმე.

დონ-ლანი.

ასე მუშაობა არ შეიძლება

სადგ. სვირიდან გააქვთ ღვინო, ყურძენი, თაფლი, და სხვ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და საგნები. მაგრამ მიუხედავად ამისა სადგური არ არის მოწყობილი.

ტეხნიკური ანგარანი და ტელეგრაფი მოთავსებულია ერთ გასასვლელ ძლიერ პატარა ოთახში. სადგურში არ არის ბინა სათადარიგო ქმედებისა და ტელეგრაფისტებისათვის.

საქონლის ანგარანი პატარა ოთახშია, აქვე ინახება სხვადასხვა წიგნები და ფულის საბუთები.

არც ერთ ფანჯარაზე არ არის რკინის მოაჯირი.

არ არის სალარო. ფულს საქონლის მოლარე ინახავს კონსერვის ყუთებში; არ არის საბარგო განყოფილება და მტვირთავებს ბარგი და ტვირთი გადააქვთ საქონლის საწყობში ლიანდაგს იქით, რომელზედაც ყოველთვის დგას 3-4 მატარებელი. საქონლის საწყობი სავსეა ვირთხებით.

პლატფორმა არ არის გადახურული, სასწორი და ტვირთი, რომელიც საწყობში ადგილის უქონლობის გამო იწყობა ცის ქვეშ — ფუჭდება.

საქონლის სადგური არ არის შემოღობილი, არ არის ღამის დარაჯი რისთვისაც ხშირად არის ძარცვა-გლეჯა.

საერთო ზალა ძლიერ პატარაა და სრულებით არ კმარა მგზავრების მოსათავსებლად.

ორი წლის უკან სადგურის გადაკეთებაზე გაცემული იყო 12.000 მან. მაგრამ ჯერ მუშაობას რაღაც მიზეზების გამო არ შესდგომიან.

ახალი.

—:—

საყურადღებო წვრილმანი

— **საჭიროა წყლის ონკანი.** ლენინის უბანში საბჭოთა ქუჩის ბოლოს და მის ახლო-მახლო ადგილებს მოსახლეობა ასობით მოემატა. ამას წინედ მე შემთხვევით მომიხდა გავლა ამ უბანში და შევხედე, რომ მრავალი ხალხი ლოტკის მთიდან ეზიდებოდა ძლიერ მლაშე წყალს და მასთან ეს ძლიერ დაშორებულიც არის ამ უბანს.

წინეთ იყო ერთი წყლის ონკანი პლეხანოვის კლუბთან, მაგრამ ისიც მოხსნეს და იქ ახლა ახლოს წყალი არ არის.

ამ უბანში უნდა გაიხსნას ერთი წყლის ონკანი.

მუშა სიონელი.

— **ხანძრო რაზმი.** (რაჭა, ქ. ონი) რაჭაში ცეცხლის მქრობელი რაზმი არ იყო, მაგრამ ეხლა დაარსდა, რომელშიც შედიან მოხალისეები და სწავლობენ, თუ როგორ უნდა მოიქცენ ხანძრის დროს. წინეთ ბევრჯერ გაჩნდა ხანძარი, მაგრამ ვერაფერით ვერ ჩააქრეს ხოლმე. ეხლა კი აღარ გვეშინია ხანძრის.

ა. გობეჯიშვილი.

— **შოაჭკვიანეთ.** საბჭოს ქ. № 94 სახლი ეკუთვნის ვინმე მიხაილიდს, რომელიც მოსვენებას არ აძლევს მუშა-მდგმურებს, ლანძღავს მათ, უყვირის და შეურაცხყოფას აყენებს. ამას წინად მიხაილიდმა სცემა მის მდგმურს მარია ბელიაშვილს.

მილიციავ, მოაჭკვიანე მიხაილიდი.

მუშკორი თბილისელი.

—:—

მუშათა ქრონიკა

— **ფაბკომის გადარჩევა.** ძაფ-სართავ და ბამბის ფაბრიკის მ.-მოსამსახურეებმა ამას წინად აირჩიეს ახალი ფაბკომი 7 კაცისაგან შემდგარი, ფაბკომის თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. **თედიაშვილი.**

— **ხსენებულ ფაბკომმა** მიმართა ტრესტის ადმინისტრაციას თხოვნით მუშა-მოსამსახურეებისათვის წვრილი სადუქნო კრედიტის გაღების შესახებ თითო სულზე 16 მან. რაოდენობით.

— **2.300 მან. თვითმფრინავის ასაშენებლად.** მელითონეთა კავშირის ც. გ. გაიღო თვითმფრინავ „საქართველოს პროფკავშირები“-ს ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად 2300 მან.

— **კულტთათბირი.** საქ. პროფსაბჭოს კულტ განყ. ყველა კავშ. ც. გ. კულტ: განყ: გამგეების და საშეფო ნაწილების წარმომადგენლების თანდასწრებით 22 ივლისს, დილის 8 საათ. იწვევს კულტ. თათბირს.

— **საამშენებლო სასწავლებელში.** ამშენებელთა კავშირის ც. გ. არსებულ საამშენებლო სასწავლებელში მსურველთა მიღება დაიწყება მიმდინარე წლის 1-ლ სექტემბრიდან.

— **შტატის შემოკლებისათვის.** საბჭოთა მუშაკების კავშირის ც. გ. პრეზიდიუმმა დაავალა ამავე კავშირის სატარიფო განყ. გამოირკვიოს მიზეზი საქ. ფინსახკომში ზოგიერთ თანამშრომლების შემცირების შესახებ.

ძვირფას ამხანაგის ხსოვნას

(მირონ ვარალოვი)

სიკვდილმა გამოსტაცა ჩვენს მჭიდრო ჩეკისტურ ოჯახს კიდევ ერთი ამხანაგი.

მოკვდა ამხ. ვარალოვი.

ჩვენ, ჩეკისტები, ჩვეჩვიეთ საშიშროებას, შევეჩვიეთ სიკვდილის საფრთხესთან შეხვედრას, მაგრამ როდესაც ბრმა ნაწლავის ანთებით იღუპება ახალგაზრდა, დაუშრეტელ ენერგიით სავსე, კაცი, რაღაც განსაკუთრებულ წყენას ვგრძნობთ.

უაზრო, მოულოდნელი, არავისთვის საჭირო დანაკლისი!

ასეთია ჩეკისტების უმეტესობის ბედი. ისინი მუშაობის დროს კვდებიან. ასე მოკვდა ამხ. ვარალოვიც.

მახსოვს, დიდი ხანი არაა, ვთხოვდი მას: „წადი დაისვენე, დაიწყე ექიმობა, ნუ მიაყრუებ ავადმყოფობას“. ის კი ამაზე მხოლოდ მხიარულად იღიმებოდა და კატეგორიულ უარს აცხადებდა: „არაფერია, ახლა ექიმობის დრო არაა, საჭიროა მუშაობა, ორგანიზმი როგორმე აიტანს“. და მართლაც აიტანა მან.. აპენდიციტის მესამე გამწვავებამდე, როდესაც ის პირდაპირ მუშაობიდან წაიყვანეს საოპერაციო მაგიდაზე. და აქაც, მაშინ როდესაც ის განიცდიდა საშინელ ტანჯვას და ტკივილებს, ის ამას კი არ უჩიოდა, არამედ იმას, რომ იძულებული ხდება ჩამოშორდეს მუშაობას და დაკარგოს ძვირფასი დრო საავადმყოფოში „უმიზნო“ წოლაზე. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „რა მწყინს ახლა სიკვდილი, ახეთ ცხარე დროში; როდესაც კიდევ ბევრი რამეს გაკეთება იყო საჭირო“.

საქმის ინტერესები მისთვის ყოველგვარ პირადულზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. ბუნებით ნიჭიერი, ის მთელ თავის ძალღონეს; მთელ თავის ენერგიას ხარჯავდა საქმეში; კონტრრევოლიუციასთან ბრძოლის გაცხარებულ მუშაობაში.

ასე სცხოვრობდა ის, და ასეც მოკვდა.

ვინც ხვდებოდა ამხ. ვარალოვს, ვინც დაახლოვებით იცნობდა მას; მას არ შეიძლება არ ჰყვარებოდა იგი. ეს იყო იშვიათად მხარული კაცი. მისი მხიარულება არ ჰქრებოდა მისი ცხოვრების და მუშაობის უმძიმეს მომენტშიაც კი. მისი მხიარულება, სიმხნევე ედებოდა ყველას და ამაღლებდა განწყობილებას და ენერგიას. საკმაო იყო ის სადმე გამოჩენილიყო, რომ ყველა ფერი გაცოცხლებულიყო. თვითეულისათვის ჰქონდა მას ოხუნჯობა, მხნე სიტყვა, მხიარული ღიმილი. ოხუნჯობა სხვადასხვანაირია. ამხ. ვარალოვი ისე ოხუნჯობდა, რომ ეს არავის არ სწყინდა. და ეს იმ მძიმე მუშაობის დროს, რომლითაც დატვირთულია თითოეული ჩეკისტი.

იშვიათი ამხანაგი თავის გულკეთილობით, ვარალოვი ერთნაირად ახლობელი იყო ყველასათვის, ვინც მას იცნობდა და ვინც მასთან მსახურობდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას ვინმესთვის უარი ეთქვა დახმარებაზე, როდესაც მას მიმართავდენ. ისესხებდა ვინმესგან ფულს და იქვე გაუზიარებდა ამხანაგს.

ის იყო უანგარო, მან თითქმის არაფერი იცოდა პირადი ცხოვრების. იმ მცირეოდენ თავისუფალ წუთებში, რომლებიც მას რჩებოდა სამსახურიდან, ის ეძლეოდა საზოგადოებრივ-პარტიულ მუშაობას. ის იყო აქტიური პარტიელი-საზოგადოებრივი მუშაკი, რომელსაც ამ საქმეშიაც შეჰქონდა თავისი ენერგიით და სიმხიარულით მდიდარ ბუნების ნაწილი. არ ყოფილა კრება, რომელიც არ გამოეცოცხლებია თავის დასწრებით და გამოსვლით ამხ. ვარალოვს.

იშვიათი ადამიანი აერთიანებს თანაბრად მუშაკის, საზოგადოებრივ მოღვაწის და ამხანაგის ასეთ ძვირფას თვისებებს!

მძიმეა და საწყენი ის გარემოება, რომ სიკვდილმა გამოგვტაცა ჩვენი რიგებიდან ასეთი ადამიანი.

კიდევ მეტი ენერგიით და შემჭიდროვებით გავსცემთ ჩვენ პასუხს ამ დანაკლისზე.

ლ. ბერია.

მზადება ოქტომბრის რევოლიუციის 10 წ. თავის დღესასწაულისათვის აჭარისტანში

აჭარისტანში ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის ჩამტარებელმა მთავარმა კომისიამ შეიმუშავა ოქტომბრის ზეიმის ჩატარების გეგმა.

გეგმის მიხედვით, ოქტომბრის ათი წლის თავის დღესასწაულის მოსამზადებელი მუშაობა დაიწყება პირველ აგვისტოდან. თვით დღესასწაულის კამპანია ბათომში ჩატარებული იქნება 1—8 ნოემბრამდე.

სხვათა შორის, გარდა სიტყვიერ-ბეჭდვითი აგიტაციებისა, დემონსტრაციებისა; ილუმისა, გადაწყვეტილია მოეწყოს ფიზკულტურელთა გამოსვლა, კარნავალი, მასიური ინსცენიროვკები და სხვა. განზრახულია აგრეთვე მოეწყოს დიდი გამოფენა საბჭოთა აჭარისტანის მიღწევების ნათელსაყოფად.

მაზრებში, გარდა აგიტაცია-მიტინგებისა, მოეწყობა სახალხო დღესასწაული: ცეკვა; თამაში; სიმღერები და სხვა.

მაზრებში დღესასწაული ჩატარდება პარასკევს; 4 ნოემბერს.

ბათომიდან ამ დღისათვის სოფლებში გაემგზავრებიან საშეფო საზოგადოებები, ორკესტრები, კინო-ორგანიზაციების წარმომადგენლები კინო-აპარატებით და სხვა.

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულთან შეფარდებული იქნება გზების, ხიდების; სკოლების და სხვ. გახსნა.

ავიაქიმის მეორე საჰაერო ლატარია

17 ივლისიდან მთელ საბჭოთა კავშირში დაიწყო თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების მეორე საჰაერო ლატარიის ბილეთების გაყიდვა.

სულ გამოშვებული იქნება 3.000.000 (ათიათას — ათიათასი ბილეთი 300 სერიაში) ბილეთი — სულ 1.500.000 მანეთის. თვითეული ბილეთი ღირს ათი შაური.

მთელი შემოსავალი ლატარიიდან მოხმარდება თავდაცვის ფონდის და საავიაციო-ქიმიური მშენებლობას საბჭოთა კავშირში.


ЛОТЕРЕЙНЫЙ БИЛЕТ
50
ВТОРАЯ ВСЕСОЮЗНАЯ ЛОТЕРЕЯ ОСОАВИАХИМА
ОСОАВИАХИМ — ОПОРА МИРНОГО ТРУДА И ОБОРОНЫ
СССР
№ 000000
Серия 000

გათამაშებული იქნება 200.000 მანეთის 11.093 მოგება.

მთავარ მოგებათა შორის არის: მოგზაურობა მსოფლიოს ყველა კუთხეებში (მომგების ამორჩევით, ღირებულება 7.500 მანეთი); ორი მოგზაურობა დედამიწის გარშემო (5.000—5.000 მანეთი); ორი მოგზაურობა მოსკოვი—ათინა — მოსკოვი (1.500—1.500 მანეთი); სამი მოგზაურობა მოსკოვი — პარიზი — მოსკოვი (1.350—1.350 მანეთი); ორი მოგზაურობა მოსკოვი — ვენა—მოსკოვი (1.300—1300 მანეთი); ორი მოგზაურობა მოსკოვი — სტამბოლი → მოსკოვი (1.200—1.200 მანეთი); სამი მოგზაურობა ბერლინი — მოსკოვი — ბერლინი (1.150—1.150 მანეთი); ხუთი მოგზაურობა მოსკოვი—მინერალური წყლები — მოსკოვი ერთი თვის დასვენებით (750—750 მანეთი); ხუთი მოგზაურობა მოსკოვი — სოხუმი — მოსკოვი ერთი თვის დასვენებით (750—750 მანეთი); ხუთი მოგზაურობა მოსკოვი—სევასტოპოლი—მოსკოვი ერთი თვის დასვენებით (750 მანეთი); სამოცი მოგზაურობა მოსკოვი — ნიჟნი-ნოვგოროდი—ასტრახანი—მოსკოვი (300 მანეთი); ხუთი მოგზაურობა მოსკოვი — ხარკოვი — მოსკოვი (200—200 მანეთი); ხუთი გადაფრენა მოსკოვი—ლენინგრადი — მოსკოვი (200—200 მანეთი); 3.973 დეტექტორიანი რადიო-მიმღები აპარატი (20—20 მანეთიანი) და ხუთი ათასი გაფრენა საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებზე (ათ-ათი მანეთი).

დანარჩენ 2.056 მოგებაში შედის: 5 ველოსიპედი (ღირებული თითო 200 მანეთად), 250 სამეცნიერო ხელსაწყო, ჰაეროპლანების 500 მფრინავი მოადელი 100 წყვილი საფოსტო მტრედი; მომგებთ უფლება ეძლევათ პირველი 9037 მოგება შესცვალოს შესაფერი ღირებულების სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო იარაღებით. (ტრაქტორი სალეწი მანქანები და სხვა) ან მიიღონ ფული.

საქართველოს ცაკში

— **გლეხკომები დახმარებას უწევენ ინვალიდებს და ქვრივ-ობლებს.** საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით ინვალიდებს, წითელარმიელების ოჯახებს, ქვრივებს, ობლებს და სხვა სახის გაჭირვებულ პირებს ახალციხის მაზრაში მომუშავე გლეხკომებმა 1926 წ. ოქტომბრიდან 1927 წლის 1-ლ ივლისამდე დახმარებათ მისცა — 7.903 მანეთი და 62 კაპ.

— **რამდენი წევრი ყავს ახალციხის მაზრაში გლეხკომებს.** ცაკის სოც. ურზუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით ახალციხის მაზრის გლეხკომებში ამჟამად წევრებათაა ჩაწერილი 10.815 კომლი გლეხი. ამათში ქალია 860 და მამა-კაცი 9,955-ი. გლეხკომებში წევრებად ჩარიცხულ პირებში უკიდურესი ღარიბი გლეხია 5.652, საშუალო შეძლების გლეხი 4.556 და შეძლების მქონე გლეხი 717.

— **ავიაქიმის ფონდში.** საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ თავის სპეციალურ საშუალებებიდან გუშინ ავიაქიმის ფონდში გადარიცხა რვაას სამოცდა თოთხმეტი (874 მ. და 60 კ.) მანეთი და 60 კაპ.

— **დახმარება.** ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ ახალციხის სამაზრო გლეხკომს გლეხკომებში მომუშავე პირების გადასამზადებელ კურსებზე მოსახმარად დახმარებათ მისცა ასი მანეთი (100 მანეთი).

რიონჰესი

სამუშაოების დაწყების წინ

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში რიონის ჰიდრო-ცენტრალის ასაგებ სამუშაოების უფროსის მოადგილემ ინჟ. მელიქ-ფაშაევმა განაცხადა:

— ამჟამად სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა რიონჰესის საბოლოო დეტალური პროექტის შესადგენად. პროექტი მზად იქნება არა უგვიანეს სექტემბრისა, რის შემდეგაც დეტალურად განხილული იქნება საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს. მთავარ ელექტრო-სამმართველოში.

ძირითადი მუშაობა სადგურის ასაგებად დაიწყება ოქტომბერში. პირველხანებში იმუშავებს რამოდენიმე ასეული მუშა; წლინახევრის შემდეგ მუშების რიცხვი გაიზრდება 3—4 ათასამდე. რიონჰესის დამახასიათებელი ნიშანი იქნება ის, რომ სადგურის მთელი მოწყობილობა დამზადებული იქნება საბჭოთა ქარხნებში.

საზღვარგარეთ შეკვეთილი იქნება მოწყობილობის მხოლოდ 15—20 პროც.

მოლაპარაკება საბჭოთა ქარხნებთან შეკვეთების განაწილების შესახებ უკვე დაწყებულია. ყველა ტურბინები დამზადებული იქნება საბჭოთა ქარხნებში. ტურბინების დამზადება შეკვეთილი აქვს „მაშინოსტროის“.

სატარიფო თათბირი

თათბირის მესამე სხდომაზე მოსმენილ იქნა ორი მოხსენება დაზღვეულთათვის სამკურნალო დახმარების აღმოჩენის შესახებ, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში.

პროვინციაში დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ჯანსახკომის სამკურნალო განყოფილების გამგე ექ. **გოცირიძე**, რომელმაც აღნიშნა სამკურნალო ქსელის გაუმჯობესება და განაცხადა, რომ მიუხედავად მდგომარეობის გაუმჯობესებისა ადგილებზე მაინც აქვს ადგილი ზოგიერთ დაბრკოლებებს, რაც ხელს უშლის მიმდინარე მუშაობას.

ამავე საკითხის შესახებ თანამოხსენებით გამოვიდა თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე ამხ. **ცომაია**, რომელმაც დაახასიათა დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების საქმის მდგომარეობა თბილისში და მის მაზრაში.

მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ბარამიძემ, მატინიანმა; ელბაქიანმა; ბუაძემ; ნარჩემაშვილმა, არაქელოვმა, გ. უურულაშვილმა და სხვა.

გამოსული ორატორები ეხებოდენ წამლების გაცემის წესის გაუმჯობესების საჭიროებას, ადგილებზე რესპუბლიკანური ფონდის რაციონალურ ხარჯვის აუცილებლობას, ამბულატორიული და დისპანსერული ექიმობისათვის გამარტივებული წესების შემოღებას და სხ.

მომხსენებელთა საბოლოო სიტყვების მოსმენის შემდეგ თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია დაზღვეულთათვის სამკურნალო დახმარების საქმის გაუმჯობესება და გამოთქმულია სურვილი, რომ დაძლეულ იქნეს ის დეფექტები, რომელთაც ამჟამად აქვს ადგილი.

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის პროლეტარიატი

ამხ. მიხა შარიქაძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ჩემის მხრით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კაცხის შვიდ წლედიან მასწავლებლებს მ. გამეზარდაშვილი; აპალონ გოგსაძეს; გერვასი ღვალაძეს; შუშანა ჩიხელიძეს; სერგო კაპანაძეს; ბაბო ჯალაღანიას; ლუბა მოდებაძეს; ცაცა გურულს; დ. კაპანაძეს; გერასიმე ბარათაშვილს; კაცხის კოოპერატივიდან: ევგენი ჩიხელიძეს; დ. მოდებაძეს; ქვაციხიდიდან: სერგო ულენტს; გ. გოგსაძეს; ვ. კუპატაძეს; სიმონ ულენტს; გ. ლობჟანიძეს; ჯოყოვეთის სკოლიდან: მარუსია საყვარელიძეს; კაპიტონ სარალიძეს; ჯვარი-ეწრიდან: გედევან ჭუმბურიძეს; ვაჭედიდან: ლ. ბოჭორიშვილს; ილიკო ბუჭუხიშვილს; კაცხის თემის თავმჯდომარე პლ. კუპატაძეს; საჩხერიდან: ივ. წერეთელს; ა. ჩინჩალაძეს; ლ. იაკობაშვილს; პ. დურმიშიძეს; ალ. გუდაძეს; ფილია ჩიქვილაძეს; მიხეილ ხიჩინოვს; ბიქტორ მულაძეს; სერგო ნანიტაშვილს; ვალოდია ვეშაპიძეს; ტერენტი მულაძეს; მინა მულაძეს; ლადო მერმანიშვილს; ბესარიონ ფარქოსაძეს; კლიმენტი აბრამიშვილს; პლატონ მოდებაძეს; ჭიათურიდან: ტრიფონ ჩინჩალაძეს; შალვა ლაბაძეს; ევგენ იაკობაშვილს; ს. ბარათაშვილს; იროდიონ ბურჯანაძეს; არჩილ გოცაძეს; ბიქტორ მახარაშვილს; ხეფე მოდებაძეს (რაიკომში) ზესტაფონიდან: აბდუშელიშვილს; ვ. კაპანაძეს; მ. გამყრელიძეს; ერმოკრატ თალაკვაძეს; ლადო ბურნაშვილს; ლ. ტაბატაძეს; მარუსია მახათაძეს; დაშა აბაშიძეს; შალიკო ბოჭორიშვილს; დათიკო მოდებაძეს; ვასილ კვინიკაძეს; სერგო ჭოლოლაშვილს.

შალვა მოდებაძე.

—:—

ამხ. ვანო კუჭუხიძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ვასილ ესაკიას; რაფიელ კუჭუხიძეს; სამსონ ჭანტურიას; სერაფიონ კიზირიას; მაშია ესაკიას; კუკუ ესაკიას; სტეფანე სტურუას; ლუბა ცომაიას; აქსენტი გაბელიას და კოლია ესაკიას.

ენტატე კუჭუხიძე.

—:—

ამხ. დ. მაჭარაშვილის გამოწვევით შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად 3 მანეთი და ვიწვევ ქ. ჭიათურიდან: ამხ. პლატონ საყვარელიძეს; ისიდორე გოგოლაშვილს; გიორგი ბარელაძეს; შალიკო ბრეგვაძეს; ვლადიმერ გაჩეჩილაძეს; იგორ წერეთელს; ვასილ ხიხაძეს; იოსებ ნეფარიძეს; ზესტაფონიდან: ილია ცქიტიშვილს; სერაფიონ ჭირაქაძეს; რაჟდენ კვიჟინაძეს; აკაკი ჭიჭინაძეს; პავლე ცქიტიშვილს; სერგო ჭოლოშვილს; სოკრატ თალაკვაძეს; ევსევი გაჩეჩილაძეს; სიმონ კიკნაძეს; მიშა გურულს; ვანო ზარნაძეს; სერგო ჩიტიშვილს; ტიხონ მიხელიძეს; იასონ ცარციძეს; სერგო დეისაძეს; შალიკო ბოჭორიშვილს; ალიოშა კოპალეიშვილს; ვასიკო წერეთელს; სიმონ მახარაშვილს; დათიკო მოდებაძეს; ალექსანდრე ქურიძეს; დომნა ბურჯანაძეს; ვლადიმერ კუბლაშვილს და ვასილ [illegible]

ვანო ტყემალაძე.

—:—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად თანახმად ამხ. გულბანის გამოწვევისა შემომაქვს 5 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თ. ცქიტიშვილს; თ. და მ. იაკობაშვილებს; ლ. და დ. მესხებს; კ. და ვ. კობახიძეებს; ვ. და მ. კანდელაკებს; გ. ცქიტიშვილს; ა. ლეკვიშვილს; ბ. დავითაშვილს; შ. ქიშმარეიშვილს; ე. ჭუმბურიძეს; გ. გაბუჩიას; ვ. მშვენიერაძეს; ვ. ჩაკვეტაძეს; ვ. დოლიძეს; ვ. ჩხეიძეს; დ. ყარაშვილს; ს.ბერიძეს; ს დოლონაძეს; დ. ლაჭყებიას; ტ. ახვლედიანს; ვ. ბერიძეს; მ. ბაკურაძეს; ლ. ყურაშვილს; მ. მათიკაშვილს;

ა. ჭიჭინაძე.

—:—

ამხ. მიშა კალანდაძის გამოწვევით შემომაქვს ხუთი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნოე ივანეს ძე რამიშვილს, ანდრო ჭიაბრიშვილს, აკაკი აფაქიძეს, და პროკოფი ცარევსკის.

რაფიელ დ. მეგრელიშვილი.

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად ტრამვაის ელსადგურის მუშებს დამატებით შემოგვაქვს: სარქისოვ ოგანეზს —50 კ.; ბესტაშვილს—2 მ.; ნინიაშვილს—50 კ.; შვანს—1 მ.; შალიას—1 მ. 50 კ.; უჯაყილაშვილს—1 მ.; სარქისოვ ავეტიქს—50 კ.; ტატუნაშვილს 50 კ.; იორდანოვს—50 კ.; სარქისოვ გასპარს—50 კ.; გოგიძე ილიკოს—1 მ.; რამიშვილი შალიკოს—1 მ.; ცინცაძე დ. 50 კ.; ვაშაკიძე ვარლ.—50 კ.; ლაღანიძე—2 მან.; გერტკოევს—50 კ.; გიორგობიანი იოსებს—2 მან.; ზვადიევს 50 კ.; გორგიაშვილს—50 კ.; კირთაძეს—50 კ.; მჭედლიშვილს—50 კ.; სულ თვრამეტი მანეთი.

კომისიის წევრები.

—:—

ამხ. ლავრენტი რუხაძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი (3) მან. თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კაპანაძე დავით; ფურცელაძე ალექსანდრე; ჩიჩუა ნიკოლოზ; ჩიჩუა ალექსანდრა; გორიაჩკო ვლადიმერ; დუნდუა ვასო; რუხაძე ნიკოლოზ; კუტატალაძე კოტე; მჟავანაძე გედევან; კაკაბაძე ვარლამ დიმიტრისძე; გელეიშვილი მიხეილ ირაკლისძე. (სამტრედია).

ნიკოლოზ ფილიპესძე ტელიჩკო.

—:—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად ექვსი მანეთი.

პოლიტკატორღელი გიორგი სიმონისძე თავდგირიძე.

—:—

ამხ. ძამანაშვილის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი (3) მან. თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებათ.

ა. ჭიაბრიშვილი.

—:—

მუშკოოპის № 1 მაღ. თანამშრომელთ შემოაქვთ თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებათ ცხრა მან. და 50 კ. მუშკოოპის მე-9-რე მაღაზიის გამოწვევით.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის კომუჯრედის ბიუროს დადგენილების თანახმად, ამასთანავე ერთად ვგზავნით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად **20 მანეთს.**

ვიწვევთ: თბილისის ტრამვაის სახელოსნოს, განათლების სახ. კომისარიატის, საქ.სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და „ცეკავშირს“.

კომუჯრედის პ.-მგებ. მდივანი: **შ. ჯაბადარი.**

—:—

ამხ. ლავროსი ძიძიგურის გამოწვევით შემომაქვს აეროპლან „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ილიკო დოლიძეს; მიქიან თეჩიშვილს; ქვატაძეს; რაჟდენ ნიჟარაძეს; აკაკი ჩხაიძეს; ივლიანე მგალობლიშვილს; ვარდენ ავალიანს; ალიოშა ძოწენიძეს; ჭიჭიკო მატარაძეს; სპირდონ ხაბურძანიას; ილიკო ამაშუკელს; კოწია გიორგობიანს; ვასო ტურაბელიძეს; ევგენი კაკაბაძეს; ალექსანდრე კურცხალიას; პარმენ ლორთქიფანიძეს; სერგო რატიანს; პავლე ჩარექოვს; ვარლამ კაციტაძეს; ტიგრან ტერმინასინს; სანატორიუმ „არაზინდოდან: სოსო ჯავახიშვილს; ანდრო უშვერიძეს; რემანოზ სალუქვაძეს.

ვანო ჯაგუა.

—:—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად საგარეჯოს ა. ლ. კ. კ. გლეხურ უჯრედს შემოაქვს 10 მანეთი და 30 კაპ. და იწვევს ა. ლ. კ. კ. შემდეგ უჯრედებს: მანგლისის, ავჭალის, მარტყოფის, ასურეთის, ხაშმის, სართიჭალის და ალბულაღის.

უჯ. მდივანი **შ. ნაცვლიშვილი.**

ამხ. მიხ. გავაშელის გამოწვევით შემომაქვს ათის მანეთი (10 მ.) თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად.

ევგენი ვაჩაძე.

—:—

დღეს შემოვიდა 99 მან. 80 კაპ.

სულ წინა შემოსულთან ერთად 4.963 მან, 4 კაპ. და ერთი ოქროს მაჯის საათი.

ქრონიკა

ამხ. ლიუბოვიჩის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან ბორჯომში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ლიუბოვიჩი.**

ბამბის ნათესები

წელს ბამბის ნათესების სივრცე დასავლეთ საქართველოში შარშანდელთან შედარებით შემცირდა. სენაკის მაზრაში, მაგალითად, ბამბის ნათესები 450 დეს. შემცირდა 150 დესეტინამდე.

ნათესების სივრცის შემცირება აიხსნება შარშანდელი მოუსავლიანობით.

აფხაზეთის და გურიის ხე ტყის ექსპორტი

ბათომიდან გემ „ბოლსანო“-თი ამერიკაში გაიგზავნა 150 ტონა ნიგვზის ბოძები, რომლებიც დამზადებულია აფხაზეთში.

ამავე გემით საფრანგეთში გაიგზავნა გურიაში დამზადებული 50 ტონა ნიგვზის ბოძები.

მუხის ტკეჩების ექსპორტი

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში მიღებულ ცნობებით, საბჭოთა კავშირის პარიზის სავაჭრო წარმომადგენლობამ პარიზის ფირმა „პასკალ და პიუუალ“-ს მიჰყიდა 400.000 ცალი მუხის ტკეჩი, რომლებიც დამზადებულია ლენქორანში.

თბილისის აღმასკომში

◆ **ქალაქის ლომბარდში** დაგირავებულ ნივთებზე, საგეგმო კომისიის დადგენილებით, გადაწყვეტილია დაუკლონ დასაგირავებელ პროცენტებს.

◆ **მოთხოვნილება ყინულზე.** ამჟამად ქალაქის სხვადასხვა წარმოებები ყოველ დღიურად ასაღებენ 21.000 ფუთ ყინულს.

◆ **ძაფების საკეთებელი ქარხანა.** პასტერის ქუჩაზე გაიხსნა და უკვე მუშაობა დაიწყო კერძო მწარმოებლების მიერ გახსნილმა საკერავი და საქარგი ძაფების დამამზადებელმა ქარხანამ.

◆ **საავადმყოფოს გადიდება.** ტეხნიკურ-საამშენებლო სექცია ამუშავებს ალექსანდროვის საავადმყოფოს შენობის გაფართოების პროექტს. საავადმყოფოზე დააშენებენ მესამე სართულს.

ჯანსახკომში

◆ **საექსკურსიო ბიურო.** ჯანსახკომთან დაარსდა საექსკურსიო ბიურო, რომელიც პირველ ექსკურსიას აწყობს 23 ივლისს ბაკურიანისაკენ.

◆ **ინსტრუქციების დაგზავნა.** ჯანსახკომმა დაუგზავნა ყველა სამაზრო ჯანმრთ. განყოფილებებს ინსტრუქციები ნორმალური სამკურნალო ქსელის მოწყობის შესახებ.

◆ **სამალარიო სადგურები.** ამჟამად სამალარიო სადგურები გახსნილია — თელავში, გორში, სანდარაში, სამტრედიაში, ოზურგეთში, სენაკში, ფოთში და სიღნაღში. მომავალი წლიდან თითო სადგურთან მოეწყობა ათ-ათი საწოლი.

შრომის კომისარიატში

◆ **სამთო ზედამხედველობის ინსპექცია.** შრომის დაცვის განყოფილებასთან არსდება სამთო-ზედამხედველობის ინსპექცია.

◆ **წერითი დახმარების პუნქტები.** უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით ამჟამად ქალაქში დაარსებულია 49 წერითი დახმარების პუნქტი, სადაც ყოველი უმუშევარი მუშაობს ექვს-ექვსი თვე.

◆ **ეპიდემიებთან ბრძოლის დროს შრომის** უნარ დაკარგულ მედპერსონალს, შრომის კომისარიატის დადგენილებით მიეცემათ პენსიები საერთო წესით.

◆ **არტელების წევრთა დაზღვევა.** სოც. დაზღვევის სამმართველო ამუშავებს წესებს შრომის არტელების წევრთა დაზღვევის შესახებ.

მიწათ-მოქმ. კომისარიატში

◆ **სატაქსაციო სამუშაოები.** მიწათ-მოქ. კომისარიატის მიერ ოზურგეთის ტყეების სატაქსაციოთ (დასახარისხებლათ) გაგზავნილ ჯგუფმა გამოარკვია, რომ გურიაში ტყის მოედანი არ აღემატება 10.000 დესეტინას.

◆ **ექსპედიციების გაგზავნა.** მიწათ.-მოქ. მევენახეობა-მეღვინეობის განყოფილებამ სიღნაღის და რაჭის მაზრებში გაგზავნა სპეციალისტთა ექსპედიციები ფილოქსერასთან საბრძოლველად.

◆ **ამერიკული კარტოფილი.** გორის სამაზრო აგრონომიულმა განყოფილებამ მიიღო გლეხებისათვის დასარიგებლად ამერიკული კარტოფილის თესლი.

ს. მ. უ. ს-ში

◆ **სამრეწველო მუშაკთა კლუბი.** თბილისში ეწყობა სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციების პასუხისმგებელ მუშაკთა საქმიანი კლუბი.

◆ **ახალი ქარხანა.** ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწ: განყოფილებამ დაამტკიცა თბილისში ფოტოგრაფ. ქაღალდების დამამზადებელი ქარხნის წესდება.

◆ **ზუგდიდ-ჯვარის რკ. გზ.** ს. მ. უ. საბჭოში მიღებულია ცნობა, რომ ზუგდიდ-ჯვარს შორის ახალი რკ. გზის გასაყვანი გამოკვლევები დაწყებულია ხელ ახლა და სამუშაოები 1-ლი აგვისტოს მაგიერ დამთავრდება 15 აგვისტოს

ხელოვნების ქრონიკა

◆ **ნიღაბების თეატრის გასტროლები.** 25 ივლისს, ახალ მუშათა კლუბში გაიმართება მოსკოვის ნიღაბების თეატრის გასტროლი.

◆ **ქუთაისის მუსიკალური სატირის თეატრმა** დაამთავრა გასტროლები თბილისის მთელ რიგ მუშათა კლუბებში, ხვალ სატირის მორიგი გასტროლი დანიშნულია ორჯონიკიძის სახელობის კლუბში (ყოფ. მუშტაიდი).

◆ **დიდი საღამო.** დღეს მუშათა ახალ კლუბში გაიმართება დიდი საბალეტო საღამო დივერტისმენტით. საღამოზე იმღერებს ბოშათა სიმღერების შემსრულებელი იუდინა.

◆ **სიმფონიური კონცერტი.** პარასკევს, საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კლუბში გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი ყარდაშოვის დირიჟორობით.

დღეს კინოებში

- ◆ **მინიონში** — „სოდომ და გომორა“.
- ◆ **არფასტოში** — „ტარას ტრიასილო“.
- ◆ **დარბაზში** — „ორში რომელი“.
- ◆ **ოდეონში** — „გარიყული გემი“.
- ◆ **პალასში** — „ქალი ნიღაბით“.
- ◆ **აპოლოში** — „ტარას ტრიასილო“.

—:—

შემთხვევები

7.400 მანეთის ქურდი

16 ივლისს უცნობმა ბოროტმოქმედებმა გაქურდეს მოქ. ალაბეგ ტონიკიანცის სავაჭრო. ბოროტმოქმედებმა ამოსჭრეს სავაჭროს მაღლა ჭერი ჩაძვრენ ზემო სართულიდან და სალაროდან გაიტაცეს 7.400 მანეთი ფულად.

სის. სამართლის მილიციის მიერ მიღებული ზომებით ამ დღეებში დაპატიმრებულ იქნა ცნობილი რეციდივისტი ხაჩატურ ოსკანიანცი, რომელიც სავაჭროს გაქურდვამდე რამოდენიმე დღით ადრე განთავისუფლდა ციხიდან. გამოირკვა, რომ ტონიკიანცის სავაჭრო გაუქურდავს აღნიშნულ ხაჩატურ ოსკანიანცს და მის ერთ ამხანაგს — მანუკ მანუკიანცს. ბოროტმოქმედებს დაპატიმრებისას აღმოაჩნდათ 4.252 მანეთი ფულათ და ძვირფასი ნივთები, რომელიც მათ შეუძენიათ დანარჩენი ფულით.

ოსკანიანცი და მანუკიანცი გატყდენ დანაშაულში.

◆ **ავტომობილის ქვეშ.** გუშინ ჟორესის ქუჩაზე მოქ. მარიამ ეგიაზაროვს დაეტაკა კერძო მანქანა № 422 და მსუბუქად დააშავა. შოფერი მანეთიშვილი დააპატიმრეს.

◆ **ხანძარი.** გუშინ ცეცხლი გაუჩნდა სახლს ლენინის ქ. № 66 ხანძარი საჩქაროთ იქნა ჩაქრობილი.

◆ **ტრამვაიზე** ასვლის დროს მოქ. რჩინ სარქისიანცს ჯიბიდან ამოაცალეს 100 მანეთი.

◆ **საკანდიტროს გაქურდვა.** გაქურდეს მოქ. ასპერ აბდულ-ოღლის საკანდიტრო (ელისაბედის ქ. № 152) წაღებულია 152 მანეთის ტკბილეული.

◆ **გაქურდეს** მოქ. ჩინარი სარიბეგოვის ბინა. წაღებულია 45 მანეთის ნივთები.

◆ **ქუჩაში** ძილის დროს იოსებ მირიმანოვს ჯიბიდან ამოაცალეს 31 მანეთი.

სასამართლო

„არეულობა“ ტრამვაიზე და „სისხლის ღვრა ქუჩაში

შოქ. გრეკოვი (მე-12-ე კომისარიატის მილიციელი) დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა ავიდა ტრამვაიზე და დაჯდა ერთ-ერთი მგზავრის გვერდით. ეს მგზავრი გახლდათ მთვრალი, გალეშილი კონსტანტინე პაპასკირი.

პაპასკირს მეტად არა სასიამოვნო სურნელება ამოსდიოდა პირიდან და სწორედ ამ გარემოების გამო მოქალაქე გრეკოვმა დასტოვა მთვრალი მეზობელი და გადაჯდა მეორე ადგილას.

აქედან იწყება „არეულობა“ ტრამვაიზე. პაპასკირმა იწყინა თავისი მეზობლის გადაჯდომა და „დუელში“ გამოიწვია გრეკოვი.

— მე ვარ მთვრალი? მე.. მე. მთთვრალი არ ვარ, მე ცხრა ბოთლ ღვინოს კიდევ დავლევ... შენ არ მოგწონვარ? —ააა! შენ ჩხუბი გინდა? ვნახოთ, ვინ აჯობებს—წამოზარზაცდა პაპასკირი და სწვდა ყელში გრეკოვს

შეიქნა ქალების კივილი. კონდუქტორმა სიგნალი მისცა ვატმანს, ტრამვაი გაჩერდა, ხალხი ღრიალებს, პაპასკირმა ჩაიგდო ხელში გრეკოვი და ურტყამს.

ტრამვაის გარს შემოერტყენ მეეზოვები კეტებით, მილიციის წარმომადგენელი ავიდა ტრამვაიზე „ზავის ჩამოსაგდებლად“. პაპასკირის გადმოყვანა გაძნელდა. საჭირო შეიქნა რევოლვერის ამოღება...

როგორც იქნა პაპასკირი ძირს გადმოსვეს.

აქედან იწყება „სისხლის ღვრა“ ქუჩაში. პაპასკირი არ წყნარდება, (ვაჟკაცია! „ცხრა ბოთლ ღვინოს კიდევ დალევს“).

დასაწყნარებლად მიუგზავნეს მისივე ცოლი, მაგრამ კონსტანტინემ ისეთი მაგარი მუშტი ჰკრა თავის ცოლს ცხვირში, რომ უკანასკნელს სისხლი ნაკადულივით გადმოსდიოდა ცხვირიდან.

სამშვიდობო პოზიცია დაიკავა პაპასკირის ცოლის ძმამ, მაგრამ პაპასკირმა ბუზადაც არ ჩააგდო ის, მოუქნია მუშტი და გადააკოტრიალა ცოლის ძმა. აქაც დაიღვარა უდანაშაულო სისხლი.

ამის შემდეგ მაშველი ძალების დახმარებით პაპასკირი შეკრეს და გაგზავნეს კომისარიატში.

სასამართლომ „ქუჩის მებრძოლს“ მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და მოსახდელად დაუტოვა 3 თვის ციხე.

გერ.

მამის მოკვლა

სიღნაღის მაზრის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდენ მამა არტემი და შვილი სტეფანე თათულაშვილები.

მამასა და შვილს შორის კარგი განწყობილობა წინადაც არ ყოფილა, მაგრამ დამოკიდებულება კიდევ უფრო გამწვავდა, როცა შვილმა სტეფანე თათულაშვილმა ცოლი შეირთო.

ვახშირდა მათ შორის ჩხუბი, ლანძღვა-გინება, ფიზიკური შეურაცყოფა. როცა შეუძლებელი გახდა მათი ერთად ცხოვრება, შვილი გაეყარა მამას და ცალკე დასახლდა.

ჩხუბს და უსიამოვნებას მაინც არ მოეღო ბოლო. 1926 წლის 18 ოქტომბერს სტეფანე წავიდა სამუშაოდ ყანაში უეცრად ხედავს, რომ მის მამას ამოუღია დანა და მიეშურება მისკენ დასარტყმელად. შვილმა იგრძნო საქმე კარგად არ გათავდებოდა და გაიქცა, მამა დაედევნა, შვილმა მოასწრო ბარისათვის ტარის მოძრობა, მოუბრუნდა მამას და ორჯერ დაარტყა ბარის ტარი თავში. მამა იქვე დაეცა და ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

საქმე გაარჩია საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ქ. სიღნაღში ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით და პროკურორ **აბაკელიას** მონაწილეობით.

სასამართლომ მიიღო მხედველობაში ის გარემოება რომ მკვლელობა არ ყოფილა ჩადენილი წინასწარი განზრახვით და ბრალდებულს სტეფანე არტემის ძე თათულაშვილს მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

გ.

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

დღეს 21 ივლისს შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია: მიხეილ ბახტაძეს, ივანე დადიანს, არჩილ იანვარიშვილს, გიორგი წერეთელს, სირანუშ სააკოვს, მიხეილ ჩხენკელს, ნინო ნინოშვილს, დავით მეგრელიშვილს, და პეტრე კოზლოვს.

შავ მუშათა მე-3 სექცია: კონსტანტინე რუხაძეს, გრიგოლ არჩვაძეს, არსენ სტეფანიანს, აბგარ ტუსიევს, ალექსანდრე შეიზაშვილს, ოგანეზ აკოპიანს, გარეგინ შახნაზაროვს, გრიგოლ ბურკაძეს, სერგო ადამაშვილს, სარქის ისახანიანცს, ნერსეს მოხიაშვილს, სალე გულუხოვს, ამინ ბოგდანოვს, ანდრონიკ დარჩინიანს, გაბრიელ მაკნიევს, ნიკო ირემაძეს, გრიგოლ ფალავანდიშვილს, აშოტ ავაქიანს, დანიელ ზანფოროვს, გუბენ მენიკოვს, ბეკ - ავაკოვს ისმაილ კაშაევს, ტიგრან მატეოსიანს, მნაცაკან სარგისიანს, სერგო ხეჩინოვს, ოვანეს ტერ-დავიდოვს, ერვანდ მარტისოსიანს, არტუშ აგლევს და საბა ბერძოლაშვილს.

ახალი რადიო ქსელი

თბილისის ქუჩებში

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ გამოიმუშავა თბილისის ქუჩებში ხმამაღლა მოლაპარაკე რადიო - აპარატების ქსელის მოწყობის გეგმა.

გეგმის თანახმად პირველ რიგში ხმამაღლა მოლაპარაკე რადიო - აპარატები დაიდგმება — საბჭ. და სავაჭ. მუშაკების საზაფხულო ბაღში, ზემელის აფთიაქის წინ პატარა ბაღში, თვითმშრომელთა ბაღში, წითელი არმიისა და ფლოტის ბაღში, ცენტრალურ მუშათა კლუბში, ორჯონიკიძის სახელობის საზაფხულო კლუბში, სადგურის მოედანზე, ლენინის უბანში პირველ რაიკომთან და პლეხანოვის თეატრის ეზოში, კომუნარების ბაღში, ფუნიკულიორზე მუშათა ახალ კლუბში, თავისუფლების მოედანზე, ებრაელთა უბანში კოოპერატივის წინ, ცენტრალურ (მეტეხის) გამასწორებელ სახლში და კახეთის მოედანზე.

მეორე რიგში — ნავთლუღის ერთ-ერთ მოედანზე, სასაკლაოზე, ვერაზე და დიდუბეში.

მესამე რიგში — ვაკეზე, საბურთალოზე და ორთაჭალაში.

რადიო - ქსელის მოწყობის პირობების გამოსაკვლევათ საჭირო წინასწარი მუშაობა ჩატარდება 1-ლ სექტემბრამდე.

ფიზკულტურა

სანატორიუმებში

გასული წლიდან საქართველოს აგარაკების ზოგიერთ სანატორიუმებში პირველად შემოღებულ იქნა სანატორიულ ავადმყოფთა ფიზიკური ვარჯიშობა. დაკვირვება ფიზიკურ ვარჯიშობისაგან მიღებულ შედეგებზე სწარმოებდა აბასთუმნის და ბორჯომის სანატორიუმებში მყოფ ავადმყოფებზე, რომელნიც ჩაბმული იყვნენ ფიზიკურ ვარჯიშობაში.

ფიზკულტურას სანატორიუმებში მოჰყვა დამაკმაყოფილებელი შედეგი. მიმდინარე წლის სეზონის დამდეგიდან ფიზიკურ ვარჯიშობას ზემოხსენებულ სანატორიუმებში მიეცა უფრო ორგანიზაციული და გეგმიანი ხასიათი.

აბასთუმანში მოწყობილია ფიზკულტურის ორი პუნქტი, ხოლო ბორჯომში ერთი პუნქტი. ფიზიკურ ვარჯიშობაში ჩაბმულია სანატორიუმში მყოფ ავადმყოფების ნახევარი. ფიზიკურ ვარჯიშობას ხელმძღვანელობენ ორი ექიმი და ფიზკულტურის სამი ინსტრუქტორი.

ფიზიკურ ვარჯიშობაში ყველა ავადმყოფები არ არიან ჩაბმულნი. განსაკუთრებული კომისია წინასწარ აწარმოებს ავადმყოფთა შერჩევას. ჩვეულებრივ სავარჯიშოდ შერჩეულნი ავადმყოფები იყოფიან 3 კატეგორიად: ღონიერნი, საშუალო ღონისა და სუსტნი.

აბასთუმნის სანატორიუმში შემოღებულია ისეთი ფიზიკური ვარჯიშობა, რომელიც აუმჯობესებს სუნთქვას, ხოლო ბორჯომში ისეთი, რომელიც ხელს უწყობს საჭმელის მონელებას.

ოფიციალური განყოფილება

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წლ. მაისის 25.

საზოგადოების მწყემსებისა და მენახირეების დაქირავების წესისა და შრომის პირობების შესახებ*

დადგენილება № 37

დამქირავებლის, მწყემსის ან მენახირის მოვალეობანი

34. დამქირავებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულების ყველა პირობები, როგორც მაგ., მისცეს მწყემსს ან მენახირეს დაწესებულ ვადებში შრომის ხელფასი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტანისამოსი და საცხოვრებლად გამოსადეგი ბინა და შეასრულოს ხელშეკრულებაში მოხსენებული დანარჩენი პირობები.

35. მრჩოლავი და მშფოთავ საქონლის სამწყესოში (ჯოგი ნახირი) შეშვების დროს საქონლის მეპატრონე ვალდებულია გააფრთხილოს მწყემსი ამის შესახებ და მიიღოს შესაძლო უბედურ შემთხვევის საწინააღმდეგო საჭირო ზომები (ფიცრების ჩამოფარება მრჩოლავ საქონლის რქებზე და სხვა).

36. მწყემსი და მენახირე ვალდებული არიან ფრთხილად მოეპყრან საქონელს, საქონლის სამწყესურიდან დაკარგვას ამ მათი დაჭრის, დააცადების დროს მწყემსები ვალდებულნი არიან იმავე დღესვე, როდესაც კი შეატყობენ საქონლის დაკარგვას, მათ დაჭრას ან დაავადებას, შეატყობინონ ეს საზოგადოების რწმუნებულს ან საქონლის მეპატრონეს, ხოლო გადამდებ სნეულებათა ნიშნების აღმოჩენის დროს კი სოფლის საბჭოს.

საქონლის მოგებას მწყემსებმა სამწყემსოში თვალყური უნდა ადევნონ და ამის შესახებ საქონლის მეპატრონეთ უნდა აცნობონ. სამწყესოში საქონლის ატეხილობის ან დაბუზარავების შედეგებისთვის მწყემსები და მენახირეები პასუხს არ აგებენ.

37. ნათესების წახდენისა, საქონლის დაჭრის და დაზიანება დალუპვისათვის, რომელიც მოხდება საქონლის დაბუზარავებისა და ატეხილობის დროს მწყემსები ან მენახირეები პასუხს არ აგებენ.

38. მწყემსს არ აქვს უფლება მიიღოს ჯოგში საქონელი, რომელიც არ ეკუთვნის დამქირავებელს, თუ სამისოდ არ ექნება საზოგადოების რწმუნებულის ნებართვა.

39. დამქირავებელიდან წასვლის დროს მწყემსი ან მენახირე ვალდებულია ჩააბაროს დამქირავებელს ის ქონება, რომელიც მას მინდობილი ჰქონდა.

მცირე - წლოვან მწყემსებისა და მენახირეების შრომა

40. მწყემსათ ან მენახირეთ 14 წელზე ნაკლებ ახალგაზრდის დაქირავება არ დაიშვება. წვრილ ფეხა (ღორები, ბატკნები და სხვა) საქონლის სამწყემსურებზე დაიშვება 12 წელზე არა ნაკლებ მოზარდის დაქირავება.

41. აკრძალულია ღამის სამწყემსურზე 14 წელზე უფრო ნაკლებ წლოვანის დაშვება.

მწყემსის ან მენახირის დათხოვნა ან სამსახურიდან წასვლა.

42. დამქირავებელს (საზოგადოება, მისი ნაწილი, საქონლის მეპატრონეთა ჯგუფი) საპატიო მიზეზთა გამო, უფლება აქვს მწყემსი ან მენახირე დაითხოვოს სამსახურიდან შრომის ხელშეკრულებაში აღნიშნულ ვადამდე, სავალდებულო გაფრთხილებით არა ნაკლებ ორი კვირისა.

დამქირავებელიდან წასვლის დროს მწყემსმა ან მენახირემ თავის წასვლის შესახებ უნდა გააფრთხილოს საზოგადოების რწმუნებული ორი კვირით წინ.

43. იმ შემთხვევაში თუ მწყემსი ან მენახირე ვადის გასვლამდე იქნება დათხოვნილი წინასწარ გაუფრთხილებლად, დამქირავებელი ვალდებულია, მისცეს მას ნამუშევარი ხნის სამუშაო ხელფასი და გასასვლელი დახმარება ხელშეკრულებაში მოხსენებული რაოდენობით, რომელიც არ შეიძლება იქნეს დათხოვნილი მომუშავის ორი კვირის სრული ხელფასზე ნაკლები (ნატურის ჩათვლით).

იმ შემთხვევაში თუ მწყემსმა ან მენახირემ სამუშაო თავის სურვილისამებრ მიატოვა, მაშინ ივი გასასვლელ დახმარებას არ იღებს.

44. მწყემსის ან მენახირის წევრობა პროფესიონალურ კავშირში და საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობის მიღება არ შეიძლება გამოყენებული იქნეს დათხოვნის მიზეზათ, მასთან მწყემსისა და მენახირის მიერ საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულება შრომის ხელშეკრულებაში აღნიშნულ სამუშაო დროის გარეშე, სწარმოებს, გარდა — საბჭოთა არჩევნებისა და საზოგადო კრებებზე დასწრების დროს.

45. იმ შემთხვევაში, თუ მწყემსი ან მენახირე დამქირავებლის მიერ დაქირავების ვადის გასვლამდე დათხოვნას მიიჩნევს უკანონოდ, მაშინ კონფლიქტი მომრიგებელ კამერის მიერ წყდება, მხოლოდ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მიერ.

46. დამქირავებელს უფლება არა აქვს დაუკავოს მწყემსს ან მენახირეს, მისი სამუშაოდან წასვლის გამო, საბუთები (პირადობის მოწმობის და სხვ.) და აგრეთვე მისი საკუთარი ნივთები (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ლოგინი და სხვ).

სოციალური დაზღვევა.

47. დამქირავებლები ვალდებულნი არიან დააზღვიონ მწყემსები და მენახირეები სოციალური დაზღვევის არსებულ განსაკუთრებულ წესებით და შეღავათიან ნორმებით.

იმ შემთხვევაში, თუ მწყემსი ან მენახირე გახდა ავად, მას ავადმყოფობის გამო ენახება ადგილი არა ნაკლებ ერთი თვის განმავლობისა.

დამქირავებელი ვალდებულია მძიმედ ავადმყოფი მწყემსი ან მენახირე მიიყვანოს საავადმყოფოში ან სამკურნალოში.

დამქირავებელს და დაქირავებულის შორის ამტყდარ დავის გადაწყვეტა

48. სამუშაო დროს, სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების, ხარჯის, ბინის, უკანონოდ დათხოვნის, ზარალის ანაზღაურების და სხვა დანარჩენ სადაო საკითხების დროს აღმოცენებული დაქირავების მუშაობასთან დაკავშირებული დამქირავებელსა და დაქირავებულის შორის ამტყდარი საკითხების მოსაგვარებლად სოფლის საბჭოსთან, დაირის ან თემის აღმასკომებთან არსდება მომრიგებელი კომისიები, მასთან ყველა საკითხები ამ კომისიებში მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა შორის სწყდება.

49. იმ შემთხვევაში თუ ერთი - ერთი მხარე თანახმა არ არის მომრიგებელ კომისიაში დავის (კონფლიქტის) გარჩევაზე ან თუ უკანასკნელში ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, მათი დავა სახალხო სასამართლოს უნდა გადაეცეს.

50. მოდავეების სიტყვიერი ან წერილობითი განცხადება იმის შესახებ, რომ მათ სურთ თავისი დავა მომრიგებელ კომისიას გადასცეს გადასაწყვეტად ორივე მხარემ ან ერთმა რომელიმე უნდა გადასცეს სოფლის ან დაირის, თემის აღმასკომს.

51. მხოლოდ ორივე მხარეებიდან სოფლის საბჭოს ან თემის (დაირა) აღმასკომის მიერ განცხადების მიღებისამებრ იმის შესახებ, რომ იგინი თანახმანი არიან დავა მომრიგებელ კომისიაში გადაწყდეს, სოფლის საბჭოთემის (დაირა) აღმასკომი სულ ახლო დროის განმავლობაში, მხარეთაგან წერილობითი ან სიტყვიერ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს სამი დღისა, აწყობს მომრიგებელ კომისიას, რომლის სხდომის დღესა და დროის შესახებ აუწყებს მხარეებს ერთ დღეზე არა უგვიანეს.

52. იმ შემთხვევაში, თუ ერ-ერთი მხარეთაგანი მომრიგებელ კომისიაში დავის გარჩევაზე არ დაესწრო საქმე ხელმეორედ გასარჩევად უნდა დაინიშნოს, ხოლო თუ მეორეჯერ არ გამოცხადდა რომელიმე მხარე, მაშინ საქმე შეიძლება დაინტერესებულ მხარის მიერ სახალხო სასამართლოში იქნეს გადატანილი დავის გასარჩევად.

53. მომრიგებელ კომისიის თავმჯდომარედ შეიძლება სოფლის ან თემის, ან დაირას აღმასკომის თავმჯდომარე ან წარმომადგენელი იყოს. მომგირებელ კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს სხდომას და შველის მოდავე მხარეებს შერიგებაში და სადაო საკითხებზე შეთანხმებაში.

შენიშვნა: მომრიგებელ კომისიის თავმჯდომარეს არ აქვს უფლება დავა თავისი ხმით გადასწყვიტოს, რადგან მას მხოლოდ სათათბირო ხმა აქვს.

54. მომრიგებელ კომისიაში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ მხოლოდ შემდეგ მხარეებს: დაქირავებულს ან მის რწმუნებულს — მიწა-ტყის მუშაკთა პ.-კავშირის წარმომადგენელს, დამქირავებელს ან მის რწმუნებულს.

შენიშვნა: მიუხედავათ კომისიაში დამსწრე პირთა რაოდენობისა, როგორც დამქირავებლის, ისე დაქირავებულის მხრივ თვითეულ მხარეს მხოლოდ ერთი გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს.

55. მომრიგებელ კომისიის სხდომაზე უნდა სწარმოებდეს სხდომის ოქმის წერა. მასთან დედანი მისი სოფლის საბჭოს ან თემის (დაირა) აღმასკომში ინახება, ხოლო მოდავე მხარეებს, მათი თხოვნის თანახმად ოქმების ასლი ეძლევა.

მომრიგებელ კომისიაში მიღწეული შეთანხმება უეჭველად შეტანილი უნდა იქნეს ოქმში იმავე სხდომაზე და ხელმოწერილი მხარეთა და კომისიის თავმჯდომარის მიერ.

56. მომრიგებელ კომისიაში მიღწეული შეთანხმება, რომელსაც ხელს აწერენ მოდავე მხარეები და თავმჯდომარე სავალდებულოა ორივე მხარისათვის და მას სასამართლოს განაჩენის ძალა აქვს.

იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელმა არ შეასრულა მისგანვე ხელმოწერილი შეთანხმება, მაშინ დაქირავებულის ან მიწა - ტყის მუშაკთა პროფკავშირის განცხადების თანახმად სოფლის საბჭო ან უბნის (დაირა) აღმასკომი აგზავნის სახალხო სასამართლოში ხელმოწერილ შეთანხმების ასლს.

სასამართლოდან სოფლის საბჭოს ან თემის (დაირა) თავმჯდომარე მიიღებს რა აღსრულების ფურცელს ვალდებულია ხელმოწერილი შეთანხმება იძულებითი წესით მოიყვანოს სისრულეში.

57. მომრიგებელ კომისიაში თუ რამოდენიმე საკითხი ირჩევა და მოდავე მხარეები ზოგიერთ მათგანის შესახებ შეთანხმდენ, მაშინ ოქმში ეს შეთანხმება უნდა ჩაიწეროს და ამის შემდეგ ის სავალდებულო ხდება ორივე მხარისათვის.

დანარჩენი საკითხები კი რომლებზედაც შეთანხმებას ვერ მიაღწევენ შეიძლება მოდავეებმა საერთო წესით გადაიტანონ გასარჩევად სახალხო სასამართლოში.

58. სახალხო სასამართლო ვალდებულია დამქირავებლის და დაქირავებულის დავა გაარჩიოს არა უგვიანეს ერთი კვირისა იმ დღიდან, როა საქმე სასამართლოში შემოვა.

პასუხისმგებლობა ამ წესების დარღვევისათვის

59. ზედამხედველობა ამ წესების შესრულებაზე შრომის ინსპექციას ევალება.

60. იმ შემთხვევაში თუ დამქირავებლები (საზოგადოება, ნაწილი მისი, ან და საქონლის მეპატრონეთა ჯგუფი) დაარღვევს ამ წესებს და აგრეთვე არ შეასრულებს მწყემსებთან და მენახირეებთან შრომის ხელშეკრულებით თავის თავზე ღიღებულ ვალდებულებას, დამქირავებელი პასუხს აგებს სასამართლოს წესით სათანადო რესპუბლიკაში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

ა.-კ. შრომის სახ. კომისარი **იაშვილი.**
საერთო საორგ. გან. გამგე: **მელნიკოვი.**
შეთანხმებულია ა.-კ. პ. კ. ს.-თან **იაკუბოვიჩი**

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი“ № 161.

მეცნიერება და ტეხნიკა

პროფ. ბრიჯმენის ცდები

გარვარდის (შეერთებული შტატებშია) უნივერსიტეტის პროფ. ბრიჯმენმა ლითონის წინააღმდეგობის შესასწავლად წარმოებული ცდების დროს, მის მიერ გამოგონებულ განსაკუთრებული მოწყობილობის საშუალებით მოახერხა მიიღო მაღალი წოლვა—40 — 50 ათასი კილოგრამი კვადრ. სანტიმეტრზე. ბრიჯმენის მიერ მიღებული შედეგების დასახასიათებლად საკმაო არის აღვნიშნოთ, რომ შინაგანი წვის მამოძრავებელში გაზების ანთება ანვითარებს წოლვის 30—50 კილოგრამს კვადრ. სანტიმეტრზე; ყუმბარის გასროლის დროს წოლვა ზარბაზნის ლულაში უდრის 2.000 კილოგრამს კვ. სანტიმეტრზე და, დაბოლოს, ოკეანეს ულრმეს ადგილზე წოლვა უდრის 1.000 კილოგრამს კვადრ. სანტიმეტრზე.

ბრიჯმენის მიერ მიღებული წოლვის პირობებში არსებითად იცვლება მასალების თვისებები. მაგარი მასალები, მაგალითად ლითონები, რბილდება. ჩვეულებრივ მდგომარეობაში სათუთი მასალები კი, პირიქით, ასეთ პირობებში, არაჩვეულებრივად მაგრდება.

დინამიტი და სეისმოგრაფი ნავთიანი ადგილების გამოკვლევის დროს

დედამიწის ზედაპირზე დინამიტის აფეთქების დროს, რყევა აღწევს პირველ მაგარ ფენამდე და შემდეგ უკუ გამოიტყორცნება. სეისმოგრაფი (მეტად მგრძნობიარე ხელსაწყო, რომლითაც სარგებლობენ მიწისძვრებზე დაკვირვების მოსახდენად) აღნიშნავს დედამიწის ფენების რყევის უკუტყორცნილ ტალღებს და შესაძლებლად ხდის გამორკვევას იმისას, თუ რამდენად შორს არის ზედაპირიდან მაგარი ფენა. ამავე დროს, სეისმოგრაფი იძლევა თავისებურ მრუდე ხაზს იმ შემთხვევაში, თუ დედამიწის სიღრმეში მოიპოვება ნავთიანი ფენები. ეს გარემოებაც გამოიყენეს შეერთებული შტატების ინჟინრებმა, რომ დინამიტით და სეისმოგრაფით გამოეკვლიათ ნავთიანი ადგილები. გამოსაკვლევ სივრცეზე სამკუთხედათ ათავსებენ სეისმოგრაფებს. შუაში ახდენენ აფეთქებას, თითოეულ აპარატთან დგას მეთვალყურე. აფეთქების დროის შესახებ ყველანი წინასწარ არიან გაფრთხილებული; საათებიც წინასწარ აქვთ შესწორებული. თითოეული აპარატის ჩანაწერს ადარებენ ერთმანეთს და გამოაქვთ საბოლოო დასკვნა.

პარტიული კალენდარი

ხუთშაბათს 21 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში მოწვეულია **ქალაქისა და სოფლის კავშირის ხელისშემწყობ საზოგადოების ქალაქის რაიონულ საბჭოს გაფართოებული პლენუმი.** სოფლისა და ქალაქის კავშირის ხელისშემწყობ საზოგადოების უჯრედების ბიუროს წევრებისა და ამავე საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრებისა და აქტივის მონაწილეობით.

ყველა ზემოაღნიშნულთა დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

ქალაქისა და სოფლის კავშირის მე-2 რაიონული საბჭო იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 21 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე, რაიკომის შენობაში (პლეხან. პრ. 96) მოწვეულია **ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების მორიგი პლენუმი** უჯრედების ბიუროს მდივნებისა და წევრების მონაწილეობით.

რაიკომის მდივნის მაგ. **აკოფოვი.**
საქმეთა მმართველის მაგ. **ახალაძე.**

ხუთშაბათს 21 ივლისს, საღამოს 6 საათზე მუშათა და გლეხ ქალთა განყოფილების აგიტპროპის შენობაში მოწვეულია **ქალთა ორგანიზატორებისა და ქალთა კომ. თათბირი.**

ვის აქვს საწინააღმდეგო

1ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის № 13-ე კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება წ.-მოლ. ჯანელიძე მათე სვიმონის ძეს, კულუმბეგოვ ნიკოლოზ ნესტორის ძეს, კომკავშირის წევრობიდან პარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ, და უპარტიო წ.-მოლ. კახიანი კორნელი სევერიანის ძეს და ლევიცკოვ სტეფანე გრიგორის ძეს კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ.

თუ ვისმე რაიმე საწინააღმდეგო აქვს გთხოვთ წერილობით გვაცნობოს 1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის № 13-ე კომუჯრედს.

ღრმად დამწუხრებული დედა მარიამი, და ცაცა, ქმარი შალვა, ნათესავები გოგი და ტიტიკო ლომიძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

თამარა ილიკოს ასული
ხიმშიაშვილი (კვარტიშვილისა)

გამოსვენება მოხდება პარასკევს, 22 ივლის, ნაშუადღევის 4 საათზე, ფეოდოსიევის ქ. № 23, ვერის ახალ სასაფლაოზე.

უზომო მწუხარებაში მყოფნი: დედა ვარო, მამა გიგო, დები: ტასო, თამარა, ნადია და ნატაშა, ძმები: გიორგი ცოლით ნატალიათი და ალექსი ფალავანდიშვილები. მამიდა ფოფო შალიკაშვილისა, მამიდაშვილი ელენა საგინაშვილისა და სიძეები: ვოლოდია შალიკაშვილი და არჩილ საგინაშვილი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ მათი უძვირფასეს და უსაყვარლეს მუდამ ქამს დაუვიწყარი

ირაკლი გრიგოლის ძე
ფალავანდიშვილის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან, საეკლესიო ქ. № 16, დღეს, ხუთშაბათს, 21 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე.

თბილისის 1-ლი სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმის მასწავლებლები და ტეხნიკური თანამშრომელნი ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ

გოგი არკადის-ძე
ჩხენკელის

უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება დღეს 21 ივლისს დღის 4 ნახ. საათზე. დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე. 1—1 3376

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ძმობლები: ანა და არკადი, და თამარი და ბებია ეკა ჩხენკელნი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ მათი საყვარელის პატარა

გოგის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 21 ივლისს დღის 4 ნახ. საათზე. კეცხოველის ქ. № 12, დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე. 1—1 3376

გულდამწუხრებული მეუღლე სოფიო (სონია) გიორგის ასული, შვილები კოტიკო და დათიკო ხაბურზანიები და სიდედრი პასიკო იესეს ასული კვინიხიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ 17 ივლისს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

გიორგი კონსტანტინეს-ძე
ხაბურზანია

გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 21 ივლისს ნაშუადღევის 5 საათზე (ბინა—კალინინის ქ. № 54) პანაშვიდი ყოველ დღე 6 ნახ. საათზე. 1—1 3377

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

აპოლლო
(არტის ბაღში).

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

0—13 ნ. 1388

პირველათ თბილისში
მხატვრული, ისტორიული საუკეთესო სურათი
ტარას ტრიასილო
დადგმა: რეჟის. **ჩარდინინის.** ოპერატორი: **ზაველიევი.**
მხატვარ-ხუროთმოძღვარი პროფესორი **კრიჩევსკი.**
სიმებიანი ორკესტრი.
პროგრამის გარეშე—**„რიონჰესის საფუძვლის ჩაყრა“.**

მონოპოლურად საუკეთესო სურათი
„ორში ერთი“
მთავარ როლში ტრიუკების მეფე—**კარლო ალდინი.**
უკრავს სიმებიანი ორკესტრი.
პირველი სეანსის დასაწყისი—8 საათზე.

ანონსი: მალე **„მაქსიმ მაქსიმიჩ“** ლერმონტოვის რომანის მიხედვით.

საქართველოს სახკინმრეწვის სურათი

სამშაბათიდან 26 ივლისს

კინო-თეატრებში
ეთერი (სახ. ოპერის ბაღში) **დარბაზი** (ბაღში პლეხ. პრ. № 91)

სამშაბათიდან 26 ივლისს

უკანასკნელი სურათი სერიიდან
„ჩვენი დროის გმირები“

დადგმა—ვ. გ. ბარსკის.

მაქსიმ მაქსიმიჩ

ოპერატორები: ა. პოლიკევიჩი, ვ. პოზნანი.

ლერმონტოვის რომანის მიხედვით

მთავარ როლებში: ბელა ბელეცკაია, ტ. ვიშნევსკაია, ვ. ობოლენსკი, ნ. პროზოროვსკი და სხ.

დასაწყისი 1-ლი სეანსის 8 ს.

სიმებიანი ორკესტრები.

დასაწყისი 1-ლი სეანსის 8 ს.

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი)**, რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 **მთავარი კანტორა**

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 26 ივლისს 1927 წ. დღის 5 საათზე სახლში № 5 ჩიხლაძის შესახვ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. იუდა ბაბალაძის უძრავ ქონებას: ორსართულიან თუნუქით დახურულ აგურის სახლს, რომელიც შესდგება 15 ოთახისაგან ერთი სამზარეულოთი შეფასებულს 2,500 მანეთად, ქიმიკოსთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 9 ივნისს 1927 წ. თარიღით, № 1907 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა იწარმოებს ს. ს. კ. 311—312 მუხ. დაცვით. ნ. 1479

ფალვერში
ექიმი **მეგრაბიანი**
ფილტვების, ძლეკის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით სამკურნალო კაბინეტში **ხელოვნური მთის მზე.** იონოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ. აფთიაქის თავზე. 25—18

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“, პირდაპირ „როდრიშვილის“ შესახვევი (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8) 25—1.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
ჯერჯერობით რჩება თბილისში.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 7, ბინა 1, ტელეფონი 14—56.

მედიცინის დოქტორი
ბ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან

საქართველოს ფინსახკომი
აცხადებს ზედმეტ-მოგების სახელმწიფო გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოთ,

რომ მის მიერ, თანახმად ს. ს. რ. კ. ცაკის და სახკომსაბჭოს ა. წ. 18 მაისის დადგენილების მე-4 მუხლისა, დაწესებულია 1926—27 საგადასახადო წლისათვის ნორმალურ მოგების პროცენტები სავაჭრო და სამრეწველო საწარმოოთა მფლობელებისა და თანამფლობელებისათვის რომელთა შემოსავალი 1926—27 საგადასახადო წელში უნდა დაბეგრილ იქნეს ზემოხსენებულ გადასახადით.

ყველა საჭირო ცნობების მისაღებათ მსურველთ უნდა მიმართონ პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორების კანცელარიებს, 11 ივლისი 1927 წ.

საქ. ფინსახკომისარი **გ. მგალობლიშვილი.**
ნ. 1477 გადასახ. განყ. მმართ მოად **მ. ჯაფარიძე.**

ორშაბათს, 25 ივლისს, შინამრეწველთა და ხელოსანთა საზ.—ბის კლუბში (პლეხანოვის პრ. № 66), საღამოს 8 საათზე შესდგება

თბილისის შინამრეწველთა და ხელოსნების საკრედიტო კოოპერატიულ ამხ.—ბის
საზოგადო კრება

დღის წესრიგი. გამგეობის მოხსენება ამხ—ბის შვიდი თვის მოღვაწეობის შესახებ; 2) ამხ.—ბის საპაიო გადასახადის გადიდება და 3) მიმდინარე საქმეები.

ვთხოვთ ყველა წევრებს ნუ დაიგვიანებენ.

ნ. 1471 2—1. **გამგეობა.**

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 26 ივლისს, 1927 წ. დღის 2 საათზე სახლში № 41 რუსთაველის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სასადილო „მედვედი“-ს მოძრავ ქონებას: ვენურ სკამებს, მაგიდებს, საყინულეს, თეფშებს, სხვადასხვა ზომის ბლუდებს, დანა-ჩანგალს, ქვაბებს, სასმელებს და სხვ. შეფასებულს 1.555 მანეთად, სახალხო კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 17 ივლისს 1927 წ. თარიღით, № 2041 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1478

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. 25—1

პროფ. გ. მ. მუხაძე
დაბრუნდა
და განახლა ავადმყოფების მიღება. პლეხანოვის პრ. № 58. 13—1

ექიმი **შუხმანი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდ. გ. ტკიცნის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№89 25—

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე ამ ავადმყოფთათვის, რომელთაც ფიზიკური მეთოდებით ექიმობენ საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყირანოვის ქ., № 20 25—1

დაკარგა მოწმობები: საქართველოს სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის—სოციალურ დახმარების აღრიცხვაზე აყვანის შესახებ, იმავე კომისარიატის—კომუნალურ გადასახადებიდან განთავისუფლების შესახებ, და თბილისის მეათე რაიონის მილიციის—სასაფლაო შესახებ, გაცემულნი დარია ლევანის ასულ ანდრონიკაშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა საწევრო წიგნაკი, გაცემული საზ. „მწყემსის“ მიერ № 3167 ნიკა ილიას-ძე ნატროშვილის სახელზე ჩ. გ. 3375

დაკარგა ლომბარდის ქვითარი № 54568 ასიამ მარკოსიანის სახელზე ჩ. გ. 3378

დაკარგა ნადი „ბაღის შრომა“-ს სავაჭრო პუნქტის სახელზე აღებული პატენტი № 9266 მე-3-ე რიგისა ა-წ. 13 ნოემბრიდან ზედარწერით გადაცემის შესახებ კოოპ. „მდელოს“-ზე ჩ. გ. 3. დუმბაძე. 3380

დაკარგა საანგარიშო წიგნაკი № 16 მიხეილ ძამაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3376

დაკარგა ატესტატი გაცემული ხარაგოულის 9 წლედის შრომის სკოლის მეორე საფეხურის პირველ კონცენტრის დამთავრების შესახებ № 269 თამარა მარკოზის ასული მეტრეველის სახელზე, ჩ. გ. 3378

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა

ბალანსი

1927 წლ. 1-ლ იანვრისთვის.

აქტივი.

1. ნაღდი ფული:			
მთავარ სალაროში	2597.52		
მაღაზიების სალაროებში	3279.95		
გ ზ ა შ ი	2361.68		
მიმდინარე ანგარიშებზე ბანკებში	950.57	9189.72	0,56%
2. საქონელი: მაღაზიებში	665529.06		
საწყობში	349884.01		
დაგირავებული	73240.32		
გ ზ ა შ ი	14734.02	1.103.387.41	67.61%
3. ფასიანი ქაღალდები:			
ფასდადებითი მოწმობები	7129.92		
პაიები სხვა დაწეს—ბების	10798	17.927.92	1,10%
4. დაუმთავრებელი ოპერაციები:			
წიგნების გამოცემა	170558.29		
საკანცელარიო ნივთების გადამუშავება	9440.84	179.999.13	11,04%
5. თამასუქები მიღებული:			
პორტფელში	4089.32		
დასახურდავებლად	87893.03		
გაცემული საკომისიოდ	10022.20	102.004.55	6,26%
6. დებიტორები:			
სხვადასხვა პირნი და დაწ.	186121·04		
ანგარიშვალდებულ პირნი	7215.89		
თანამშრომლები	2912.38		
კომიტენტები	1515.36		
გარდამავალი თანხები	7451.01	205.215.68	12,57%
7. ქონება მოძრავი		12.866.15	0,78%
8. შედეგები—ხარჯები მომავალი წლის		1.401.31	0,08%
ბალანსი		1.631.991·87	100%

პასივი.

1. თანხები:			
ძირითადი	12866.15		
ბრუნვითი	262117.82		
სათარიგო	22618.41		
საამორტიზაციო	2513.22	300.115.60	18,39%
2. განსაკუთრებული თანხა:			
დოტაცია	45350.—		
მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებათა ფონდი	11309.21	56659.21	3,47%
3. სესხები:			
საკავშირო მთავრობისაგან გრძელვადიან	40000.		
საქართველოს მთავრობისაგან გრძელვადიანი თამასუქების ქვეშ	50000.		
ბანკებისაგან საქონლის ქვეშ	8000.		
„ სოლო-თამასუქის „	50000.		
გაცემული თამასუქები	217478.44		
განაღდებული თამასუქები	87893.03	453.371.47	27,78%
4. კრედიტორები:			
სხვადასხვა პირნი და დაწ.	76067.51		
ანგარიშვალდებულ პირნი	3.		
კომიტენტები	15028.98		
გარდამავალი თანხები	25043.99	116.143.48	7,11%
5. დაუმთავრებელი ოპერაციები:			
წიგნების გამოცემა		92.443.64	5,67%
6. შედეგები:			
ნამატი დარჩენილ საქონელზე	612827.37		
ხარჯები მომავალი წლის	431.10	613.258.47	37,58%
ბალანსი		1.631.991.87	100%

ბალანს გარეშე ანგარიშები

1. საკომისიოდ მიღებული საქონელი	40.529.49
2. უზრუნველსაყოფ თამასუქების მიმღებლები	30.000.
	70.529.49

1. კომიტენტები საკომისიო წიგნების	40.529.49
2. უზრუნველსაყოფად გაცემული თამასუქები	30.000.
	70.529.49

წაგებ-მოგების ანგარიში

დებეტი

სხვადასხვა პირებისგან, როგორც არა საიმედო	18330.88
საამორტიზაციო ფონდი	1608.28
გამოცემათა ანგ—დან ძველი წლის ხარჯები	689.59
თანამშრომლების	500.61
გაპროტესტ. თამას.	647.04
ხარჯები	207908.
გაცემული პროცენტები	40250.56
ხალასი მოგება	115049.69
ჯ ა მ ი	384 984.65

კრედიტი

ძველი თუ ახალი საანგარიშო წლების ოპერაციებიდან	5.512.29
გაყიდულ საქონელში მთელი მოგება	340.462.54
კომიტენტების წიგნებიდან მიღებული კომისია	8.597.44
სხვა და სხვა შემოსავალი	21.495.78
მიღებული პროცენტები	8.916.60
ჯ ა მ ი	384.984.65

ხალასი მოგება გან. 115.049.69 განაწილებულია შემდეგნაირად:

1) სახ. შემოსავალის ფონდში	1.957.62		
2) „ „ „	10.000.	11.957.62	
3) მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდში		11.309.21	
4) სათადარიგო ფონდში		22.618.41	
5) ბრუნვითი თანხაში		69.164.45	115.049.69

დამტკიცებულია საქ. ფინსახკომთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ ა | წ. 5 ივლისს, № 70956.

საქ. სახელგამის გამგე **ბ. ბიბინეიშვილი**

მთავარი ბუხჰალტერი **ი. სანიშვილი.**

ნ. 1476

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.